

ღია ანდლუღაძე



გაუმნობი

საქარ
თუ
ს



8P1(092)
891 . 71 . 092(ბალმონტი) + 899 . 962 . 1 . 09
ა 652

კონსტანტინე ბალმონტი გამოჩენილი რუსი პოეტი და მთარგმნელია. მან მზიშენელოვანი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაელის პოემის თარგმნისა და რუსეთში მისი პოპულარიზაციის საქმეში. წინამდებარე წიგნი და აქვე წარმოდგენილი კ. ბალმონტის პირადი წერილები მოგვითხრობს იმ დიდ შრომაზე, რომელსაც ეწეოდა პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას და იმ სიყვარულზე, რომელიც მას საქართველოსთან აკავშირებდა.

ქართული კულტურის მეგობართა შორის ყოველთვის გულთბილად იხსენიებენ გერმანელ არტურ ლაისტს, ფრანკ მარი ბროსეს, ინგლისელ ქალს მარჯორი უორდროპს, უნგრელ მიხაი ზიჩს და რუს კონსტანტინე ბალმონტს. ხუთივეს სახელი ჩვენს ქვეყანას რუსთაველის პოემამ დაუკავშირა. „ვეფხისტყაოსანმა“, მასში მოცემულმა საკაცობრიო იდეალებმა მრავალი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ყურადღებისა და პატივის ღირსად აქცია რუსთაველის სამშობლო, ადიდა იგი. „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ერის სულიერ სარკეში, ამ ადამიანებმა ქართველთა დიდება დაინახეს და გულწრფელად შეიყვარეს ჩვენი ხალხი. გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი სამუდამო საცხოვრებლადაც კი გადმოვიდა საქართველოში. მან თითქმის ნახევარი საუკუნე იცხოვრა აქ და ბოლოს დიდუბის პანთეონი გახდა მისი საფლავი. ქართველებმა მას „ჩვენი აბო“ შეარქვეს. ილია ქავჭავაძე მას „შორეულ ჩვენიანს“ უწოდებდა.

მარჯორი უორდროპი პირველი უცხოელი ქალია, რომელმაც თავისი ცხოვრების ათეული წლები ქართული კულტურის შესწავლასა და მის პოპულარიზაციას შეაღწია. დღეს ინგლისში მოღვაწე ქართველოლოგები — დავით ლანგი და რობერტ სტივენსონი, ალბათ, დიდად დავალებული არიან მარჯორის მიერ შეკრებილი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების უნიკალური ფონდით. უსაზღვრო იყო ინგლისელი ქალის ჩვენდამი ერთგულება. თედო სახოკიას ცნობით, უორდროპის უკანასკნელი, სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვაც „საქართველო“ იყო.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯეროვნად შესწავ-

ლილი და დაფასებულია მარჯორი უორდროპის ღვაწლი. იგივე არ ითქმის არტურ ლაისტსა და კონსტანტინე ბალმონტის შესახებ. ისინი ჩვენი კულტურული ცხოვრების ჯერ კიდევ ბოლომდე დაუწერელი ფურცლებია. მართალია, მრავალ წე რილში, რომლებიც რუსთაველის ორივე იუბილეს დღეებში ქვეყნდებოდა, ეხებოდნენ მათ, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს, მაგრამ სპეციალური შრომები მათ შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს. გამონაკლისს შეადგენს სოლომონ იორდანიშვილის გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული რუსული თარგმანის“, მაგრამ დიდი გულმოდგინებით შესრულებული ეს შრომა ძირითადად „ვეფხისტყაოსნისა“ და ბალმონტისეული თარგმანის შედარებისას აღმოჩენილ განსხვავებებზე მიუთითებს. ავტორის მიზანს არც შეადგენდა მკითხველისათვის იმ მასალის მიწოდება, რომელიც თარგმანის შექმნის ისტორიასა და ბალმონტის საქართველოსთან ურთიერთობაზე მეტყველებდა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალა, რომელიც შეიცავს ცნობებს ბალმონტზე, როგორც პოეტსა და მთარგმნელზე, მის საქართველოსთან, ქართულ კულტურასთან და ხალხთან კავშირზე. ამ მასალას ჩვენ მიერ ახლახან არქივებში მიგნებული მთარგმნელის პირადი წერილებიც მიემატა. მათში შემონახულია ის გულწრფელი ფიქრი და გრძნობა, რომელსაც ამქლავნებდა ბალმონტი რუსთაველის, მისი სამშობლოს, ხალხის, კულტურისა და პოემის მიმართ. ეს წერილები იკითხება როგორც პოეტური სტრიქონები. ისინი დაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში და აღსავსეა შემოქმედის განცდით. მათი მეტად მცირე ნაწილი გამოქვეყნებულია პ. კოტეტიშვილისა და ნინო ბალმონტ-ბრუნის მიერ.

ამ წიგნისათვის საინტერესო ცნობები მოგვაწოდეს პოეტის თანამედროვეებმა, ახლო ნაცნობებმა, მისმა ქალიშვილმა ნინო კონსტანტინეს ასულმა ბალმონტ-ბრუნიმ. გამოყენებულია აგრეთვე ბალმონტის მეუღლის ეკატერინე სერგეის ასულ ანდრეევას გამოუქვეყნებელი მოგონებები და ბალმონტის შესახებ რუსულ და ქართულ ენაზე არსებული ნაბეჭდი ლიტერატურა.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონტი დაიბადა 1867 წლის 4 ივნისს. ბალმონტები წარმოშობით სკანდინავიელები, კერძოდ, შვეციის თავად-აზნაურთა უჩველესი გვარის წარმომადგენლები იყვნენ. ეს გვარი შოტლანდიაშიც ყოფილა გავრცელებული; პოეტის წინაპრები — შოტლანდიელი თუ სკანდინავიელი მეზღვაურები რუსეთში გადმოსახლებულან. მის პაპას, საზღვაო ოფიცერს, რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ნიკოლოზ I-ის პირადი მადლობა დაუმსახურებია.

ბალმონტი დაიბადა ვლადიმირის გუბერნიის სოფელ გუმნიცაში (შუის მაზრა), რომლის საეროზო გამგეობას პოეტის მამა თავმჯდომარეობდა. დედა — ლებედევას ქალი — ლიტერატურისა და პოეზიის მოყვარული ოჯახიდან იყო. მას ბევრი სასარგებლო საქმე გაუყეთებია თავისი პროვინციის კულტურული დონის ასამაღლებლად. დედის გვარის წინაპრებად ბალმონტი თათრებზე მიუთითებს და გვარის ფუძემდებლად ოქროს ურდოს თავად ლებედს ასახელებს. შესაძლოა, — წერს პოეტი, — ამით აიხსნას ის თავშეუკავებლობა და ვნებიანობაც, რომლითაც გამოირჩეოდა დედაჩემი და რომელიც მისგან მემკვიდრეობით გადმომეცა მთელ სულიერ წყობასთან ერთად.

პოეზიისადმი ადრეულ ლტოლვას აღვივებდა ის გარემო, რომელშიც პატარა კონსტანტინე აღიზარდა: ბალი, ყვავილები და ცაცხვის ხეივანი, სადაც დედა ხშირად უკითხავდა ლექსებს. აქ შეიყვარა მან სამუდამოდ ლერმონტოვის „მთის მწვერვალები“. მშობლები კეთილი ადამიანები იყვნენ და, როგორც პოეტი აღნიშნავს, არაადროს დაუთარგუნავთ მისი გულისთქმა. ბალმონტმა ადრე დაიწყო ლექსების წერა, მერე შეწყვიტა; ჩვიდპეტი წლის ასაკში იგი კვლავ დაუბრუნდა ამ გატაცებას და უკვე განუყრელად დარჩა ლექსთან.

ბალმონტი ბევრს კითხულობდა, ცუდად კი სწავლობდა. იგი ზიზღით იხსენიებს სასწავლებელს; ფაქტიურად არც დაუმთავრებია მოსკოვის იურიდიული ფაკულტეტი. დამოუკიდებელი მეცადინეობით მიადწია იმ ცოდნას, რომელიც ჰქონდა ფილოსოფიის, ხელოვნების, ლიტერატურისა და ისტორიის

დარგში. არც ერთ რუს პოეტს არ სცოდნია იმდენი უცხო ენა. რამდენიც ბალმონტი იცოდა: ფრანგული, გერმანული, ბერძნული, ლათინური, იტალიური, ესპანური, პოლონური, ლიტვური, ჩეხური, სერბიული, ბულგარული, ნორვეგიული, დანიური, შვედური. იცოდა აგრეთვე, მაგრამ ჭუსტად: ქართული, იაპონური, სანსკრიტი, პორტუგალიური, ბასკური და ეგვიპტური ენები.

უცხოეთიდან დედისადმი მოწერილი ერთ-ერთი ბარათიდან ჩანს, რომ ბალმონტი ლიტერატურას მხოლოდ ორიგინალში ეცნობოდა. ფრანგულად კითხულობდა რენანის „ებრაელთა ხალხის ისტორიას“, ინგლისურად — მილტონს, გერმანულად — შოპენჰაუერს, შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალურ სახელმძღვანელოებს, იტალიურად — დანტეს, დანიურად — ბრანდესს, ესპანურად — სერვანტესს, პორტუგალიურად — პერეტრას; ბერძნულად წაუკითხავს „ევანგელიე“, ლათინურად — „სალიუსტია“.

უცხო ენებს ბალმონტი გატაცებით სწავლობდა და სწრაფად ეუფლებოდა. იბსენის ორიგინალში წაკითხვის მიზნით შეისწავლა შვედური. როცა გაიგო, რომ იბსენი ნორვეგიულ ენაზე წერდა, დაეუფლა ნორვეგიულს. ესპანეთში ჩასვლის ერთი კვირის თავზე კითხულობდა ესპანურ გაზეთებს, ოთხ თვეში კი — სერვანტესს.

ბალმონტს ცოცხალ არსებასავით უყვარდა წიგნი. პოეტი და პოეზიით დაინტერესებული ადამიანი მისთვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელი იყო. ბევრს მოგზაურობდა, მოვლილი ჰქონდა იტალია, ესპანეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ევროპის სლავური ქვეყნები, იაპონია, ეგვიპტე, ინდოეთი; იყო კუნძულ იავაზე, სამოაზე, ცეილონზე რომელიმე ხალხით და ქვეყნით მოხიბლული მკვეთრად გამოხატავდა თავის აღტაცებას. როცა იტალიას გაეცნო, რომის სახით მან დაინახა დაქცეული ქვეყნის ზღაპრული დედაქალაქი, მღელვარე განცდებისა და უკვდავი ხელოვნების ტაძარი;

„ბალმონტს ყველაფერი მოსწონდა ინგლისელებისა, — ვკითხულობთ პოეტის მეუღლის მოგონებაში, — მათი სიცივეც, და თავდაჭერაც. ამასი ის ხედავდა მათს მთლიანობას და

აფასებდა ისევე, როგორც სიფიციხეს, გულწრფელობასა და ექსპანსიურობას ესპანელებისას“; მთელი იაპონია შედევრია, განხორციელება სინატიფის, რიტმის, გონების, მოკრძალებული შრომისმოყვარეობისა და ფაქიზი ყურადღებისო — წერდა პოეტი.

ბალმონტმა თარგმნა მრავალი ჭევეყნის პოეტთა ლექსები, მათ შორის შელის, იბსენის, ედგარ პოს, ჰაუპტმანის, შექსპირის, კალდერონის, უიტმენისა და უაილდისა; თარგმნა იაპონური ტანკები, ძველი ინდოელი პოეტის კალიდასას დრამები.

ყველას ანცვიფრებდა ბალმონტი ცოდნითა და შრომისმოყვარეობით. იგი არ ელოდა მუშის გამოჩენას, წერდა რეგულარულად, მთელი ცხოვრების მანძილზე. მუშაობდა ღამეც. უთქვამს: ღამე პოეტის სამუშაო დღეაო.

ბალმონტი განსხვავდებოდა ყველასაგან არა მარტო თავისი შინაგანი ბუნებით, არამედ გარეგნობითაც. მას ხშირად რემბრანდტის ნახატს ამსგავსებდნენ, უფრო მეტად კი ესპანელ გრანდს, გოიას რაინდებს, შუა საუკუნეების ტრუბადურს.

20-იანი წლების რუსულ მწერლობაში ბალმონტის სახელი ყველაზე პოპულარული იყო. ახალგაზრდა თაყვანისმცემლები ჩგუფად ელოდებოდნენ გზაზე, სადაც მას უნდა გაევილო, ყვავილებს აყრიდნენ; სამეცნიერო საზოგადოებები საზეიმო შეხვედრებს უმართავდნენ; ინტელიგენცია ამაყობდა მასთან ნაცნობობით; ახალგაზრდები, განსაკუთრებით სტუდენტები, მის ლექსებს აზებირებდნენ. ეს დიდება ხელოვნურად არ იყო შექმნილი.

ბალმონტს მსოფლიო ლირიკაში დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია. მრავალი ჭევეყნის პოეზიას გაეცნო მისი წყალობით რუსი მკითხველი. ბალმონტის ლექსებსაც ბევრი თარგმნიდა საზღვარგარეთ. ნორვეგიულ ენაზე თარგმნეს მისი ლექსები ტორ ლანგემ¹ და პოეტმა ქალმა დაგნი კრისტენსენ-

¹ ტორ ლანგე (1851—1915) — დანიელი პოეტი და ფილოლოგი. ცხოვრობდა მოსკოვში და თარგმნიდა რუს კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

მა, ინგლისურად — პროფესორმა უილიამ მორფილმა და პოეტმა ქალმა ლილი ნობლმა, გერმანულად — გეორგ ბახმანმა, ფრანგულად — რენე გილიმ, ალექსანდრე ურუსოვმა და ლუსი სავიციკაამ, ესპანურად — მაჩადომ, ლიტვიურად — პეტრას გრაიჩუნასმა¹ და ლუდას გირამ, თათრულად — სიუნჩელები, ჩეხურად — იაროსლავ ვერხნეცკიმ, იაპონურად — ფ. კატომ. ბულგარულად — სავა ჩუკალოვმა. ბალმონტის ლექსები სხვა პოეტთა ლექსებზე მეტად ითარგმნება საზღვარგარეთო, — სწერს ნინო ბრუნის ალ. საეჩენკო პარიზიდან. აღსანიშნავია, რომ ბალმონტი თვითონაც წერდა ლექსებს უცხო ენაზე.

ბალმონტის ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებას თან ახლდა ერთგვარი წარუმატებლობა. ხუთი წლის განმავლობაში არავინ ბეჭდავდა მის ლექსებს, ვიდრე 1890 წელს თვითონ არ გამოსცა პირველი კრებული იაროსლავლში. ინტერესმა ბალმონტისადმი, როგორც პოეტისადმი, გაიღვიძა შელის ლექსების თარგმანთა გამოცემის შემდეგ (1893 წ.) იმავე წელს დედისადმი მიწერილ წერილში ბალმონტი აღნიშნავდა: ჩემი შელი სწრაფად გაიყიდა. გამომცემლები ამბობენ, ასეთი წარმატება წელს არც ერთ წიგნს არ ღირსებიაო.

მომდევნო წლებში ბალმონტი აღიარებული პოეტი და, როგორც ბრიუსოვი შენიშნავს, ათეული წლების განმავლობაში შეუცვლელად მეფობს რუსული პოეზიის ტახტზე. 1912 წელს რუსულმა ნეოფილოლოგიურმა საზოგადოებამ პროფესორ ბრაუნერის თავმჯდომარეობით ბალმონტს მოღვაწეობის 25 წლისთავი გუმართა. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე სიტყვით გამოვიდა რუსული ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსი და ბიბლიოგრაფი სიმონ ვენგეროვი, რომელმაც ქება-დიდებათ მოიხსენია პოეტი. ასე გადმოგვეცემს მის ნათქვამს ერთ კერძო წერილში თვითონ ბალმონტი: «Он говорил обо мне, как о возродителе русской по-

¹ პ. გრაიჩუნასი ამჟამად ამზადებს „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურ თარგმანს.

აზნი, გოვორილ, ცუო ი სპაც ეე იტ სმერტი, ვიზნეს კულტ პიეტი ი პიეზიი. ზანილ ტრონ, ცუო ვი მნი სვიეენიე ბე- ზუმნიე».

ბალმონტი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. მისი ლექსების კრებულებს პატიმართა საკანშიც ნახულობდნენ. პოეტს დიდი გავლენა ჰქონდა მხატვრული სიტყვის ოსტატებზე. ვ. ბრიუსოვი წერდა. „სხვა ვიყავ ბალმონტთან შეხვედრამდე და სხვა გავსდი მასთან შეხვედრის შემდეგო“. სტროფებს მისი ლექსებიდან ეპიგრაფად იყენებდნენ.

ბალმონტისადმი, როგორც პოეტისადმი, თაყვანისცემის გრძობა შემოგვინახეს იმ ლექსებმაც, რომლებიც მიუძღვნეს მას პოეტებმა: ა. ბელიმ, ვ. ბრიუსოვმა. მ. ვოლოშინმა, ლ. გირამ, პ. კარასიკმა, ი. ბალტრუშაიტიხმა, თ. აკერმანმა, ტ. ტაბიძემ. ახალგაზრდა პოეტმა ბობირევმა მთელი კრებულ- უძღვნა მას. ა. რას წერდნენ პოეტები ბალმონტის შესახებ:

«Твоим крылом льну вышнему я краю»...
«И в том, что у тебя небесно стройный стих»..
«Ты будешь полу-богом, как муза твоя»...
«Ты бог поэзии осмысленно живой»...
«Копия поэзии тебе дано взнуздать»...

„იალტაში ცხოვრობს ადამიანი, რომელიც გულგრილი არ არის თქვენდამი“, — სწერდა ბალმონტს ა. ჩეხოვი. „ლ. ტოლსტოიზე დიდი შთაბეჭდილება მოგიხდენიათ“, — ატყობინებდა ჩეხოვი სხვა წერილში.

საქართველოსათვის ბალმონტი, უწინარეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელია. რუსთაველის პოემას მანამდეც ჰყავდა მთარგმნელები. პირველი მათგანი ნაკლებად ცნობილი რუსი პოეტი იპოლიტე ბარტდინსკი იყო. მისი მთარგმანი გამოიცა პეტერბურგში 1845 წელს. იგი შთაგონებული იყო იქ მცხოვრებ და მომუშავე მეცნიერ ქართველოლოგთა წრით. რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი და თეიმურაზ ბაგრატიონი. ბარტდინსკიმ ლექსით მიმართა მთარგმანის ერთ-ერთ თანამონაწილეს, სამეგრელოს მთავრის — დავით დადიანის ძმას გრიგოლ ლევანის ძე დადიანს:

...Пора, пора сломать печать забвенья
И в глушь веков промять следы,
Дай руку мне, товарищ песнопенья.
Пойдем к ключу испить живой воды...

ბარტდინსკის თარგმანი, ცხადია, ვერ იდგა ორიგინალის სიმალლეზე, მაგრამ მან გადაჭრა ერთი უდავოდ დიდი საკითხი, რითაც, მთარგმნელისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მან „ვეფხისტყაოსანი“

Исторг из тех скупых объятий,
Которым прошлого для будущего жаль...

აქვე აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ადრეულ თარგმანები ვერ ამალღდა ორიგინალამდე თუნდაც იმიტომ. რომ მათი ავტორები, რუსთაველისა და მისი პოემისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, არ იყვნენ დაჯილდოებული მაღალი პოეტური ნიჭით. ამ საქმეს მათ მოახმარეს მთელი თავისი ცოდნა და უნარი, მაგრამ ამოდ გვარწმუნებდნენ, რომ ამით ამოიწურება შესაძლებლობა, რომელიც ხელთ აქვს „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს. მათი დამარცხება, შესაძლოა იმითაც იყო გამოწვეული, რომ სათარგმნი ნაწარმოები მთარგმნელის ტემპერამენტის ფოკუსში არ მოხვედრილა.

დენი დიდრო ამბობდა: „ვენებები ქმნიან ყველაფერსო“. პედნიერ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს ისეთი პოეტის რუსთაველთან შემოქმედებითი შეხვედრა. როგორც კონსტანტინე ბალმონტი იყო.

ბალმონტი პირველია, რომლის სახელსაც უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე.¹ იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო, როცა შეუდგა ამ საქმეს. „ვეფხისტყაოსნის“ გაეცნო ოკეანეზე მოგზაურობის დროს. მარჯორი უორდროპის თარგმანი იყო მისი მაცნე.

რუსთაველის შემოქმედების გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება ბალმონტმა გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ საშუალებით გაუზიარა რუს მკითხველს, წერილი ქართულ გაზეთ „თემში“ გადმობეჭდეს. ეს იყო პირველი ცნობა, რომლითაც ქართველმა საზოგადოებამ რუსთაველზე მისი პოემის

¹ ბალმონტმა „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგისეული გამოცემიდან თარგმნა. ამ პოემას ინდო-ხატაელთა ამბავი აკლია. იგი თარგმნა და ბალმონტის შრომას დაურთო ელენე ჩარლოვსკაიამ.

მომავალი მთარგმნელის აზრი მოისმინა. „ბედმა მარგუნა გზა-ში სიხარული — წერდა ბალმონტი, — პირველსავე საღამოს გემზე რუსულად დამელაპარაკა ინგლისელი, რომელიც საღამოს ჩემს პირდაპირ იჯდა. ამის შემდეგ ტენერიფამდე, სადაც იგი მიდიოდა, მე და ის სულ რუსულად და ინგლისურად ვლაპარაკობდით. ეს იყო ოლივერ უორდროპი.¹ მან შეისწავლა რუსული ამას წინათ გარდაცვლილი ჩემი უფროსი მეგობრის ოქსფორდის მეცნიერ უილიამ მორფილისაგან. მისტერ უორდროპის დას კარგად იცნობენ საქართველოს მცხოვრებნი. მან მშვენივრად თარგმნა ინგლისურად რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

რედაქციისაგან გამოთქმული იყო იმედი, რომ აღმოსავლური პოეზიის მოყვარული და მკოდნე პოეტი უეჭველად ღირსეულად დააფასებდა შოთას უკვდავ ნაწარმოებს და შეიძლება ლექსადაც ეთარგმნა იგი.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ის ცალი, რომელიც ხელთ ჰქონდა ბალმონტს მუშაობის დროს. წიგნი გამოცემულია 1912 წელს, სატრატულო ფურცელზე ბალმონტის ხელით იგივე წელია მითითებული. ნაბეჭდ ტექსტში ფანქრით ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია შენიშვნები ინგლისურ ენაზე. რამდენიმე მომცრო ფურცელი, რომლებიც ჩატოვებულია წიგნის გვერდებს შორის, შევსებულია „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის პირველი ჩანაწერებით. სულ ოთხი ფურცელი, სამათეულამდე თარგმნილი სტროფით, მეტყველებს, რა მონდომებით დაეწაფა ბალმონტი ახლად გაცნობილ პოეტურ ქმნილებას, რომელსაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. „ვეფხისტყაოსანს“ ბალმონტი აყენებდა ყველა იმ ნაწარმოებზე მაღლა. რომლებიც სიყვარულისათვის მიუძღვნიათ მთელ ვეროპაში. იგი პოემას უწოდებდა „სიყვარულის ცისარტყელას. ზეცისა და მიწის შემაერთებელ ცეცხლოვან ხიდს“.

¹ ოლივერ უორდროპი (1865—1945) — ინგლისელი დიპლომატი. საქართველოში იყო ორჯერ (მეორედ დასთან, მარჯორისთან ერთად). იცოდა ქართული, 1888 წელს ლონდონში გამოსცა წიგნი „საქართველოს სამეფო“.

ბალმონტს უკვე სწყუროდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ 1907 წელს პარიზში გამოვიდა პოეტის რევოლუციური ხასიათის ლექსების კრებული „შურისმაძიებლის სიმღერები.“ რის გამოც მას აეკრძალა რუსეთში ცხოვრება. სასტიკად იხჯებოდა მისი წიგნის რუსეთში შემომტანიც.

ამ პერიოდში ბალმონტი ბევრს მოგზაურობდა. ძირითადად კი ცხოვრობდა პარიზში.

ოლივერ უორდროპის შესყუდრიდან ერთი წლის შემდეგ ბალმონტს ესტუმრა იმხანად პარიზში მყოფი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი. ამ შეხვედრის შესახებ ცნობას გვაწვდის, ერთი მხრივ, თვითონ პაოლო, მეორე მხრივ, ბალმონტის ქალიშვილი ნინო ბრუნი: „1913 წელს ჩვენ მწვანით დაბურული პარკის „ტროკადეროს“ მახლობელ მშვიდ კვარტალში პასიში ვცხოვრობდით. ბალმონტი და დედა მეტად დაკავებული იყვნენ საქმით და სტუმრებისათვის მხოლოდ კვირა საღამომობით იცლიდნენ. ამ დროს მოულოდნელად, ორი თუ სამი მეგობრის თანხლებით, ჩვენთან ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი მოვიდა. მან ბალმონტს მოზრდილი, ტყავში ჩასმული ზიჩის დიდებული გრავიურებით დასურათებული წიგნი დაუტოვა. ეს წიგნი ჩემთვის უცნობ ენაზე იყო დაბეჭდილი. იგი რამდენადმე „ათას ერთი ღამის“ ტომს მაგონებდა. მისი ფურცლა, ჩემდა სასიხარულოდ, შემეძლო თავიდან და არა ბოლოდან. როგორც არაბული ზღაპრებისა... კარგად მახსოვს პაოლო, — განაგრძობს ნინო ბრუნი. — ახალგაზრდა, ელეგანტური და ლამაზი. ისეთი გზნებით ყვებოდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. რომ მშვიდად ვერ იჯდა სკამზე. ხშირად წამოხტებოდა და საუბარს ფეხზე დამდგარი განაგრძობდა. მოკლე ფრაზით ქართულად შეესიტყვებოდა თანხლებ მეგობრებს. ზოგჯერ ზეპირად კითხულობდა პოემის ნაწყვეტებს. პაოლო შემდეგშიც არაერთგზის მოსულა ჩვენთან. მის მიერ მოტანილი წიგნი კი არ მოსცილებია მამის სამუშაო მაგიდას. შემდეგში მე ხშირად ვათვალისწინებდი უკვდავ პოემას და ბალმონტი მიყვებოდა მის გმირებზე, მათ ფათერაკიან თავგადასავალზე.“

„ეს ზამთარი ბალმონტმა პარიზში გაატარა. — ვკითხუ-

ლობთ პაოლო იაშვილის წერილში, — და მე შემთხვევა მეძლეოდა ხშირად შეეხვედროდი მას. ქართულმა ენამ მასზე და მის მახლობლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველი გაცნობისას ბალმონტს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის „ვეფხისტყაოსნის“ გაღატაკების შესახებ, მაგრამ შემდეგში, როდესაც, მისივე თხოვნით, წაუყუთხე ადგილები პოემიდან და გადაეუთარგმნე ქართულად რამდენიმე მისგანვე არჩეული სიტყვა, მან სტუმრების თანდასწრებით ალტაცებით წარმოთქვა: „მრავალი ქვეყანა მინახავს. ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია, და საქართველოში, რომელიც ასე ახლო არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე. რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“.

ქართულ მეგობართა იმ ფართო წრიდან, რომელიც შემდეგში ბალმონტმა თავის გარშემო შემოიკრიბა, პაოლო იაშვილი იყო მისთვის პირველი ნაცნობი რუსთაველის ქვეყნიდან და ქართულ ენაზე მისი ლექსების პირველი მთარგმნელიც. როცა ბალმონტს გაუგია, რომ საქართველოშიც იცნობენ და თარგმნიან მის ლექსებს, კიდევ ერთხელ გამოუთქვამს ამ ქვეყნის ნახვის სურვილი: „ვერ წარმოიდგენთ, — უთქვამს მას პაოლოსათვის, — როგორი ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“¹ პ. იაშვილისათვის ნაჩუქარ წიგნზე. წაუწერია: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მარგალიტი კავკასიისა — აყვავებული საქართველო“.

ასე ჩაისახა გეგმა ბალმონტის საქართველოში გამომგზავრების.] შეხვედრებში გამოაჩინა მან ჩვენი ქვეყნის გაცნობის ის წყურვილი, რომელიც, გოეთეს თქმით, უცხო ნაწარმოების თარგმნისათვის მუდამ უნდა ებადებოდეს პოეტს.

კონსტანტინე ბალმონტისადმი ქართველების სიყვარულსა და პატივისცემას დასაბამი მიეცა მაშინვე. როცა მათს ყურადღე მოაღწია განთქმული რუსი პოეტის სახელმა და ცნობილი

¹ პ. იაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი, გაზ. „თემი“, 1914, № 170, გვ. 2.

გახდა, რომ იგი ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, შოთას პოემას, გაეცნო. მას შემდეგ შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ბალმონტს და, რა თქმა უნდა, არც ის გამოპარვიათ, რომ ემიგრაციაში მყოფ პოეტს სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთო. ქართველებმა დეპეშით მიმართეს „რუსსკოე სლოვოს“, სწორედ იმ გაზეთს, რომელშიც დროგამოშვებით აქვეყნებდა უცხოეთში მყოფი ბალმონტი თავის შთაბეჭდილებებს, და რომლის ფურცლებზედაც პირველად ამოიკითხეს: „ბედმა მარგუნა გზაში სიხარული...“ დეპეშა შემდეგი შინაარსისა იყო: „მივესალმებით მზის შთაგონებული მომღერლის სამშობლოში დაბრუნებას. ჩვენ გვხიბლავს იმედი, ვინილოთ იგი საქართველოს მთებსა და ველებში, რომლებმაც შთააგონეს მზიური რუსთაველი, შუქნათელი პუშკინი და ელვისებური ლერმონტოვი. გვხიბლავს ის აზრიც, რომ ის, ვინც განიცადა ყველა ხალხი და საუკუნე, შესძლებს ჩასწვდეს „ვეფხისტყაოსნის“ ღვთაებრივ შემოქმედსაც“.

მილოცვა ჰგავდა ნატვრას — ეხილათ რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეულად მთარგმნელი. დეპეშას ხელს აწერდნენ გაზეთ „თემის“ რედაქციიდან გრიგოლ დიასამიძე, ალექსანდრე ყანჩელი, თამარ ყანჩელი, კონსტანტინე დოდაშვილი და ალ. აბაშელი. ასეთივე წრფელი გრძნობით აღსავსე საპასუხო დეპეშა გამოუგზავნა ბალმონტმა გაზეთ „თემის“ რედაქციას: „მზიური სალამი შთაგონებული რუსთაველის სამშობლოს, პოეტურ საქართველოს. სიყრმიდანვე საყვარელს“.

• • •

[ბალმონტი საქართველოში სულ სამჯერ იყო. პირველი მისი ვიზიტი 1914 წლის აპრილში განხორციელდა] განაფხულის თბილ და ალერსიან დღეს შემოდგა ფეხი საქართველოს მიწაზე ჩვენი ერისა და კულტურის დიდმა მეგობარმა კონსტანტინე ბალმონტმა. „ექვი არ არის, ქართველი საზოგადოება

ჩვეულებრივის სტუმართმოყვარეობით დახვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს და არ გაუქარწყლებს იმ შშვენიერ წარმოდგენას, რომლითაც იგი ჩვენში მოდის, — იწერებოდა ჯერ კიდევ პარიზიდან პაოლო იაშვილი. პირველი სტუმრობა მოკლე დროით იყო განზრახული. საზოგადოების წინაშე ბალმონტი, როგორც მთარგმნელი, ამჯერად ვერ წარსდგებოდა. ეს მომავლის საქმე იყო. ახლა იგი ჩაატარებდა მხოლოდ საინტერესო ლექციებს. აფიშები იუწყებოდნენ, რომ 13 და 14 აპრილს თბილისის არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ბალმონტი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „პოეზია, როგორც ჯადოსნობა“ და „ოკეანეთი“. გაზეთებსა და ჟურნალებში დაიბეჭდა ბალმონტის ლექსების თარგმანები, პოეტის სურათები. ერთ-ერთი მათგანის ქვეშ მიწერილი იყო: „კონსტანტინე ბალმონტი, უკანასკნელი სურათი, საკუთრივ ჩვენი გაზეთისათვის გამოგზავნილი პარიზიდან“. მეორე სურათს ახლდა ბალმონტისადმი მიძღვნილი კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსი „ტბის ასული“. გაზეთ „კავკაზსკაია რეჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პეტერბურგიდან მიღებული ალექსანდრე აბაშელის ლექსი „ბალმონტს“.

[მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება ემზადებოდა პოეტის შესახვედრად.]

10 აპრილის საღამოს, საქართველოს სამხედრო გზით ბალმონტი ესტუმრა თბილისს. შემოუდგამს თუ არა ფეხი საქართველოში, პოეტს უთქვამს: აქ ყველაფერი სხვანაირიაო. ქართველებს წინასწარ არ სცოდნიათ მისი ჩამოსვლის დრო. სასტუმრო „გრანდ ოტელთან“ ეტლიდან ჩამოსული სტუმარი სურათით უცნია გზად მიმავალ ერთ-ერთი გაზეთის ექსპედიტორს გ. პეტრიაშვილს. ცნობა ბალმონტის ჩამოსვლის შესახებ სწრაფად გავრცელდა თბილისის საზოგადოებაში. სასტუმროში ეახლნენ მასპინძლები. შეგებებისას თამარ ამირეჯიბს სტუმრის ფერხითი დაუყრია ყვავილები. ბალმონტი დათანხმეს 12 აპრილს მისი ჩამოსვლის საპატივცემულოდ საზეიმო საღამო ჩატარებინათ. ამ შეხვედრის მოწყობას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თაობდა. მას თეატრალური და ფილარმონიული საზოგადოებებიც შეუერთდნენ. ხშირად ერთი დღე როდი კმარა სა-

ზოგადოების ყურადღების შემოსაქრებად. აფიშების დამზადება და გაკვრაც კი ვერ მოესწრო, მაგრამ 12 აპრილს ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობისკენ ზღვა ხალხი მიედინებოდა. თბილისში ბალმონტის ჩამოსვლას პრესა აღფრთოვანებით გამოეხმაურა. გაზეთი „კავკაზსკაია რეჩი“ წერდა: „...რა კარგია, რომ ადრეულ გაზაფხულზე გვეწვია გამარჯვებული ცეცხლის მზიური თაყვანისმცემელი, ზაფხულის უსასრულო სახარულთა მაცნე — ბალმონტი...“

12 აპრილს ქართული თეატრის შენობა სავსე იყო ხალხით. გამოჩნდა თუ არა ბალმონტი, გაისმა მუსიკის ხმა. მანდილოსნებმა ყვავილით მოფინეს პოეტის სავალი გზა. ხალხმა ტაშის გრილითა და შეძახილებით მიაცილა იგი სადირექტორო ლოჯამდე. ორკესტრმა შეასრულა სიმღერა „სამშობლო“. ყველ შესცქეროდა ბალმონტს და ყველას შეჰხაროდა ბალმონტი „რიცხვით ქართველები ცოტაა... მაგრამ დიდებული ერია. მათი გულები არ არის ცარიელი და პატარა, რადგან მათ შეუძლიათ ავსება უდიდესი სიყვარულით“, — ასე ფიქრობდა სტუმარი.

პირველი სიტყვით ბალმონტს მიესალმა „საქართველოს უგვირგვინო მეფე“ — აკაკი წერეთელი.

„როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ, რუსები, — აღნიშნა აკაკიმ, — მაშინ ჩვენ, შთამომავლობას, ანდერძად დაგვიბარეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყოფლად ვიაროთ ერთი გზით.“

მას შემდეგ მთელმა საუკუნემ განვლო და ეს წმინდა ანდერძი, ჩვენი ცდისა და მზადყოფნის მიუხედავად, ჩვენს მიმართ სისრულეში ჯერაც არ არის მოყვანილი.

არ სრულდება იმიტომ, რომ განსხვავებულად ესმით მისი აზრი. ერთი მხარე ფიქრობს, რომ სიყვარულის, ძმობისა და ერთობისათვის საჭიროა გული, მეორე კი ფიქრობს — მხოლოდ ძალა.

ღირსების დაუფასებლობა იმ ხალხისათვის, რომელსაც პრავალი ათეული საუკუნე თავისუფლად, კულტურულად და დამოუკიდებლად უცხოვრია, მეტად გულსატკენია..

მაგრამ ნუ მოვიგონებთ წარსულს.

მადლობა ღმერთს, ახლა მომრავლდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც გვიპირდებიან გაზაფხულს, რომელიც, ეკლებს კი არა, ყვავილებს მოგვიტანს.

ერთ მათგანს ვხედავთ დღეს ჩვენს შორის — უაღრესად სიმპათიურ ინტელიგენტსა და გამოჩენილ პოეტს კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონტს. მივესალმოთ, ბატონებო, მას, როგორც გაზაფხულის პირველ მერცხალს, ჩვენი გულითადად მრავალყამიერით“!

დასრულდა აკაკის მისალმება და თეატრის შენობა დიდ ბულმა ჰანგმა აავსო, ჰაერიც კი გაიყვინთა დღეგრძელობისა და სიცოცხლის ჰიმნით. ამ საზეიმო ხმაზე ქერმა თითქოს მაღლა აიწია. ურთიერთგაგებისა და სიყვარულის თბილი გრძნობა დაეუფლა დამსწრეთა გულებს. ტკბილი იყო ეს განცდა და სტუმარიც, რომელსაც აკაკიმ ერის გულისტკივილი გაანდო, თავისი კეთილი ზრახვებით ორ ერს შორის მომავალი კულტურული ურთიერთობის საწინდარივით იდგა.

აკაკის შემდეგ მოკლე სიტყვით ალექსანდრე ყანჩელი გამოვიდა. კონსტანტინე დოდაშვილმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა ქართული პოეზიის შესახებ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ბალმონტი. გრძნობამორეულია მადლობას იხდიდა ასეთი შეხვედრისათვის, იმ ყვავილებისათვის, გზადაგზა რომ უფენდნენ, სიყვარულისათვის, რომლითაც გარემოცული იყო.

ბალმონტმა წაიკითხა ექსპრომტად შეთხზული ლექსი, რომელიც მიუძღვნა შოთა რუსთაველის სამშობლოს:

Скажите вы, которые горели,
Сгорали и сгорели любовью.
Вы, знающие строки Руставели,
Вы, чей язык и строен и красив.
Скажите, что со мной? Я весь — порыв,
Я весь — обрыв, и я нежней свирели.
Мне тоже в сердце вдруг вошло копье,
И знаю я, любовь постигнуть трудно.
Вот вдруг пришла, пусть все возьмет мое.
Пусть сделает, что будет, безрассудно.
Хочу. Горю. Молюсь. Люблю ее!

1 ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. XV, გვ. 502. სიტყვა ~~მადლობა~~ უნდა იქნება რუსულ ენაზე.

ქართველ მგოსანთა ლექსები და ბალმონტის ლექსების ქართული თარგმანები წაიკითხეს: გრ. დიასამიძემ, ალ. ყანჩელმა, ს. ზავრიევიმა, კ. ერისთავმა და ვ. შალიკაშვილმა. ფილარმონიული საზოგადოების შეგირდებმა ზაქარია ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულეს რამდენიმე ქართული სიმღერა. შემდეგ სტუმარს უჩვენეს ცეცხლოვანი ქართული ცეკვები. დასასრულ, სცენაზე ცოცხალ სურათად წარმოადგინეს ქართული პოეზიის პანთეონი. აქ თითქოს პირადად ეცნობოდა ბალმონტი ქართული სიტყვის ოქრომკვდლებს. ბევრი იყვნენ ისინი. ალბათ, ამ დროს გაუფლვა პოეტს აზრმა: „ქართულ მწერლობას რომ ვუცქერი, ვფიქრობ, მართალია, ფიზიკურად თუ პოლიტიკურად ბევრი ერი იმონებდა, მაგრამ სიტყვის თვალსაზრისით ბევრი ერი დაიმონეს.“¹

სალამოს დასასრულს ბალმონტი დარბაზში გაწყობილ ვახშამზე მიიპატიჟეს, ქართული სუფრის მადლს აზიარეს. ალექსანდრე ყანჩელი ყოფილა ამ მრავალსტუმრიანი სუფრის თამადა. ალტაცებაში მოუყვანიათ მგრძნობიარე სტუმარი. ამ დღეს ეკუთვნის ექსპრომტიც, რომელიც პოეტს გამოთხოვების ჟამს წარმოუთქვამს:

Мне в жизни многое знакомо,
Но здесь я понял первый раз,
При звуке слов, при блеске глаз,
Что вдруг, я на чужбине — дома.

ამ შეხვედრისას ბალმონტმა შეიცნო ჩვენი სულიერი კულტურის ნიშანი — თავყვანისცემა პოეზიისა და პოეტის მიმართ. აქ დაიჭერა, რომ სწორედ ამ ხალხში უნდა შობილიყო პოეზიის გენია. კვლავ რუსთაველით შთაგონებულმა წაიკითხა შემდეგი ლექსი:

Если можно молиться любу,
Я люблю о любви умоляя, —
Потому, что сияние рая
С колыбели коснулось тебя.
И ласкало горенне рая
В предраассветные годы меня, —
В нас обеих — дрожанье огня,
Мы любили друг-друга не зная.
И когда от тебя я уйду,
Если сердце захочет молиться,

¹ პ. კოტეტიშვილი, გაზ. „რუბიკონი“. 1923, № 4, გვ. 1.

И с тобою в мечтании слиться,
Отыщу я на небе звезду.

ამავე საღამოზე ახალგაზრდა ქართველ ქალს, ნინო ანდრო-
ნიკაშვილს, რომელმაც ცეკვა „ქართული“ შეასრულა. ბალ-
მონტმა შემდეგი ლექსი უძღვნა:

Твое лицо — лицо камен,
Твои движения — поцелуй.
Ужалъ меня, как жалят змеи,
Мени до смерти затащуй.

ცხადია, იმ დღეს თეატრის დარბაზში გაშლილი ქართული
სუფრა მისთვის ჩვეულ შნოსა და ლაზათს მოკლებული არ
იქნებოდა. ქართულმა ღვინომ სითბო შემატა იქ შეკრებილთა
გულსა და გრძნობას; გალობისათვის შეწყობილმა ხმებმა სიმ-
ღერად აქციეს სტუმარი პოეტის გულში ჩვენდამი შობილი
სიყვარული. ყოველივე ნანახი, გაგონილი და ნაგრძნობი მან
პოეტურ სტრიქონებად აქცია, პირად წერილებში და გამო-
სვლებში ასახა.

ჩვენი ენის არცოდნა არ აბრკოლებდა ბალმონტს, გაეგო, თუ
რა აღელვებდა და ახარებდა ხალხს, რომელსაც პირველად ხე-
დავდა ასე ახლოს. გრძნობდა, შეულახავი სინდისი და უკიდვ-
განო სიკეთე გულისა აამაყებდა ამ მცირერიცხოვანი ერის;
შვილებს; მიხვდა, იცოდნენ მათ თავისი ფასი, მაგრამ მოკრძა-
ლებით უცხოთაგან მოელოდნენ მის აღიარებას.

იმ დღეს კიდევ უფრო გასაგები გახდა ბალმონტისათვის
ის აღტაცება, რომელსაც ამ ქვეყნის მიმართ საქართველოში
ნამყოფი რუსი პოეტები გამოხატავდნენ. საქართველოს მზემ
ჯანმრთელობა და სიცოცხლე შემატა ამ პოეტებს და მათ პოე-
ზიას. შემთხვევით არ უთქვამს, ალბათ, ნიკოლოზ ტიხონოვს
სერგეი ესენინის შესახებ: საქართველოში რომ ჩასულიყო,
შესაძლოა სიკვდილსაც ასცდენოდაო.

ქართული მიწის მადლს ნაზიარები რუსი პოეტები ახლოს
განიცდიდნენ ქართველი ხალხის ჭირსა და ვარამს. ჩვენდამი
თანაგრძნობა და სიყვარულია გამოხატული ა. ბელის სიტყვებ-
ში: «Кровь Грузии старое очень вино, настоявшееся на
глубоких страданиях... Грузия выстрадала; первая
здесь принимала удары монголов и персов...»¹

მრავალი გასაჭირის მიუხედავად, სევდას ვერ დაუმონებია ქართველი ხალხი. გასაჭირმა სიყვარული გააძლიერა და სიყვარულმა კი სიმღერა. მთელი საქართველო სიმღერააო, — წერდა ანდრეი ბელი. ეს სიმღერა გუგუნებდა ბალმონტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე და მისი საზეიმო, მხნე და დაუძლეველი სული პოეტში განამტკიცებდა აზრს, რომ საქართველო დაუმონებელი ქვეყანაა.

ამ ბანკეტზე ბალმონტი დაასაჩუქრეს მშვენიერ ყდაში ჩასმული შოთა რუსთაველის პოემით, რომელიც მას „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ მიართვა; პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ბალმონტს თავისი ლექსების კრებული უძღვნა; ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა პოეტს გადასცა ჟურნალის ის ნომერი, რომელშიც მისი სურათი და ლექსები იყო გამოქვეყნებული.

ამ შეხვედრაზე ბალმონტმა ქართველი საზოგადოების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი გაიცნო. ისინი მთელი ერისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს გამოხატავდნენ. პოეტმა იგრძნო ამ ახლად გაცნობილ ხალხთან სიახლოვის დიდი სურვილი, ამ ერის სანუკვარ ოცნებებს ეზიარა და მათ განხორციელებაში საგრძნობი წვლილის შეტანა განიზრახა. ქართველები ახლა უკვე იმედიანად წერდნენ: „კ. ბალმონტს, როგორც შევიტყვეთ, განუზრახავს ქართული ენის შესწავლა, რათა დედანში წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ და ისე შეუდგეს თარგმნასო“².

მართლაც, ამ შეხვედრით უსაზღვროდ ნასიამოვნებ ბალმონტს, რომელსაც საზოგადოება სასტუმრომდე მიჰყვა, ბანკეტიდან თან მიჰქონდა ქართული ენის სახელმძღვანელო და ამ ენაზე დაწერილი ლიტერატურისადმი ღრმა სიყვარული. მიჰქონდა შოთას უკვდავი პოემა, რომელმაც მისი სახელიც დაუვიწყარი გახადა რუსთაველის სამშობლოში.

ბალმონტთან საზეიმო შეხვედრას მრავალი ქართველი მან-

¹ ანდრეი ბელი, „Начало века“, 1920, გვ. 216.

² ჟურნ. „ქალღე“, 1914, № 16, გვ. 13.

დილოსანიც დაესწრო. ერთ-ერთმა მათგანმა — ნინო ყიფიანმა — სტუმრისათვის სათქმელი სიტყვა ეურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდა. იგი ბოდიშს იხდიდა, რომ თავისი ყურადღება სტუმრისადმი საჯაროდ ვერ გამოხატა და მხოლოდ წითელი ყვავილის მიწოდებით შემოსისაზღვრა. „მგოსანო, — მიმართავს ნინო ყიფიანი ბალმონტს, — სასიქადულო თანაბრად ყოველთა, ქართველი ქალი შენ ბევრს გეტყოდა... მაგრამ ისეთს კი, რას გაგონებაც შენაა პოეტურ, გრინობიერ გულსა აატირებდა, ღვთიური მადლით მირონცხებულ შუბლს. მოგიქმულავნიდა და ეს ყველა — კი შექლახავდა სტუმრად მოყვრულ წმინდა გრძნობასა...“ თავის სათქმელში ნინო ყიფიანიც იმასვე გულისხმობდა, რაც აკაკი წერეთელმა ზემოთ მოყვანილ სიტყვაში გამოხატა.

ადრინდელმა შთაბეჭდილებებმა, შეხვედრებმა, მიწერ-მოწერამ, ცხადია, ბალმონტის გულში გზა გაუკაფა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის სურვილს, მაგრამ ქართველებთან მათსავე მიწა-წყალზე პირადმა ნაცნობობამ ბალმონტი საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

1912 წლიდან მოყოლებული ქართველები ეჩვეოდნენ იმ აზრს, რომ ბალმონტი რუსთაველის პოემის მთარგმნელი უნდა ყოფილიყო. ამის გამო სიყვარულს, რომელსაც იმსახურებდა ბალმონტი, როგორც პოეტი, ქართველებს თვალში თან ერთვოდა განსაკუთრებული ყურადღება და მადლიერებაც.

ორკვირიანი სტუმრობის შემდეგ ბალმონტი საქართველოდან პეტერბურგს უნდა გამგზავრებულიყო. ოცნება წინ უსწრებლათ სტენარტმოყვარე ქართველებს — შემოღვგომაზე აბრჩებს ბალმონტი თბილისში ჩამოსვლას კარგა ხნითო, ამის თქმა უფრო სიამოვნებდათ. ბალმონტიც მიდიოდა საქართველოდან და წუხდა, რომ ვერ მოახერხა დასაველეთ საქართველოს ნახვა, სადაც ასე მოელოდნენ. მაგრამ მომავალი შეხვედრების წილად ბევრი რამ რჩებოდა საინტერესო. ის, რის ნახვაც მოასწრო, მასში ისეთ აღტაცებას იწვევდა, თითქოს უეცრად ახალ, ზღაპრულ სამყაროში მოხვდა.

1 ნ. ყიფიანი, კ. დ. ბალმონტს, ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 1914, №7.

შეაქმედებითი მოღვაწეობის დიდ მანძილზე ბალმონტს საზოგადოების ყურადღება არასოდეს მოჰკლებია; მაგრამ ქართველი ხალხის სიყვარულსა და ყურადღებას იგი მეტისმეტად მოუხიბლავს. ეს გრძნობა გამოთქმას ითხოვდა და პეტერბურგში გამგზავრების წინ ქართველ საზოგადოებას ბალმონტმა წერილით მიმართა, რომელიც გაზეთ „თემში“ და „ზაქავკახსკაია რეჩში“ გამოაქვეყნეს: „დავამთავრე დიდი მოგზაურობა რუსეთში... არ შემიძლია არ გაგიზიაროთ, რომ, თუ მთელ რიგ ქალაქებში მსმენელნი არა მარტო თანამიგრძნობდნენ, არამედ ზოგჯერ ალტაცებულნიც რჩებოდნენ, ისე არსად არ გამხარებია თანაგრძნობა, როგორც საქართველოს მშვენიერ დედაქალაქში. მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ქართველი საზოგადოება ასეთი სიმპათიით შემხვდა... ხვალ ვტოვებ საქართველოს და გულითად სალამს ვუძღვნი ჩემი შემოქმედების ყველა მეგობარს, ვინც მე მზე მაჩუქა“.

* * *

საქართველოში პირველი ვიზიტის დროს. ოფიციალური შეხვედრების გარდა, ბალმონტი არაერთგზის ყოფილა ქართველთა შორის ვიწრო ოჯახურ წრეშიც. ასეთი ოჯახი მრავლად იყო თბილისში. მათ შორის დავასახელებთ კონსტანტინე ერისთავის ოჯახს. ამ წარჩინებული თავადის მოხდენილი გარეგნობა აღ. კუპრინსაც აქვს აღწერილი. კ. ერისთავის მოღვაწეობას სპეციალური შრომა უძღვნა სოლ. ცაიშვილმა. ბალმონტი ალტაცებაში მოუყვანია ამ ოჯახში ნახულ მხატვრული ტილოების, უნიკალური ნივთებისა და იარაღის კოლექციას. ბალმონტი აქ თავისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს ხვდებოდა. ერისთავის ქალიშვილები ფორტეპიანოზე საკუთარი აკომპანემენტის თანხლებით შემდეგშიც დიდხანს ასრულებდნენ მელოდეკლამაციას ბალმონტის სიტყვებზე.

ბალმონტი მიუწვევიათ სახელგანთქმული ექიმის ბეგთაბეგოვის ოჯახშიც, სადაც სტუმართმოყვარე ქართველი დიასახლისი თავს უყრიდა ქალაქის წარჩინებულ საზოგადოებას. ამ ოჯახში ყოფილან თბილისში ჩამოსული პოეტები: აგნიცევი, ბობირევი, სახელგანთქმული რუსი ბალერიანა კშესინსკაია და სხვები. ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო გერონტი ქიქოძე.

ბალმონტი სტუმრად ყოფილა მშვენიერ და განათლებულ ქალთან—ელენე ორბელიანთან. მან შემდეგში „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე თარგმნა. ელენე ორბელიანის ალბომში, რომელიც ამჟამად საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენს, ბალმონტს ჩაუწერია. «Когда в юности, в годы влюбленных грёз, я мечтой ризовал себе гурний, мне всегда представлялись грузинки...»

ერთი მინაწერი შემორჩა აგრეთვე ბალმონტის ლექსების კრებულს „ჩრდილოეთის ცის ქვეშ“, რომელიც ავტორს თამარ ამირეჯიბისათვის უჩუქებია. ბალმონტის მეგობრები იგონებენ, რომ გამგზავრებისას, სადგურზე პოეტმა ამ სტროფით მიმართა თამარს:

Одна мечта, одна звезда.
Одно высшее желание!
Скорее в Грузию, сюда!
Вернусь, так помни, до свидания!

ქართველ მეგობრებთან ერთად ბალმონტი ორთაქალის ღუქნებსაც სწევია. გადმოცემით ვიცით, რომ ერთი ღუქნის კედელზე მას ბექდის თვალით ამოუფხაჭნია ლექსი, რომლის სიტყვები, სამწუხაროდ, არავის ახსოვს.

ბალმონტი ყველაზე უფრო ალექსანდრე ყანჩელის ოჯახთან იყო დაახლოებული. თავისი დიდი შრომის წინასიტყვაობაშიც, სადაც მადლობას უხდის ქართველ მეგობრებს, რომელთა სულიერმა სიახლოვემ ხელი შეუწყო თარგმანის შესრულებაში, ბალმონტი, უპირველეს ყოვლისა, ცოლ-ქმარ, თამარ და ალექსანდრე ყანჩელებს ასახელებს.

ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი (1875—1952) ცნობილი აურისტი და, ლიტერატორი იყო. ჯერ კიდევ მოსკოვში სტუდენტობის დროიდან ბექდავდა იგი საინტერესო წერილებს გაზეთებში — „კურიერ“ და „რუსსკაია მისლ“. 1900 წლიდან კი ყანჩელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მრავალი ქართული ჟურნალ-გაზეთის გამოცემაში. უმნიშვნელო არაა მისი დეაწლი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაშიც. საზოგადოდ, ყანჩელი ფართო განათლების, მაღალი კულტურისა და გემოვნების ადამიანი იყო. აღზრდის, ნიქისა და განათლების წყა-

ლობით იგი ამ საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების წარჩინებულთა შორის ითვლებოდა. მისი ოჯახი ყოველთვის იზიდავდა ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულთ. ამას ხელს უწყობდა ოჯახის დიასახლისი, ალექსანდრე ყანჩელის მეუღლე — თამარ ამირეჯიბი, საზოგადოებაში დიდად მიღებული, განათლებული და სათნო ქალი. ამ სტუმართმოყვარე ოჯახს მეგობართა შორის შეიძლება დავასაივლოთ: ვანო სარაჯიშვილი, იაკობ და ნიკო ნიკოლაძეები, ზაქარია ფალიაშვილი, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, პეტრე მირიანაშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, რაქდენ გვეტაძე, ალ. აბაშელი, ლეო ქიაჩელი და სხვები. ბევრი მათგანის პოეტური შემოქმედება რუსმა მკითხველმა ალექსანდრე ყანჩელის თარგმანებით გაიცნო.

როგორც ყურნალისტი, იგი ახლოს იყო პრესის წარმომადგენლებთანაც. გაზეთ „თემის“ რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე მისი უახლოესი მეგობარი იყო და, საფიქრებელია. მათი თაოსნობით დამყარდა კავშირი პირადად ჯერ კიდევ უცნობ კონსტანტინე ბალმონტთან. გაზეთ „თემის“ რედაქციამ პირველმა გააოქმედებინა ცნობები ბალმონტის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. მისსავე ფურცლებზე მოთავსდა პოეტის ფოტოსურათი, აქვე დაიბეჭდა ბალმონტის ლექსების იაშვილისეული თარგმანები. ამ რედაქციის წევრებმა მიულოცეს ბალმონტს რუსეთში დაბრუნება. მისალოც დეპეშას სხვებთან ერთად თამარ ამირეჯიბიც აწერდა ხელს და იგი მხოლოდ ალ. ყანჩელის მეუღლეობის გამო არ იყო ნახსენები. თამარ ამირეჯიბი მის ოჯახში შეკრებილ პოეტთა თუ ხელოვანთა წრის აუცილებელი და სასურველი წევრი იყო. ყანჩელებთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს ბალმონტს ექსპრომტად უთქვამს:

Какая вещь Касандра
 Велик душе любить качеств,
 О тень Гюго, о, призрак Саидро.
 Навек да здравствуют Качели.

ყანჩელებს ახლო მეგობრობა ჰქონდათ რუსული სცენის

გაშოჩენილ მოღვაწეებთან, რომელთა შორის აღსანიშნავია მარია სავინა, ტატიანა შჩეპკინა-კუპერნიკი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი და სხვ.

დათქმულ ხუთშაბათ დღეს ყანჩელების ოჯახში (მოსკოვის ქუჩა № 20) იკრიბებოდნენ მეგობრები, ისმენდნენ ახალ მუსიკალურ, პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებს, იმართებოდა საინტერესო კამათი. ერთ ასეთ ხუთშაბათობაზე ბალმონტმა პირველად წაიკითხა თავისი თარგმანი „ვეფხისტყაოსნიდან“. აქ მიღებული შენიშვნები მისთვის საგულისხმო იყო. ეს წრე და ოჯახი რუსთაველსა და მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებში კარგად იყო გარკვეული. ჯერ კიდევ 1913 წელს ალ. ყანჩელის თაოსნობით დაარსდა საზოგადოება, რომელსაც ქართველ კლასიკოსთა და, მათ შორის, რუსთაველის შემოქმედება უნდა შეესწავლა. მათვე ევალებოდათ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამოცემა და ზრუნვა დიდი პოეტის ძეგლის დადგმაზე. ალექსანდრე ყანჩელმა შეამზადა დასაბუთებული თხოვნა შოთას ძეგლის დადგმისა და რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულის მომწყობი კომიტეტის მოწვევის თაობაზე. გაზეთში დაიბეჭდა მოწოდება, რომელიც მკითხველებს ამ საქმისადმი თანაგრძნობისაკენ მოუხმობდა. ასეთი წამოწყებით გახარებული აკაკი წერეთელი ქართველებს ულოცავდა: „რუსთაველის საზოგადოების“ დაარსებასა და შოთას ძეგლის დადგმის განზრახვას. მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველებიც. მაგრამ ამ შესანიშნავ ჩანაფიქრს იმ დროს განხორციელება არ ეწერა. რუსთაველს ძეგლი მხოლოდ 1938 წელს საბჭოთა საქართველომ დაუდგა. რუსთაველის სახელთან დაკავშირებით გაწეულ ალექსანდრე ყანჩელის ღვაწლს იხიე უნდა დავუმატოთ, რომ 1937 წელს რუსთაველის იუბილეს იგი „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი თარგმანით შეხვდა. ნაწყვეტები ამ თარგმანიდან გამოქვეყნდა 1934 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“. ყოველივე ეს კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ღრმად იყო გარკვეული ალ. ყანჩელი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებში და რა დახმარების გაწევა შეეძლო მას ქართულის არმცოდნე მთარგმნელისათვის.

ყანჩელისა და ბალმონტის მეგობრობა ხანგოდლივი და მყა-

... აღმოჩნდა. მის შენარჩუნებას, ცხადია, ორივე მხარის პო-
ლიტიკურმა ღირსებებმა შეუწყო ხელი.

აღსანიშნავია, რომ ალ. ყანჩელი განთქმულ თამადად ით-
ვლებოდა. ამ მოვალეობის შესრულებაში მას ხელს უწყობდა
ის გარემოება, რომ შესანიშნავად ფლობდა ქართულ, რუსულ
და ფრანგულ ენებს. საზეიმო შესვენდრისას ბალმონტის
სპატივცემულოდ გამართულ ბანკეტს, სადაც ქართველ მწე-
რალთა და ხელოვანთა წარჩინებულმა აღამიანებმა მორიყარეს
თავი, ალექსანდრე ყანჩელი გაუძღვა.

ალექსანდრე ყანჩელი კარგად იცნობდა ბალმონტს, რო-
გორც შემოქმედს. ჯერ კიდევ 1900 წელს, მასთან პირად ნაც-
ნობობამდე, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ წერილი გამოაქ-
ვეყნა ბალმონტის შესახებ.

ბალმონტის შემოქმედების გარშემო ბევრი დაწერილა, მაგ-
რამ აქ ალ. ყანჩელის წერილს მეტ ყურადღებას ვუთმობთ
მიტომ, რომ, შესაძლოა, იგი პირველი წერილთაგანია, რო-
მელიც საქართველოში ბალმონტის პოეზიის შესახებ დაიბეჭ-
და. ამ წერილში ახალგაზრდა ლიტერატორი ალ. ყანჩელი რე-
ალურ საფუძველს უძებნიდა დეკადენტობას და მისი ძირითად
წარმომადგენლის, ბალმონტის, პოეზიას განიხილავდა მსოფ-
ლით ლიტერატურის ისტორიაში დეკადენტობის, რო-
გორც მოვლენის, გამომწვევ მიზეზებს; აღნიშნავდა, რომ
იგი გასული საუკუნის შუა წლების საზოგადოების მოთხოვ-
ნების საფუძველზე გაჩნდა. დეკადენტობისათვის უკმარი აღ-
მოჩნდა ჩვეულებრივი პოეტური ხერხები და თანამედროვეთ-
კნობიერებაში პოეტური სახეების წარმოსადგენად მიმართეს
სიმბოლიზაციას, მ განწყობილებათა პოეზიას; გამოხატე-
ბრიანობიერი ნევროზი. ყოველივე ამასი ალ. ყანჩელიც ხედავ-
და რაღაც პათოლოგიურს, მაგრამ დეკადენტებს, განსაკუთ-
რებით კი ბალმონტს, იცავდა, რათა მის პოეზიაში უმართებუ-
ლოდ არ დაენახათ არაგულწრფელობისა და გარეგანი ეფექ-
ტის ძიების ნიშანი.

ბალმონტის, როგორც პოეტის, გემოვნება და მრწამს-
ობიკალურ ძალთა პოლიტიკური და იდეური ბრძოლის უკი-
დურესი გამწვავების პერიოდში ჩამოყალიბდა. ხელოვნებაში
ეს კრიზისი რეალიზმისა და ნატურალიზმის საფუძვლებს

შერყევით აისახა. გაურბოდნენ სინამდვილის ფართო სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ასახვას. ფეხი მოიკიჯა გულგატეხილობამ, პესიმიზმმა, სულიერმა დეპრესიამ. განკრძალა ამ სიჭარბემ და სიფაქიზემ ხელოვნებაში გამოხატვის ახალი ფორმები შემოიტანა და, ამ მხრივ, ერთგვარ სრულყოფილებამდეც მიაღწია. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ამ განატონებული ლიტერატურული მიმართულების — სიმბოლიზმის — ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა რუსეთში ბალმონტი იყო. საქართველოსთან მისი ურთიერთობის პერიოდში ჩვენში მკაფიოდ გამოხატული დეკადენტური პროგრამით სარბიელზე გამოდიოდა ახალი ლიტერატურული მიმართულება „ცისფერი ყანწელები“. მათ ორიენტაცია ძირითადად დასავლეთ-ევროპულ სიმბოლიზმზე ჰქონდათ აღებული, მაგრამ უცილოდ ბელი უნდა იყოს ისიც, რომ ბალმონტთან, როგორც დიდ რუს სიმბოლისტთან, პირადად ურთიერთობამაც დააჩქარა ან კიდევ უფრო გამოკვეთა ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურული შეხედულებანი.

ერთგვარი პოეტური თვალთახედვის ადამიანები ეძებენ და ამყარებენ კონტაქტს ურთიერთ შორის. შემთხვევითი არაა, რომ ბალმონტის მეგობართა წრეს საქართველოში „ცისფერი ყანწელთა“ ჯგუფი წარმოადგენდა. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთან ასეთ კავშირს ამტკიცებდა და აღრმავებდა ორივე მხარისათვის საერთო ესთეტიკური მრწამსი.

* * *

საქართველოდან პეტერბურგის გავლით ბალმონტი პარიზში დაბრუნდა. იქ ცოლ-შვილი ელოდა, რომელიც რუსეთში საცხოვრებლად გადმოსვლისათვის უნდა მოემზადებინა.

21 მაისს, კონსტანტინობა დღეს, ქართველთა ერთმა ჯგუფმა ბალმონტს პარიზში მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, რომლის პასუხი გაზეთ „თემში“ საგანგებოდ გამოქვეყნდა. ეს იყო ორი საღეჭსო ტაეპი, სადაც ბალმონტი ფიცს სდებდა ქართველების წინაშე, რომ აასრულებდა მათ ნატვრას:

Святыню Грузии — поэму Руставели

Я славянин, клянусь явить в своей свирели...

ამ ფიციტ კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაუკავშირდა ბალმონტის სახელი „ვეფხისტყაოსანს“ და საქართველოს.

ბალმონტს ალტაცებული აზრი გაჰყვა საქართველოზე, მის ხალხზე, ენაზე, პოეზიაზე. საინტერესო ისტორია, წარსულის მიმე სურათებით, ნიჟიერი ხალხის კეთილი გული მუდამ იწვევდა მის მხურვალე თანაგრძნობას. ლამაზ, პოეტურ ნათქვამში ჩამოაყალიბა ბალმონტმა ის სიტბო და გრძნობა ჩვენდამი, რომლითაც აენტო და განიმსკვალა: „რუსეთში ჩემი შინაგანდელი სტუმრობიდან ხსოვნაში დამრჩა საქართველო, როგორც ყვაილების, ურთიერთგავეებისა და სიყვარულის სახე რი აღლუმი.“

პარიზში დაწერილი ლექსი „საქართველო“ ბალმონტმა ქართველ მეგობრებს გამოუგზავნა.

რევოლუციამდელ რუსეთში ამ ლექსის გამოქვეყნება დიდი გაბედულება იყო. იგი პროკლამაციის სამწვევით აშკარავებდა ცარიზმის მახინჯ ნაციონალურ პოლიტიკას.

ლექსი ქართველი ქალისადმი ალტაცებული გრძნობის გამოხატვით იწყება. ეს ქალი მთელი ერის სულიერი და ფიზიკური სილამაზის ნიშანს ატარებს.

О, макоце, целуй меня, целуй,
Дочь Грузии, твой поцелуй — блаженство,
Взор черных глаз, исполненных огня,
Голосище: слыши баса и кося
И голос твой, что ворожит звения, —
На всем печати и четкость совершенства.

მომდევნო სტროფებში ბალმონტი აღიღებს საქართველოს ბუნებას, რომელიც ღვთაებრივ მოვლენად მიაჩნია.

В красную из творческих минут,
Рука Его, рука Нечеловека,
Согнув гранит, как гнется тонкий прут
Взнесла зюр победного Казбека
Вверху снега, внизу цветы цветут.
Ты хочешь Бога? Восходи, он тут,
Лишь вознесись — взнесением орлиным.
Над пропастью сверкает вышина.
Незримый храм белеет по вершинам
Здесь порожат, в пазомах, писмена
Взнесению — запредельного Корана.
Когда в долинах спят, здесь рано-рано
Улыбка Солнца скрытого видна.

პოეტი უმღერის საქართველოს, რომელსაც სურს თავისი
აღტაცებული სული სხვასაც უწილადოს:

Блестит Казбек. У ног его — Светлана,¹
Спит Грузия, священная страна,
Отдавшая пришельцам, им разниным,
В роковой размах своих родимых гор.
Чтобы у них, в их бытии пустынном
И плоском, но великом словно хор
Разливных вод, предельный был упор.

პოეტმა იცის, რომ ვერავითარმა ბორკილმა ვერ დააქნინა
ერის ამაყი სული. საქართველო, როგორც ტაძარი, სიწმინდეს
გავალებს, მისი სილამაზე — თაყვანისცემას. რადგან ღირსე-
ულს საკადრისი პატივი უნდა მიეგოს:

О, Грузия жива, жива, жива,
Так вторит Терек, так поет Арагва,
Я слышу эти верные слова,
Зачем же, точно сорная трава,
Те, в чьих сердцах все чувствуется пагло
С враждебною приходят слепотой?
В волшебный край, где все любви достойно,
Где жизнь людей озарена мечтой,
Кто входит в храм да чувствует он строино.
Мстит Красота, будь вежлива с Красотой.
Я возглашаю словом заклинания:
Высокому высокое признание!

დაუმონებელ ქართველთა სხეულში ძალა მხოლოდ
თვლემს. მას შეუძლია რისხვით მოზეავდეს, რადგან ამ მხარის
პირველ ჯვაროსნებს სხეულში რუსთველის გმირთა სული
უდგათ.

И если снежно дремлет высота,
Она умеет молнией и громом
Играть по вековым своим изюмам,
И первые здесь Рыцари Креста,

Поэму жертвы, всем ся объемом
В себя введя, пропел что Казбек
Не тщетно полон гроз, из века в век.

ლექსმა დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი გაისმა, როგორც
მეგობრის გულის ძგერა; ბალმონტმა ქართველები საბოლოოდ
დაარწმუნა სიყვარულში. პაოლო იაშვილმა ეს ლექსი ქართულ
ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა.

¹ „სვეტლანა“ ბალმონტისათვის სამშობლოს სიმბოლური სახელია.

პარიზში ჩასვლისთანავე ბალმონტი რუსთაველის პოემის თარგმნას შეუდგა. ამაზე მეტყველებს მისი დეპეშა ყანჩელისადმი. ლათინური შრიფტით აწყობილი მისი ქართული სიტყვები გვაუწყებენ, რომ ბალმონტს უყვარს ქართლი, მზე, სწავლობს და თარგმნის რუსთაველს.

* * *

1914 წლის შემოდგომაზე ბალმონტი კვლავ აპირებდა თბილისში სტუმრობას, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა მისი გამომგზავრება. რუსეთში იგი მხოლოდ 1915 წლის ზაფხულში დაბრუნდა. ეს დაბრკოლება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობასაც დაეტყო. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში თამარ ყანჩელის სახელზე პროლოგის მხოლოდ ჩვიდმეტი ტაეპის თარგმანი მოვიდა.

საქართველოდან შორს მყოფ ბალმონტს საჭირო დახმარებას ვერ უწევდნენ ქართველი მეგობრები და გაიხარეს, როცა მისი სამშობლოში დაბრუნების ამბავი გაიგეს. „მივესალმებით ომის მრისხანე დღეებში მზიური პოეტის სამშობლოში დაბრუნებას. ველით, როდის შემოაფრქვევს თავის ღიმილს ქართულ მეგობრებსაც“. დეპეშას გზავნიდნენ თამარ და სანდრო ყანჩელები, გრიგოლ დიასამიძე. ახლა უკვე ხელსავეს ელოდნენ ბალმონტს საქართველოში და დასახვედრად ემზადებოდნენ.

* * *

1915 წლის ზაფხულში ბალმონტი ლესნოი გოროდოკსა და ლადიჟინოში ისვენებდა ოჯახთან ერთად. იმ წერილების მიხედვით, რომლებსაც ამ ხანებში თავის ნაცნობ-მეგობრებს უგზავნიდა, ვგრძნობთ რა გატაცებითა და სიყვარულით მუშაობდა ბალმონტი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანსაც კი იგი დიდი მოწიწებით ეკიდებოდა. ოლივერ უორდროპის გაცნობას „ბედნიერ შემთხვევად“ მიიჩნევდა იმის გამო, რომ მან გააცნობა პრემა, რომელმაც შემდეგში ასე დაიპყრო მისი ყურადღება.

იმ მომცოლო ფურცლებსაც, რომლებზედაც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის პირველი ჩანაწერებია, უწოდებდა „წმინდა ფურცლებს“. მიუხედავად იმისა, რომ პოემის თარგმნა უმძიმეს, შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა. მას მაინც „საოცნებო სამუშაოს“ უწოდებდა. რუსთაველი ბალმონტისათვის იყვ „სიყვარულის ქვაროსანი“.

სიძნელეებმა ხელი ვერ ააღებინეს ბალმონტს სამუშაოზე. თარგმანზე მუშაობის მთელი პერიოდი აღინიშნა დიდი შემოქმედებითი აღმავლობით. გენიოსის ნაწარმოებთან სიახლოვენ გამოამქლავნა მისი პოეტური ნიჭის დაფარული მარაგი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნამდე ბალმონტი შემოქმედებით ძალებს ეკვე ეძებდა მზესთან, ზღვასთან. სიყვარულში, და ვალერი ბრიუსოვი ასკვნიდა: „საეკვოა, რომ მან კიდევ რაიმე შემატოს რუსული პოეზიის საუნჯესო“. პირველი დიდი წარმატებების შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობა ბალმონტის შემოქმედებისათვის ისევ ნათელ ზოლს წარმოადგენდა. კრძნობდა ამას ბალმონტი და თარგმნიდა ინტენსიურად, ვიდრე ეს საქმიანობა მის ყოველდღიურ მოთხოვნილებად არ გადაიქცა. რუსთაველის თარგმნა ჩემთვის ნათელი სიხარულიაო, — წერია ამ პერიოდის ბალმონტის თითქმის ყოველ ბარათში.

ბალმონტს უსასრულოდ სურს ამკლავნებდეს თავის ალტკებას რუსთაველით და ახალი შემოქმედებითი გატაცებით:

«... Как великолепно первая глава. Словно тяжёлые узорные занавесы с кружевными золотыми кистями...

...Как мне нравятся эти приятные строки. В них мед и густое вино и Восточный аромат...

...Я радуюсь Руставели. и в этой работе что-то прозвужу...

...Буду сейчас продолжать напевные строки Грузина...

...Многого жду от своей работы над Руставели...

...Утонул в Руставели...

...В мыслях пляшут строки Руставели...

...Во мне возникло наконец настоящее проникновение к сладостному роднику прекрасной Грузии...» და ა. შ.

პოემის თარგმანზე მუშაობის აარაღელურად ბალიოტი ეცნობოდა მისთვის საჩუქრად მიღვნილ წიგნებს ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე. სწავლობდა რუსთაველის ეპოქას, მის წინამორბედ მწერლებს და მოაზროვნეებს. საარქივო ძაბალების გაცნობა ადასტოვებს, რომ ბალმონტი დაინტერესებულა ქართველი მეოტბეებით, „ქართლის ცხოვრებით“. მის ჩანაყერებში მოყვანილია ციტატები ნ. მარის შრომიდან „XI — XII საუკუნის ნეოლატობიკოსი იოანე პეტრიწი“. ჩანაწერებში ყურადღება ეთობა შუა საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსების მოღვაწეობას, ცხოვრება და ვით ადასტოვებლის პიროვებასე, მის სამხედრო და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე. ჩანიშნული აქვს ისიც, რომ დავით აღმაშენებელს სხვისი აზრების ამოკითხვის ნიკი პკონია.

გადაწერისა თუ მასალის მოპოვება-შეგროვების დროს ბალმონტი ახლობლებსაც იშველიებდა. ასე, მაგალითად, ერთ წერილში ბალმონტი ანა ივანოვას¹ სთხოვს, უშოვოს და გადმოუგზავნოს წიგნები ქართული ლიტერატურის შესახებ. ნოვიერთი საკითხის კონსპექტური ჩანაწერი გადათეთრებულია ელენე ცვეტკოვსკაიას² ხელით.

მთავარი სიინელე მინც პოემა იყო. მისი დაუძლეველი ფორმა და სიბრანე გადაულახავ ზღუდედ აღიმართებოდა ხოლმე იმათ წინაშე, ვისაც წილად ხვდა ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ყველაზე მეტი ძალის პოეტი მათ შორის ბალმონტი იყო და ვალდებულებაც მეტი ეკისრებოდა. ისიც ერთელ დასახული მიზნისაკენ მოუთმენლად მიისწრაფოდა. „იქნება ეს ამოცანა დაუძლეველია, — წერდა იგი, — მაგრამ ძველი ესპანელები ამბობდნენ, „დაუძლეველი მომწონსო“ და ნეც მიყვარს დაუძლეველზე გამარჯვება“.

¹ ანა ივანოვა (ნიუშა) — ბალმონტის მეუღლის ეკ. ანდრეევას ნათესავი.

² ელენე კონსტანტინეს ასული ცვეტკოვსკაია (1889 — 1944) — ბალმონტის მეგობარი. იყოლა ყველა ევროპული ენა. ბალმონტის დახმარებით ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. ემიგრაციაში გახდა მისი მეუღლე.

პოემის თარგმანზე მუშაობა პოეტს იზიდავდა, როგორც მწვერვალი მთამსვლელს, და ყოველ მიღწეულ წარმატებას უდიდესი სიხარულით განიცდიდა. „ვიქანცები, მაგრამ ჰეშმა-რიტად ბედნიერი ვარ. ასე დიდი ხანია არ ვყოფილვარ ბედ-ნიერი წარმატებისაგან“. — აღნიშნავდა იგი.

ბალმონტს სჯეროდა, რომ დიდი პოეტური ალლო, რუსთა-ველის შემოქმედების სიყვარული და განჰვრეტის უნარი შეაძლებინებდა მას შეექმნა რუსულ ენაზე ორიგინალის ძა-ლის პოეტური ნაწარმოები. თარგმნა ბალმონტს ესმოდა თავი-სებურად: უმართებულოდ მიაჩნდა ფოტოგრაფიული სიზუს-ტე, ნაწარმოების ნეორე ენაზე დაბადებას იგი მთარგმნელი-შემოქმედის ნიჭით საზღვრავდა.

ბალმონტი მთელ დროს თარგმანზე მუშაობას ანდომებდა. ყველა სხვა საქმისათვის დროის გაცდენა ეძნელებოდა. საკუ-თარი სიამოვნებისათვის დახარჯულ დროსაც კი იგი დანაწილებით იგონებს. იმხანად ლევ ბრუნი¹ ბალმონტის პორტრეტს ხატავ-და. მშვიდად არ მჯდარა არც მის წინაშე: ფიქრით „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებს დასტრიალებდა. ჩემს გონებაში რუსთავე-ლის სტრიქონებს მეჯლისი გაუმართავთო. — წერდა იგი მეგობარს.

თარგმანზე მუშაობის ყოველ მიღწევას, მომავლის გეგმებს ბალმონტი თავის ქართველ მეგობრებს ატყობინებდა:

„ღვიწიფასო მეგობრებო თამარ, სანდრო!

ბედნიერი ვარ თქვენი პასუხით. ამ გამოძახილში ვგრძნობ იმ მსურველ გულის ძგერას, რომელიც ქართველებს სჩვე-ვიათ.

ყოველ დღე ვმუშაობ რუსთაველის თარგმანზე. ძნელი იყო მისი დაწყება, მაგრამ რაკი გავბედე, ახლა ამ სანატრელი მუ-შაობის დასრულება მხოლოდ დროის საკითხია.

დავასრულე სამი თავი. სექტემბრის ბოლოსათვის ვიმე-დონებ ათი თავის თარგმნას და მოკლე ნარკვევის დაწერას „ვეფხისტყაოსანზე“. ვფიქრობ. ეს საკმარისი იქნება, რომ

¹ ლევ ალექსანდრეს ძე ბრუნი (1894—1948)—მხატვარი, აკვარელისტი. წარმოშობით იტალიელი. მისი ნახატები გამოღწეულია. მოსკოვის რუსულ ხელოვნების მუზეუმსა და ტრეტიაკოვის სამხატვრო გალერეაში. 1917 წელს ბრუნიმ ცოლად შეირთო ბალმონტის ქალიშვილი ნინო.

ორ-ორჯერ გამოვიდე საქართველოს ძირითად ქალაქებში. თქვენ მიმითითებთ, კერძოდ სად არის ეს შესაძლებელი. მე ვისურვებდი გამოსვლას არა მარტო ქალაქებში. არამედ ზოგიერთ მთის სოფლებშიც, თუ ეს მოსახერხებელია. კარგი იქნებოდა, რომ ხალხის დაბალ ფენებსაც, — ქართველი ყველა კეთილშობილია, — შეეძლოთ მათი უკვდავი მგოსნის ბრწყინვალე ლექსების რუსული თარგმანის მოსმენა.

ჩამოვალ არა უგვიანეს 20 სექტემბრისა. მინდა საქართველოში თვენახევარი დავყო, ყოველ შემთხვევაში, ერთი თვე მაინც. ვფიქრობ, შეიძლება მოწყობა სადმე თქვენთან ახლოს. სასტუმროში ან კერძო ბინაზე.

მიხარია განუზომლად, რომ უნდა შეგხვდეთ. რუსეთში ჩემი შარშანდელი მოგზაურობიდან საქართველო დამრჩა ხსოვნაში, როგორც დაუვიწყარი მზიური დღესასწაული ყვავილების, ურთიერთგაგებისა და სიყვარულისა. მჯერა, რომ რუსული ლექსიც იქნება იმ მეხობის ღირსი; რომელსაც ტრფობა შეჰყვარებია.

გიძღვნით გულითად სალამს. ლადიჟინო, 1915 წ. აგვისტო“.

ბალმონტის წერილს ქართველმა მეგობრებმა მაშინვე დეკემბრით უპასუხეს: „საქართველო ენთუზიაზმით შეეგებება თქვენს შთაგონებულ შრომას. შეგვატყობინეთ ლექციების კითხვის დრო. სულით და გულით გელიან თქვენი მეგობრები“.

* * *

თარგმანზე მუშაობის პერიოდში ქართველთაგან ბალმონტს იმხანად მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ტიციან ტაბიძე ნახულობდა. მათი ნაცნობობისა და ურთიერთობის შესახებ ბალმონტის ქალიშვილი წერს; „ტიციანი უჩვეულოდ იყო მიჯაჭვული ბალმონტს, მხურვალედ უყვარდა იგი, შეიძლება ითქვას, აღმერთებდა კიდევ. ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ბალმონტის მუშაობაში. შოულობდა რაღაც მასალებს ბალმონტისათვის, მტკივნეულად განიცდიდა ბალმონტის მუშაობაში შეფერხებას თუ რიტმის დარღვევას, ზოგჯერ ბავშვივით ცრემლსაც ღვრიდა“.

ტიციანისაგან იგებდა ბალმონტი ყველაფერს, რაც ვერ მოასწრო ენასა და გაეცნო საქართველოში. იგი უწევდა მეკვლეობას ქართველთა სულისკვეთების გაგებაშიც. ზაფხულის ბევრი საღამო გაატარეს ერთად მუშაობასა და საუბარში საქართველოს შესახებ.

ვაჟას სიკვდილი ბალმონტმა ლესნოი გოროდოკის საზაფხულო სახლში ტიციან ტაბიძისაგან გაიგო. „მახსოვს, — წერს ტიციანი, — პოეტ კ. ბალმონტის გაკვირვებული თვალები, როცა ზეპირად ვუთარგმნიდი ქრესტომათიიდან ვაჟას პოემების ნაწყვეტებს და ზეპირად ნასწავლ ციტატებს“. ნაუცბათევე თარგმანშიც შეიგრძნობდა ბალმონტი ვაჟას გულის ცემასა და მისი ლექსის სურნელს.

ვაჟას დაკარგვამ და გლოვამ კიდევ ერთხელ დაანახვა ბალმონტს, თუ რა დიდი სიყვარულით ეპყრობა ხალხი პოეტს რუსთაველის ქვეყანაში. აკაკიზეც ეკითხებოდა ტიციანს, მისი ჭაღარა ახსოვდა, მისი სიტყვები და მეფური სიღარბაისლე. ახალგაზრდა ქართველი პოეტი მოუთხრობდა, როგორ გამოეთხოვა საქართველო თავის უხუცეს ბურჯთაგანს, როგორ მიაცილებდა მუხლმოდრეკით მგლოვიაზე ქართველი ხალხი საჩხერიდან თბილისამდე პოეტის ნეშტს. ბალმონტი მაშინ პარიზში იყო, არ დასწრებია ამ დიდ გლოვას; თვალწინ დაუდგა „ოლიმპიელი ზევსი“, საქართველოში იმ პირველი სტუმრობის დროს რომ ნახა, და მიხვდა — პოეზიის ქვეყანაში მისი ჭირისუფალი მთელი ერი რომ იქნებოდა.

ყოველივე ამის გაგონებამ და განცდამ ბალმონტს ქართველებთან სიახლოვის გრძნობა კიდევ უფრო გაუცხოველა და ძალა შემატა წარმატებით ეთარგმნა მათი სათაყვანებელი პოემა. ბალმონტი წერდა: „მე ვთარგმნი რუსთაველს მთლიანად, ახლა ვხედავ, რომ ამას ექნება განუზომლად დიდი მნიშვნელობა მთელი საქართველოსათვის“.

ბალმონტთან ერთად მუშაობაში გატარებული დღეების შესახებ ტიციანი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა თითქმის ჩემ თვალის წინ მიდიოდა, მე დიდხანს მექნება ძვირფას მოგონებად ის სიტყვები და შენიშვნები, რომელიც ამ პოემაზე

¹ გაზ. „ბახტრიონი“, 1922, № 6.

ფიქრს გამოუწვევია კ. ბალმონტში. როცა დაიბეჭდება მთლიანად, მაშინ ვეცდები ავსახო ის, რაც კ. ბალმონტმა შეიტანა რუსთაველში“¹.

დიდ რუს პოეტთან თავისი სიახლოვე ტიცთან ტაბიძემ აღბეჭდა ლექსში: „შეხვედრა კონსტანტინე ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“:

მახსოვს რუსული ყანა და ქერი,
მოგყვები ბავშვი, როგორც ჭადოქარს.
შენ კი ბისტურავ, როგორც ნამქერი,
შენ როგორც ქრისტე, მიყვები ამ ქარს.

Я был в России. Грачи кричали.
Весна смеялась в мое лицо.

და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა,
იშლება შენი თმა თაფლისფერი.
და სტირის ყვავი, ყვავი ყვანჩალა,
ლექსებით ასე რომ მოეფერე:

Я был в России. Грачи кричали.
Грачи кричали: зачем? зачем?

შენთან ვიყავი, ყვავი ტიროდა,
რაზე ტიროდა, ვიცი მე განა?
მეც ხომ მდულარე ცრემლი მდიოდა,
მაგონდებოდა ჩემი ქვეყანა.

და დამთუთქავი ეს ათი წელი
ვერ დამაიწყებს მაშინდელ ზაფხულს,
ამდენ ხანს ასე თუ გავუძელი
ამდენ სიყვარულს, ამდენ სიხარულს.

ამ ზაფხულს მოკვდა ვაჟა-ფშაველა,
მახსოვს, ცრემლებით შენ ეს გითხარი,
ის სიკვდილის წინ ითხოვდა ბალახს,
გახელებული წყურვილით ხარი.

მას შემდეგ დამრჩა გრძნობა ასეთი,
რომ ერთად ორ მზეს თვალი შევასწრე,
მოხიბლული ვარ ამ სინაზეთი
და სიკვდილამდე დავრჩები ასე.

გავიარ ისევ „ძაღლის მოედანს“
და მიუადგები მიკოლას საყდარს,
კარზე დარეკვას ხელი ვერ ბედავს,
ამ სახლს ვუყურებ, როგორც ნატანტარს.

¹ ტ. ტაბიძე, კ. ბალმონტი და საქართველო, გაზ. „საქართველო“, 1917.
№ 129, გვ. 2.

იქ ცხოვრობს გრუშკო — ჩვენი დეკანი,
აქ სკრაბინი² ებრძოდა სიკვდილს,
მე რუსთაველის მომაქვს დედანი
და შუბლზე ცივი ოფლი გადაძდის.

გვიკითხავ მთვარის, თაფლის, მზის ლექსებს
და თეთრი თოვლით სახსება ქუჩა,
მშობელი მიწის ვიყნოსავ ფესვებს,
ჩემ ზამთრის სულში ჰყვავის ალუჩა.

თითქოს ჩასთლიმა ბალტრუშაიტისს³,
ვოლოშინს⁴ შეენის ლომის ფაფარი,
და რუსთაველის მგზნებარე შაირს
ზამთრის სინაზე გადაეფარა.

გელის თბილისი: „ვეფხისტყაოსანს“
მეორედ ვლის დღეს საქართველო,
ცისფერ ყანწებით დიდებულ მგოსანს
მოაგებებენ შენს სადღეგრძელოს.

ფუტურისტები მაშინაც ისე
ლანღანდარობდნენ ყვითელ კოფტებით,
ჩვენ ძველი დავჯრჩა მაინც სინდისი
და სიყვარულით გულში მოვკვებდით.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის არც ერთ ცდას
ბალზონტამდე არ მიუქცევია საზოგადოების ესოდენ დიდი
ყურადღება. ევროპელებს უკვე ჰქონდათ პოემის ღირსეული
თარგმანები და, აქედან გამომდინარე, მაღალი აზრიც დიდ
ქართველ პოეტზე. რუსი ინტელიგენცია გრძნობდა „ვეფხისტ-
ყაოსნის“ თარგმნის აუცილებლობას. პეტერბურგის ყურ-
ნალში გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიული ხასიათის შენიშვნებ-
ში ეწერა: „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ყველა ევროპულ
ენაზე, გარდა რუსულისა, ეს სამარცხვინოა“⁵.

¹ გრუშკო — 20-იან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში ლიტერატუ-
რის ფაკულტეტის დეკანი.

² სკრაბინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1872 — 1915) — გამოჩენილი
რუსი კომპოზიტორი და პიანისტი.

³ ბალტრუშაიტისი იურგის კაზიმირის ძე (1873 — 1944) — ლიტველი
პოეტი, სიმბოლისტი, მთარგმნელი. 1921 — 23 წლებში ლიტვის ბურ-
ჟუაზიული რესპუბლიკის სრულყოფილებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში.

⁴ ვოლოშინი (იირიენკო) მაქსიმე ალექსანდრეს ძე (1878 — 1932) —
რუსი პოეტი, მთარგმნელი.

⁵ ანტონ ლიუბიმოვი, Олигии скит, ჟურ. «Вестник Европы», 1916,
IX, გვ. 57.

თბილისის არტისტული საზოგადოების კლუბში წაკითხულ ლექციაზე რუსი ლექტორი¹ უსაყვედურებდა თავისი ერის მწერლებსა და პოეტებს, რომ მათ ვერ შეძლეს საქართველოს სინამდვილის ასახვა და ზოგჯერ ყალბი წარმოდგენაც შექმნეს ქართული ყოფის შესახებ (იგულისხმებოდა ალ. კუპრინის „ორმო“).

ჩვენს ქვეყანასთან დამოკიდებულების საკითხში ტ. ტაბიძე ბალმონტს სხვა გამოჩენილი რუსი პოეტებისაგან განასხვავებდა. თვლიდა, რომ მხოლოდ ბალმონტმა შეძლო ახლო მისულოყო საქართველოს გულთან და მოენახა ის ინტიმი, რომელიც წინასწარ გულისხმობდა მის გულწრფელობას; ბალმონტი ხალხთან მისასკლვლ გზას პოეტის სულის გაცნობით აგნებდა, როგორც კალიდასამ შეიყვანა იგი ინდოეთში, ისე რუსთაველმა — საქართველოშიო. სულიერი დაახლოების ეს გზა ტ. ტაბიძეს უტყუარად მიაჩნდა. მადლობას სწირავდა დიდ რუს პოეტს, რომელმაც შეგნებულად დააფასა მისთვის ახლად გაცნობილი ქვეყანა და ხალხი. თამამად თქვა საქართველოზე ღირსეული სიტყვა: „ღიადს ღიადი თაყვანისცემა“. ამ თაყვანისცემის დიდი წილი რუსთაველს ეკუთვნოდა. მისმა სიდიადემ ბევრს აუხილა თვალი და ჩვენზე მაღალი აზრი შეაქმნევინა, დაანახვა, რომ შუასაუკუნეების მსოფლიოს რუხი ცა საქართველოს თავზე გაიხსნა ნათელით და რუსთაველის გენია გამოაბრწყინა. ამ პოემის სახით ერი თავის შემოქმედებით უნარზე მიუთითებდა. უფლებაც ჰქონდა საამისო. ათასობით ქართველის გონებრივი და ფიზიკური ძალ-ღონე ერის ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლაში დაიხარჯა და მისგან სათქმელი სიტყვა ხმლის ნაკვესს თუ ნანგრევებად ქცეულ ციხე-სიმაგრეებს შერჩა მხოლოდ. მათი ხვედრი მერე ისტორიისა და პოეზიის საგნად იქცა. იქიდან ამოკითხული გრძნობით მეტყველებდნენ ქართული პოეზიის სტრიქონები. მომავალი თაობები წინაპართა გულთმისნებად იქცნენ და ერის სიცოცხლისათვის თავგანწირულთა აუხდენელი ოცნება მხატვრული სიტყვით უშორეს შთამომავლებსაც უანდერძეს.

¹ ვ. გურკო, ქალის კულტი საქართველოში, ვაზ. „საქართველო“, 1915, № 141, გვ. 2.

თამარის სხივქვეშ ერთხელ გამოდარებამაც იკმარა, რომ ქართველ კაცს თავის შემოქმედებაში ფენომენად ექცია ადამიანის მაღალი სულისკვეთება, კაცობრიობისათვის მის მაღალ ღირსებებზე ექადაგა.

„ვეფხისტყაოსანი“ — ესაა ჰიმნი ადამიანის თავისუფლებაზე. რუსთაველი იმ ერის შვილი იყო, რომლის სულია უკვდავება ამირანის სახელს ატარებდა, ამირანისას, რომელიც ადამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ღმერთსაც არ მორიდებია. მაშინაც კი, როცა მსოფლიო კერპის წინ დამხობილი იდგა, ჩვენი ერი ფანატიზმამდე არასოდეს არ მისულა და რელიგიურმა ინდიფერენტულობამ გადაარჩინა იგი დოგმატიზმისაგან. ევროპაში აღორძინება სქოლასტიკის ნგრევით დაიწყო, ჩვენში ის უხმაუროდ, წარსულის განვითარებაში გამოვლინდა. შესაძლოა, ამიტომაც გვიან შეიცნეს ეს ნათება მსოფლიოს ცაზე. XII — XVIII საუკუნეების მსოფლიო კულტურის ისტორია რუსთაველის სახელის გარეშე ოპერირებდა. ამ ხნის განმავლობაში მისი სახელი მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილება იყო. გვიან დაირღვა დუმილი; სუსტნი აღმოჩნდნენ რუსთაველის შემოქმედების რეკომენდაციაში მსოფლიო მკითხველის წინაშე მისი პირველი მთარგმნელები. ზღაპარი, რომანტიკული თავგადასავალი — აი. შთაბეჭდილება, რომელსაც ქმნიდა პირველი თარგმანები. ამ პლანში წარმოდგენილ რუსთაველის სახელს კი მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედებთან რა საერთო უნდა ჰქონოდა?! პოემის აზრის სიღრმე და სიდიადე, მისი ლექსის უზადობა და სინატიფე, გმირთა მაღალი იდეალები და გრძნობები თარგმანში აუსახავი რჩებოდა და ასე გაღარბებული „ვეფხისტყაოსანი“ ეძლეოდა არაქართველ მკითხველს.

ქართველობას იმთავითვე ესმოდა რუსთაველის ძალა და მნიშვნელობა. ამის საბუთად ის კმარა, რომ ნგრევასა და ცეცხლში უფრთხილდებოდა მას, როგორც ეროვნულ საუნჯეს და გადაარჩინა განადგურებისაგან.

პირველი არაქართველი ავტორი, რომელმაც ახსენა რუსთაველი და მისი შემოქმედება, კიევის მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი იყო. „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურად არი-

ოსტოს¹ „როლანდზე სიმღერას“ გაუთანაბრა, იდეებით და გრძნობებით კი — ოსიანის² შემოქმედებას. ეს იყო რუსთაველის პოემის პირველი დაწყვილება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებთან. ამის ანალოგიით ინგლისელი მეცნიერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ მორფილიც რუსთაველის არიოსტოსთან შედარებით კმაყოფილდება. არტურ ლაისტი მას ტორკვატო ტასოს³ გვერდით აყენებს. ხშირი იყო რუსთაველის შედარება ჰომეროსთან, ფირდოუსთან. საერთოდ ყოველი სხვა ერის წარმომადგენელი რუსთაველს თავისი ქვეყნის წამყვან შემოქმედს ადარებდა. ადარებდნენ ბაირონს, მილტონს, ბერნსს, პუშკინს, შევჩენკოს, ნავოის, იგორის ლაშქრობისა თუ სკანდინავიური ოდების ავტორს. ყოველი მათგანის შემოქმედება მსოფლიოს საგანძურს წარმოადგენს, მაგრამ უსაფუძვლოდ არ უთქვამს, ალბათ, პროფესორ პ. ბერკოვს: „ვეფხისტყაოსნის“ შედარება „შმაგ როლანდთან“, განსაკუთრებით კი ოსიანის პოემებთან, რუსთაველის პოემის, მისი ორიგინალობისა და მხატვრული ღირსებების შეუფასებლობას მოწმობსო“⁴.

ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წერდა: „რუსთაველი ბაირონზე მაღალია, ტორკვატო ტასოზე ფაქიზი. პეტრარკაზე ნათელი და უფრო ზნეობრივი, ვიდრე მილტონი და დანტე“⁵.

მარი ბროსე აღნიშნავდა: „წიგნი ესე უებარი და უამანანაგოა და მისი უმჯობესი ევროპაშიც ბევრი არ მოიძებნება“⁶.

რუსთაველის პოეზიას ბალმონტი ადარებდა დანტეს, პეტრარკასა და მიქელ-ანჯელოს შემოქმედებას. ბალმონტისათვის „ვეფხისტყაოსანი“, უწინარეს ყოვლისა, სიყვარულის ჰიმნი

¹ ლუდვიგო არიოსტო (1474 — 1533) — იტალიელი პოეტი. აღორძინების პუმაწური იდეებით გამსჭვალული მისი პოემა „სიმღერა როლანდზე“ თარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე.

² ოსიანი — კელტური ხალხური ეპოსის ლეგენდარული გმირი. გადმოცემით ცხოვრობდა სამხრეთ ირლანდიაში III საუკ.

³ ტორკვატო ტასო (1544—1595) — აღორძინების ხანის დიდი იტალიელი პოეტი. მისი ლექსები გამოირჩევა ფაქიზი ლირიზმით.

⁴ პ. ბერკოვი, *Руставели в русской литературе* — წიგნში «Дети земли русской. Литература в Руставели», 1966, გვ. 259

⁵ პლ. იოსელიანი *Ш. Руставели, ვაზ. «Кавказ»*, 1870, № 13.

⁶ მ. ბროსე, „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა, 1841, გვ. IX.

იყო. რუსთაველის შედარებასაც აღორძინების ხანის გიგანტებთან იგი ახდენდა მათი შემოქმედებისათვის საერთო ნიშნის მიხედვით, რასაც სიყვარულის მაღალი გრძნობისა და ქალისადმი თაყვანისცემის მსგავსად ასახვაში ხედავდა. წარმოდგენილ ოთხეულში უპირატესობას რუსთაველს ანიჭებდა, როგორც „სიყვარულის პირველ ჯვაროსანს“.

ქალი ანტიკურმა ხელოვნებამაც აღამაღლა, მაგრამ მისი მნიშვნელობა სიყვარულის საგანს არ გასცდენია. შუა საუკუნეებმა მიუთითეს ქალზე, როგორც დედაზე. რენესანსმა ქალის ადამიანურობას მოჰფინა შუქი. მიქელ-ანჯელოს თვლიდნენ ამის უპირატეს მქადაგებლად. ქრონოლოგია გვეკარნახობს, რომ რუსთაველმა ევროპელებზე ადრე უმღერა ადამიანს, სიყვარულის გრძნობის გამონატყაშიც ის უფრო ადამიანური იყო, ვიდრე დანტე ან პეტრარკა, რომლებიც ვერ განთავისუფლდნენ სქოლასტიზმისა და ბუნდოვანებისაგან. რუსთაველი მიწიერ, რეალურ ადამიანს უმღეროდა და ამ მხრივ მას მიქელ-ანჯელო უფრო შეედრება. სპეციალურ წერილში „დიდი იტალიელები და რუსთაველი“ ბალმონტმა თქვა თავისი სიტყვა მსოფლიო ლიტერატურაში რუსთაველის ადგილის და მნიშვნელობის შესახებ. ამით სხვათა მიერ გაუბედავად გამოთქმულ მოსაზრებებს ძალა შემატა, ხელი შეუწყო იმ აზრის განმტკიცებას, რომ რუსთაველი საწყისია, სათავეა რენესანსისა. ისევე როგორც დანტე და მიქელ-ანჯელო. ბალმონტმა დაჯერებულად და თამაზად განაცხადა, რომ სიყვარულის პიქნიონ რუსთაველმა გადააქარბა მსოფლიო გენიოსებს.

ბალმონტს უყვარდა რუსთაველი, როგორც სამყაროს მათაყვანებელი, რომლის ღმერთი იყო მზე. სიცოცხლე და სიკეთისათვის ბრძოლა. ბალმონტიც ეტრფოდა ყოველივე ამას, ეტრფოდა და გაურბოდა სიძულვილს.

რუსთაველის შემოქმედებისადმი ღრმა ინტერესი რუსმა მკითხველმა ბალმონტის თარგმანის შემდეგ გამოხატა. აქედან მოყოლებული მის თვალში რუსთაველის სახელი გასცდა ჩვეულებრივი, რიგითი პოეტის ფარგლებს. მართებულია ბალმონტის მისამართით ნათქვამი სიტყვები: „რუსეთისათვის რუსთაველის აღმომჩენი“.

პუშკინმა წამოსწია ტიუტჩევის სახელი, ილიამ — ბარათაშ-

ვილისა, ბრიუსოვმა პოეზიაში შემოიყვანა ანდრეი ბელი, ვაჟამ — გიორგი ლეონიძე, ასევე უშუამდგომლა ბალმონტმაც რუსთაველს რუსი ხალხის გულთან.

მართალია, ბალმონტის თარგმანში რუსთაველი ვერ გამოჩნდა, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე ფიგურა, მაგრამ აქ პირველად გამოჩნდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები თავისი ვნებებითა და განცდებით, პირველად დაფიქრდა რუსი მკითხველი „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც პოეტური ხელოვნების შედეგზე.)

* * *

1914

საქართველოში მეორედ ჩამოსვლას ბალმონტი 1915 წლის სექტემბრის ბოლოსთვის ვარაუდობდა. დეკემბრით წანასწარ შემოუთვალა თავის ქართველ მეგობრებს, რომ ბინაც მათთან ახლოს დაეხვედრებინათ. ბაქოს გამოვლით, 1 ოქტომბერს ბალმონტი ელენე ცვეტკოვსკაიასთან ერთად თბილისს ესტუმრა. ამჯერად უკვე მრავალი მეგობარი და თაყვანისმცემელი ხედებოდა მას. ამ სიყვარულისათვის თვითონაც გულმხურვალედ მოიწევდა საქართველოსაკენ. მეუღლე, ეკატერინა ანდრეევა, მოგონებაშიც აღნიშნავს, რომ ბალმონტი საქართველოში მიემგზავრებოდა როგორც ახლობლებთან, ნათესავებთანო.

ამჯერად საქართველოში ჩამოსულ ბალმონტს გააცნეს თბილისის სიძველენი, დაათვალიერებინეს უძველესი ტაძრები: სიონი — თბილისის კათედრალური ტაძარი, ღვთისმშობლის სადიდებლად აგებული, ათგზის დანგრეული, როგორც თბილისი, მისი უკანასკნელი მომხატავის, რუსი გრიგოლ გაგარინის ხელით შეფერილი; ქაშვეთი — თავისი ლეგენდარული სახელით, თეთრი გიორგით, სანიმუშო ორნამენტით, მის ვიწრო სარკმელებს რომ ეკვრის, ლურჯი მონასტერი — თამარის დროინდელი, იკორთის, ბეთანიისა და ქვათახევის ტაძრების მსგავსად რომ აღმართულა; ვახტანგ გორგასალისა და დაჩი უჯარმელის ნანდერძევი თბილისის უძველესი სალოცავი — ანჩისხატი, საქვეყნოდ ცნობილი ქედური ხელოვნებით შესრულებული ღვთის ხატით: განთქმული გოგირდის წყლები,

ქველი ნარიყალას ციხის ნანგრევები; მშვენიერთა სქესის მფარველის — მამადავითის მთა. წმინდა მიწა, სადაც სამუდამო სამყოფელად ერმა აკაკი დაასვენა; თანამემამულის, საქართველოს სიყვარულში მისი წინაპრის, გრიბოედოვის საფლავი, სადაც ი. პოლონსკის¹ თქმით «Два горя — горе от любви и горе от ума»; ილიას თავთან მტირალი საქართველო; ხედი მამადავითიდან და ღამის თბილისი; დიდუბის პანთეონი და თამარის ჯვარისწერის ადგილი, მისივე ხატი ტაძარში; „ქიმერიონი“² — ქართველ პოეტთა საყვარელი თავშესაყრელი ადგილი და ფიროსმანის ხელით მოხატული კედლები.

მერე მცხეთა, იბერიელთა ქვეყნის ყოფილი დედაქალაქი. ერთ-ერთი უძველესი რუსეთის იმპერიაში შემავალ ქალაქთა შორის: მტკვრის პირად ცად აზიდული სვეტიცხოველი, აღსაველის კართან დასვენებული ქართული ხმლისა და ერის დიდება — ერეკლე მეფე; მტკვრის პირი და მისი უბე არაგვის წყლით შემატებული; მწვანეზე გაშლილი სუფრა, სოლანლულის გზისპირა გორაკი, რომელზედაც შემდგარ რუს პოეტს აღტაცებული ლექსები უთქვამს საქართველოზე. „მზის ქვეყანაში ვარო“, — ირწმუნებოდა, თურმე. ამ სამახსოვრო ადგილს ქართველმა მეგობრებმა „ბალმონტის გორაკი“ უწოდეს.

3 ოქტომბერს თბილისის არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში (ქართული თეატრის შენობა, სადაც შეხვედრა მოუწყვეს ბალმონტს თბილისში პირველად ჩამოსვლის დროს, დამწვარი იყო) ბალმონტის ლექცია დაინიშნა. აქ ქართველი საზოგადოების წინაშე რუსი პოეტი პირველად წარსდგებოდა, როგორც დიდი რუსთაველის პოემის მთარგმნელი. ამავე დღეს დაინიშნული მრავალი საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიება სხვა დღეებისთვის გადადეს, რომ ყველას შეძლებოდა ამ ღირსშესანიშნავ საღამოს დასწრებოდა.

გამოსვლის წინ ბალმონტი ღელავდა. ქართველი მეგობრის.

¹ იაკობ პეტრეს ძე პოლონსკი (1819 — 1898) — რუსი პოეტი, ლირიკოსი.

² „ქიმერიონი“ — რესტორანი, რომელიც იმყოფებოდა რუსთაველის ვაჭირზე, ქართული დრამატული თეატრის მახლობელ სერდაფში.

იურისტისა და მთარგმნელის შალვა ქართველიშვილის დახმარებით ის კიდევ ერთხელ აღარებდა თარგმანს ორიგინალს, მეგობრებისაგან მიღებულ შენიშვნებს ითვალისწინებდა, ასწორებდა.

თბილისის საზოგადოება ამ საღამოს ელოდა, როგორც ქართული პოეზიის დღესასწაულს. ქართველი საზოგადოება დიდი იმედით შეჰყურებდა ბალმონტის შრომას. ბედნიერ შემთხვევად მიაჩნდა, რომ ამ ფაქტით ორი შემოქმედი შესვდა ერთმანეთს, რომელთაც ერთგვარი გრძნობა აერთიანებდათ. „რუსთაველი მზიდან მოღოს, ბალმონტი მზისკენ მიდისო“, — წერდა იოსებ იმედაშვილი¹ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ და დასძენდა: დღემდე შოთას ასეთი ენამზიანი, შეგნებული მთარგმნელი არავინ გამოსჩენიაო. გაზეთებში ბევრს წერდნენ ბალმონტის ვირტუოზობაზე, მისი კალმის საოცარ მოქნილობაზე. აღნიშნავდნენ, რომ მან რუსული სული შთაბერა და ორიგინალს გაუთანაბრა შელის, ედგარ პოს და ინდოელ მოგვთა პოეზია და საღმრთო საგალობლები. „წინასწარ დარწმუნებული ვართ ბალმონტის გამარჯვებაში, — წერდა დავით კასრაძე, — დღეს ქართველი საზოგადოება მთარგმნელის დასადაფნავად გაეშურება“.

საღამოზე ყველას გული და ყური მოჰყრობილი იყო ორატორისაკენ, რომელიც თავის აღტაცებას უზიარებდა ქართველ ხალხს: «Я впервые узнал Руставели в океанском просторе, невдали от Канарских островов, на английском корабле, носившем имя красномудрой богини Афины, где я познакомился с Оливером Уордропом, который дал мне прочесть находившийся при нем в корректурах английский перевод «Витязя в тигровой шкуре», сделанный с великой любовью его сестрой Марджори Скотт — Уордроп. Прикоснуться к грузинской розе в просторе океанских зорь, при благом соучастии Солнца, Моря. Звезд, Дружбы и Любви, и диких вихрей, и свирепой бури, это — впечатление, которое забыть нельзя...»

¹ იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილი (1876 -- 1952) — ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

რუსთაველს ბალმონტი გვერდში უყენებდა მსოფლიოში სახელგანთქმულ შემოქმედებს: დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს და მათთან შედარებისას ასე გამოხატავდა თავის აზრს ქართველი გენიის შესახებ: «В звездной грозди четырех этих имен, сияющих, как полупрозрачные вязы, певучее имя Руставели мне кажется наиболее справедливо вознесенным.

...Как Гомер есть Эллада, Данте—Италия, Шекспир — Англия, Кальдерон и Сервантес—Испания, Руставели есть — Грузия... Руставели выше этих поэтов, ибо в своих волшебствах он колдует жизнью... выше и совершеннее любого гения Европы, будь то Софокл или Шекспир, и как восточный край неба всегда богаче своими красками, чем край закатный.»

შეხვედრას წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ბალმონტზედაც. ამ საღამოს შესახებ მის წერილებში ვკითხულობთ: „ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმი. მისმენდნენ დაძაბული ყურადღებით. შემცქეროდნენ ანთებული მზერით... ჩემს ესტრადზე გამოსვლას ისეთი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ, რომ აღელვებისაგან გავფითრდი... შინაგან თრთოლას აყოლილმა დასკვნითი სიტყვა ფეხზე წამომდგარმა ვთქვე. ენით გამოუთქმელი მღელვარება დამეუფლა. შემდეგ ეს გადაედო მსმენელებს, რომლებმაც ტრიუმფი მომიწყვეს“.

ბალმონტის ლექციას ურიცხვი მსმენელი დაესწრო. ადგილი აღარ დარჩა, ხალხი ფეხზე იდგა და სულგანაბული უსმენდა. თავისი შრომისადმი ეს საყოველთაო ინტერესი ბალმონტს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა. სიხარულით აღნიშნავდა, რომ ლიტერატურასთან ყველაზე შორს მდგომმა ადამიანებმაც კი იცოდნენ მისი ჩამოსვლისა და ლექციის შესახებ და დიდ ბედნიერებად მიიჩნევდნენ, რომ იგი რუსთაველის პოემას თარგმნიდა.

ბევრი რამ, რაც ამ საღამოზე ითქვა რუსთაველის, ქართული ლიტერატურისა, ენისა თუ ხალხის მისამართით, ასახულია ბალმონტის სტატიებში. მათ საფუძველზეა შექმნილი წინასიტყვაობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეულ თარგმანს აქვს წამძღვარებული.

ეს საღამო, მართლაც. ზეიმად იქცა: ყველა სიხარულით

აღნიშნავდა, რომ ქართულმა პოეტურმა სიტყვამ თავისი გამო-
ძახილი რუსული ენის მშვიდ და წყნარ დინებაშიც პოვა.

ანტრაქტებზე საზოგადოება გაცხოველებით მსჯელობდა
თარგმანის ღირსება-ნაკლოვანებაზე.

რუსთაველის შესახებ წაკითხული ლექციისა და პოემის
თარგმანის მოსმენის შემდეგ საზოგადოება დაეინებით მოი-
თხოვდა ბალმონტს საკულთარი ლექსები წაეკითხა. ამის საპასუ-
ხოდ ბალმონტი სკენის წინ გამოსულა და ოდნავი დაყოვნების
შემდეგ განუცხადებია: რუსთაველის შემდეგ ჩემი ლექსების
წაკითხვა არ შემიძლიაო.

ტაშითა და ოვაციებით ბალმონტი მაინც გამოიწვიეს ლექ-
სის სათქმელად. მან წაიკითხა ორი ლექსი. ერთი — იმხანად
ყველასათვის ცნობილი „საქართველო“ და მეორე ახალი —
„ტკივილის ელვარება“:

«Дай сердце мне твое не разделенным». ---

Сказала Таршэлю Нэстан-Джар.

И столько было в ней глубоких чар,

Что только ею он пребыл зажженным.

Лишь ей он был растерзанным, взметенным,

Лишь к Нэстан-Дарэджуи был весь пожар.

Лишь молния стремится такой удар,

Что ей нельзя не быть испепеленным.

О, Нэстан-Джар. О, Нэстан-Дарэджуи,

Любовь твоя была как вихрь безумий.

Твой милый был в огне, в жерле, в самуме.

Но высшей боли — блеск сильнейший дан.

Ее пропел, как никогда не пел.

Пронзенным сердцем Шота Руставели.

საპატიო სტუმრისადმი სიყვარულისა და მადლობის გამო-
სახატავად პოეტს დაფნის გვირგვინით მორთული რუსთავე-
ლის პორტრეტი მიართვეს. მის აღისფერ ბაფთაზე ქართულად
ეწერა: „კონსტანტინე ბალმონტს — ქართველები“.

მეორე დღეს გაზ. „კავკაზსკოე სლოვოში“ გამოქვეყნებუ-
ლი წერილის ავტორი ალექსანდრე ყანჩელი აღნიშნავდა:
„საერთო აზრია, რომ ბალმონტმა მსოფლიო პოეზიისათვის
მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. რუსთაველი მსოფლიო
გიგანტების რიგში ჩადგა“.

ასეთი დიდი წარმატებით ჩატარებული „რუსთაველის სა-
ღამოს“ შემოსავლის ათი პროცენტი ბალმონტმა წმინდა ნინოს
ლაზარეთისათვის შესაწირავად თბილისის გუბერნიის თავად-

აზნაურთა წინამძღოლს თავად დავით ჩოლოყაშვილს გადასცა.

სალამოს შემდეგ კმაყოფილი საზოგადოება ჩოლოყაშვილის მეთაურობით ახალი კლუბის შენობისაკენ გაემართა. აქ მეგობრულ სუფრასთან დიდი პოეტი გათენებამდე მოალხინეს.

ვახშმად მოწვეულ საზოგადოებაში ბალმონტი თავს სტუმრად აღარ თვლიდა. რუსთაველის პოემის თარგმნისათვის გაწეული შრომის გამო ქართველები მას ერისთვის თავდადებულ მოღვაწეთა რიცხვში აყენებდნენ. ეს ურთიერთპატივი იმ ზომამდეც მიდიოდა, რომ ბალმონტი ითხოვდა — საქართველოში ქართველად ჩამთვალეთო.

„რუსთაველის სალამოზე“ მიღებულ შთაბეჭდილებას კარგად გადმოგვცემს ერთი კერძო წერილიც, რომელსაც ნინო მეუნარგია თავის მამას, იონა მეუნარგიას უგზავნის:

„ახლაზან დავბრუნდი ბალმონტის ლექციიდან და მინდა გაგიზიარო ის უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც მან ჩემზე მოახდინა.

საუცხოო შესავალი სიტყვა ისე ლამაზად, ისე თავისებურად წაიკითხა... მისი ახალი, ორიგინალური სიტყვები, ლექსის ფორმა, ყველაფერი, ყველაფერი ბრწყინვალე იყო. რა მშვენივრად ლაპარაკობდა საქართველოზე: „ამ ზღაპრულ, ლამაზი ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში არ შეიძლებოდა არ დაბადებულიყო ასეთი ორიგინალური, თანხმოვნებით აღსავსე, მორაკრაკე ენაო“. რამდენიმე სიტყვა ქართულადაც თქვა.

ახ, მამიკო, როგორ ვნანობ დღეს რომ აქ არ იყავი. სულ ვნატრობდი, ნეტა აქ იყოს-თქო...

ბალმონტს ყვავილებით შემკული შოთა რუსთაველის პორტრეტი მიაართვეს. მთელი მაგიდა, სცენა და ყველაფერი სავსე იყო ყვავილებით.

საყელოშიც ყვავილი ჰქონდა და თვითონაც ისეთი სასიამოვნო იყო.

გწერ უწესრიგოდ, უაზროდ, იმიტომ რომ სავსე ვარ ბალმონტით და არ ძალმიძს აზრის თანმიმდევრულად გადმოცემა... სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობ. ლექსის სილამაზე, უღერადობა და კითხვის მანერა ისეთი წარმტაცი აქვს!.. ნეტა როგორ აღწევს ამას ბალმონტი?!

ახლა, ალბათ, ფიქრობ, რომ შეშლილი ვარ!

ვაშა ბალმონტი! ბრავო ბალმონტი!”

ოფიციალური საზეიმო შეხვედრის გარდა, საპატიო სტუმარი სადღლად ეგზოტიკურ „ფანტაზიასა“, „ედემში“ და „ქართულ კლუბში“ პყავდათ. აქ ბალმონტის უახლოეს ქართველ მეგობართაგან, ყანჩელების გარდა, მუდამ იყვნენ გრიგოლ დიასამიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ერთსელ — ოვანეს თუმანიანი. ბალმონტს ქართველი მანდილოსნებიც უმშვენებდნენ გვერდს. მათი სილამაზით მოსიბლული ბალმონტი წერდა თავის მეუღლეს: „მშვენიერი ქართველი ქალების სახეებს მე სულ სხვა სამყაროში გადავყავარო“.

ეს შეხვედრები პოეტურ ტურნირებად იქცა. ბალმონტი კითხულობდა ლექსებს, ექსპრომტებს უძღვნიდა მანდილოსნებს. ასეთ მიძღვნათაგან შემორჩენილია ლექსი მერი ერისთავისა და ეკატერინე ამირეჯიბისადმი. ეკ. ამირეჯიბისათვის ლექსი ჭერ ზეპირად უთქვამს პოეტს. მერე ხელსახოცზე დაწერილი ადრესატისათვის გადაუცია.

Отходя в ночи ко сну
В мыслях я тебе шепну,
Ты почувствуешь меня
Как касание огня.
В голубых твоих глазах
Как зарница дрогнет страх,
Но не бойся красота,
Поцелую лишь уста.
Ты дремяя шепнешь—«не тропь!»
Но играющий огонь
По тебе скользнет, как тень.
Будешь ты краснеть весь день.

დამორცხვებულ ახალგაზრდა ქალს მოძღვნილი საჩუქარი ხელში მაგრად ჩაუბლუჯავს, რადგან მის დასაკუთრებას პაოლო და ტიციანი ლამობდნენ.

ბალმონტის ამ ლექსს ექსპრომტითვე გამოპასუხებია ოვანეს თუმანიანი. „თქვენ მაჯობეთო“, — შეუძახია ბალმონტს მხიარულად და ეს იმიტომ, რომ სომეხ თანამოკალმეს ლექსში ქართველებისადმი თავიანი სიყვარული გამოუხატავს. ბალმონტს ხომ სიყვარულის ხილვა ხიბლავდა ყველაზე მეტად. ლექსი, რომელიც თუმანიანმა ამ დღეს წაიკითხა, დაკარგულია. მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ მასში ბალმონტმა დაინახა პოეტი, ავტორი შემდეგი სიტყვებისა: „პოეტური ბუნება იმდენად

შეთვისებულია ქართველში, რომ ყოველი ქართველი მე პოეტი მგონია. ეს ხდის ქართველს მიმზიდველად თავის მტრებისთვისაც კი“.

თბილისში ყოფნის დროს ბალმონტი პირადად გაეცნო მისი ლექციით ალტაცებულ ყმაწვილ ქალს, ნინო მეუნარგიასაც. მასი მამისაგან იგი დიდად დავალებულად თვლიდა თავს. უფრო გვიან, რუსეთის ქალაქებში ლექციების წასაკითხად მგზავრობის დროს ბალმონტი გამოეხმაურა კიდევ თავისი ახალგაზრდა თაყვანისმცემლისაგან მიღებულ წერილს:

„ნინო, სამეგრელოს მშვენიერო ასულო! ვერც შთაბეჭდილებათა კორიანტელი, რომელიც მთელ რუსეთში დამაქროლებს და ახლა დიდ ბიარშიაში (ამჟამად პერმში) მიმიყვანა. ვერც მრავალი ლამაზი სახეები ქალიშვილებისა თუ ქალების: ვერ დაჩრდილავენ თქვენს ხსოვნას ჩემს გულში, ძვირფასო მომიგონებდეთ.

მადლობას ვუძღვნი თქვენს მამას იმ ძვირფასი შრომისათვის, რომელიც მან მანდო. ის მე დამჭირდება დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, როცა მე ყოველდღე ვიმუშავებ სხივმოსილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე, თბილისში ჩამოვალ გაზაფხულზე, ან იქნებ უფრო ადრეც. როცა დავბრუნდები. დავწერ ორ რამეს: „სიყვარული და სიკვდილი მსოფლიო პოეზიაში“ და „სიყვარულის ჭვაროსანი — თამარის მეხოტბე რუსთაველი“. ამ ლექციებით მე მოვივლი მთელ რუსეთს და საქართველოს დავუბრუნდები ქართული ყვავილების ახალი ელვარებითა და მარგალიტის საბოძვართ“.

* * *

5 ოქტომბერს ბალმონტი ქუთაისს გაემგზავრა. საქართველოში პირველი სტუმრობის დროსვე ფიქრობდნენ მიეწვიათ იგი ქუთაისში, „სადაც უფრო იგრძნობსო საქართველოს ჩვენი სტუმარი“. სურვილი მხოლოდ 1915 წელს განხორციელდა: გამგზავრების წინ ბალმონტი სწერდა თავის მეუღლეს: „ხვალ მთელი ამალით ქუთაისში ვიქნები. მექნება საჯარო გამოსვლები. მზადდება დიდებული შეხვედრა“.

გაზეთ „მეგობრის“ პირველსავე ნომერში ეწერა: „მოკლე

ხანში ბალმონტს ქუთაისში მოელიან და საზოგადოებაც მგოსნის შესაფერისი შეხვედრისათვის ემზადება.“

ქუთაისის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა ბალმონტის შეხვედრისათვის განსაკუთრებული ელფერი მიეცა. ამ მიზნით მათ აირჩიეს რამდენიმე პირი და დაავალეს ეზრუნათ პოეტის ღირსეულად დახვედრის ორგანიზაციისათვის.

გაზეთებში დაიბეჭდა ბალმონტის ლექსების იანგილისკული თარგმანები. ლექსები ისეთი შეარჩიეს, მასპინძლების სათქმელსაც რომ გამოხატავდა:

„...გსურს განა? გსურს განა დაიპურო ქვეყანა?
ზმანება ფარული ჰქენი,
სურვილი მეგობრობს ლურჯ სიმაღლესთანა.
რიერაჟი შენია, შენია..“

საგანგებოდ შექმნილი კომიტეტის შემადგენლობა: შ. დადიანი, ჯ. ჯორჯიკია, შ. ამირეჯიბი. გ. ტაბიძე, შოთა დადიანი, პ. იაშვილი, პ. მდივანი, აკ. ფაღავა, ვ. გაფრინდაშვილი, ალ. არსენიშვილი და თითო წარმომადგენელი ქალაქის სხვადასხვა კულტურული დაწესებულებიდან. კომიტეტმა განიზრახა ქუთაისის მომავალი საპატიო სტუმრის შეხვედრა რიონის სადგურზე ეტლებითა და ეროვნული მუსიკით. გაზეთში გამოქვეყნდა სამოქმედო გეგმა, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ბალმონტს ქუთაისში ელიან დიდის სიხარულით... კომიტეტი იმედოვნებს, რომ ბევრი იქნება მსურველი მგოსნის რიონზე შეხვედრისა და ამისათვის სთხოვს ყველას იყვნენ რიონის სადგურზე არა უგვიანეს ათი საათი სა...“

შეხვედრის გეგმაში ზუსტად იყო მითითებული ბალმონტის რიონსა და ქუთაისში ჩამოსვლის დრო. საზოგადოებას ატყობინებდნენ, რომ 6 ოქტომბერს ქალაქის თეატრში პოეტი წაიკითხავდა ლექციას რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს. აღნიშნული იყო, რომ სალამოს შემდეგ გაიმართებოდა სტუმრის საპატივცემულო სადღესასწაულო ბანკეტი და მონაწილეობის მსურველთ პავლე მდივანისათვის შეეძლოთ მიემართათ.

საყოველთაო ზეიმად ბალმონტთან შეხვედრა ჩვენი კულტურისა და ხალხისადმი მისმა გულწრფელმა პატივისცემამ

აქცია. ამის თაობაზე საგანგებოდ იყო აღნიშნული გაზეთში: წერილის („ძვირფასი სტუმარი“) ავტორი განასხვავებდა ბალმონტს სხვა სტუმართაგან, რომელთაც ჩვენთან მხიარულ ნადიმში დრო უტარებიათ, „ლექურიც კი უთამაშიათ!“ და განშორების შემდეგ უგინებივართ, ან, უკეთეს შემთხვევაში, სრულიად დავეიწყებებივართ. „დღევანდელი ჩვენი სტუმარი, — განუმარტავდა წერილის ავტორი საზოგადოებას, — მოდის ჩვენთან ძვირფასი საჩუქრით, მოდის გულწრფელი, წმინდა გრძნობით, მოდის სიყვარულით და უნდა მოგვასმენინოს რუსეთის საუკეთესო მგოსნისაგან ნათარგმნი ჩვენი საუკეთესო განძი — „ვეფხისტყაოსანი“. მას უყვარს ჩვენი ქვეყანა, უყვარს ჩვენი ხალხი, და სწორედ ამ სიყვარულის მაჩვენებელია მისი ჩვენთან დამოკიდებულება.“ წერილი მთავრდებოდა ბალმონტისადმი მიმართვით: „იმ საჩუქრისათვის, რომელიც მოგაქვთ ჩვენთან, მიიღეთ ჩვენი მადლობა, სიყვარულისათვის — ჩვენი სიყვარული... გულწრფელი სალამი, მეგობარო! კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა!“¹

გაზეთის მომდევნო ნომერში დაიბეჭდა დ. მესხის მოკლე წერილი. „კარგა ხანია იტყობინებიან ბალმონტისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს — რა მოხდა, რამ შეძრა ლიხთვალმა-გადმოღმელი ქართველი ინტელიგენცია?! რათ გახდა ამისათვის საჭირო ჩვენი ქვეყნის პრესის ამეტყველება, რათ გახდა საჭირო ქართველობას მოაგონონ გულუხვი მასპინძლური გრძნობა, სტუმართმოყვარეობა, რომელიც საუკუნეებით თანშეზრდილი იყო და არის ჩვენი ხელიაფისა და გულგაშლილი ერისა?!

კ. ბალმონტი დაგვიმეგობრდა... მან ხელი მიჰყო რუსულ ენაზე ჩვენი ეროვნული ლიტერატურული განძის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას, იგი „იშუიათი“ სტუმარია ჩვენი...

და აი, სწორედ ეს მოვლენა, ეს „იშუიათი“ არის ამაყვნესა და დამადონებელი.

საუკუნეზე ბევრად მეტია — ჩვენი ბედი რუსეთთან შეგ-

¹ გაზ. „მეგობარი“, 1915, 6/X, № 4, გვ. 1.

ქედით და დღეს მოვლენათ ვსახავთ, გვეიშვიათება, რომ რუსის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩვენთან მოდის, გულმა ჩვენი გაცნობა უთხრა...“

სასიხარულო შეხვედრის მაუწყებელთ თავისი ხმა ბალმონტის პირადმა ნაცნობმა პაოლო იაშვილმაც შეუერთა. თავის წერილში იგი აღტაცებით ლაპარაკობდა ბალმონტის შემოქმედებაზე, მის ნიჭზე. იგი წერდა: „ბალმონტი მოვიდ-ქვეყნად მზის სადიდებლად და მისი მოყვარული სული ყოველთვის შემოფარგლულია ცხოველი მზის ოქროს სხივებით. ის საიდუმლო ქვეყანა, რომელშიც ოცნებით ცხოვრობს ეს გრძნეულებით სავსე მომღერალი, ყოველთვის გაშუქებულია სასიხარულო სინათლით. მზიურ საიდუმლოებით მოცულს სულიერ ქვეყანაში იშვის ყოველთვის მისი ლექსი, მისი სიმღერა განუწყვეტელი სიყვარულის მსურველი. მან არ იცის, -- მას არ უნდა იცოდეს — დაღვრემილი სახე ნისლისაგან დაბნელებული დღისა, მთელი მისი პოეტური არსება არის გრძნეული ალ-ხედულობა, რომელიც მკვეთრად გამოხატა მან გულის სიღრმიდან ამოქროლვილ სიტყვაში:

„ვიყოთ როგორც მზე!..“

სწორედ ამ სიტყვებში ჩასახა მან უმთავრესი თვისება თავისი გამიჯნურებული პოეზიისა.

ბალმონტი არის პოეტი ლირიკოსი, ლირიკოსი ყოველთვის და ყველაფერში, ცხოვრებაშიც ისევე, როგორც შემოქმედებაში. ის ეკუთვნის იმგვარ პოეტებს, რომელნიც ვიაჩესლავ ივანოვის სიტყვით, ყველაფერს, რასაც კი შეეხებიან, ლირიკად აქცევენ, სწორედ ისე, როგორც ზღაპრული მეფე, რომელიც ცხოვრობდა ვარდების ბაღში, პატკოლას ნაპირას, და ყველაფერს, რასაც კი შეეხებოდა, ოქროდ აქცევდა...

რაც არ უნდა ბევრი ვწერთ ბალმონტის პოეზიის შესახებ, შეუძლებელია მისი ყოველი მხრით დაფასება. ვიტყვიო მხოლოდ, რომ... მისი სახელი პოეზიისათვის უკვდავია ისე, როგორც უკვდავია ფრანგებისათვის ალფრედ დე მიუსე და კერლენი. ინგლისელებისათვის — შელი. გერმანელებისათვის — ჯაინე.“

ბალმონტის, როგორც პოეტის, საუკეთესო დახასიათება მოგვცა ვიაჩესლავ ივანოვმაც. მისი მშვენიერი წერილი თავ-

დება ლათინურ ენაზე დაწერილი ლექსით, რომლის პქარედი
გადმოგვცემს შემდეგს:

„ეის მივცე მე ბზა და დაუნა წმინდა?
შენია, ბალმონტი, ეს საჩუქარი,
სიმღერა შენი სუნთქავს ნაზი სიცოცხლით:
სიძლიერე მრავალხმოვანებისა
ჩააქსოვა მუზამ შენს აღტაცებულ ლექსში,
მოხიბლა ქვეყანა ახალი ბგერებით...“

ასეთი რეკომენდაციები ბალმონტის წინაშე მასპინძელთა
გულის კარსაც ხსნიდა. ძვირფასი სტუმრის ღირსეულად დახ-
ვედრისათვის ქუთათურებიც არ იშურებდნენ ძალას.

გაზეთები და აფიშები იუწყებოდნენ პოეტის ქუთაისში
ჩამოსვლას და მის პატივსაცემად დანიშნული საზეიმო შეხ-
ვედრის ჩატარებას. „ბალმონტის საღამოს“ ორგანიზაცია თე-
ატრის ადმინისტრატორს ბ. ვ. ურუშაძეს დაევალა. გაზეთში
მოათავსეს ბალმონტის ფოტო, რომელსაც თან ახლდა მისი-
ვე ლექსების პ. იაშვილისეული თარგმანი.

4 ოქტომბერს შავი ქვის მრეწველთა საბჭოში ბალმონტის
შეხვედრის მომწყობი კომიტეტის კრება ჩატარდა. იქ შემუ-
შავებული გეგმით პ. იაშვილსა და ორ სხვა პირს მგოსნის დახ-
ვედრა დაევალა შორაპანში.

მგოსანთან შეხვედრის მომწყობი კომიტეტის სახელით პა-
ოლო იაშვილმა დეპეშა გაუგზავნა ბალმონტს თბილისში: „ძვე-
ლი ქალაქი ოქროს ვერძის ქვეყნისა აღტაცებით მოგესალმება
და მოუთმენლად მოგელის შენ, მზის, სიჭაბუკის და ნეტარი
ოცნების შუქმოსილო მარადო მომღერალო!“

დათქმულ 6 ოქტომბერს ბალმონტი ქუთაისს ეწვია. რი-
ონისა და ქუთაისის რკინიგზის სადგურებზე ახალგაზრდობას
ადრევე მოეყარა თავი. „აქ არის, აქ“, გაისმა რიონის სადგურ-
ზე ჩამომდგარი მატარებლის ერთ-ერთი ვაგონიდან და ხალ-
ხიც ტაშითა და ყვავილებით იმ ადგილისაკენ გავიშტრა. პ.
იაშვილმა ყვავილების თაიგული სტუმარ პოეტს გადასცა, რო-
მელიც ისევ გულაჩუყებული იდგა ამ მიწაზე მუდამ მოსა-
ლოდნელი სიყვარულის წინაშე.

მატარებლის დაძვრას ნახევარი საათი აკლდა. სტუმრები

ბაქანზე გადმოვიდნენ. ბალმონტს მიესალმნენ გალაკტიონ ტა-
ბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და გაზეთ „მეგობრის“ წარ-
მომადგენელი შოთა დადიანი.

თბილისიდან ბალმონტს თან ახლდნენ ელენე ცვეტკოვ-
სკაია, თამარ და ალექსანდრე ყანჩიელები და გრიგოლ დიასა-
ვიძე.

ქუთაისის სადგურზე კიდევ უფრო მეტ ხალხს მოეყარა
ოავი. სადგურის ბაქანზე გამოსულ ბალმონტს სიტყვით მი-
ესალმა კიტა აბაშიძე. ტაშითა და „ვაშას“ ძახილით მიაცილეს
ბალმონტი ეტლამდე. ყვავილებში ჩაფლული ბალმონტი მალ-
ღიერ მზერას აწვდენდა ყველას. საპატიო სტუმარი ქუთაისის
ასტუმრო „ფრანციაში“ დააბინავეს.

„ხალხი ჩემს ეტლს უკან მოსდევდა... ტყვედ ვარ ქცეუ-
ლიო“, — სწერდა აღფრთოვანებული ბალმონტი ქუთაისში
შეხვედრის შესახებ თავის მეუღლეს. ბალმონტის სახელი იცო-
და ყველა ქუთაისელმა; მის მისაგნებად კორესპონდენციებს
პისაშარითი არ სჭირდებოდა. ამაზე კარგად მეტყველებს ბალ-
მონტის დეპეშა მეუღლისადმი: „გამომეხმაურე. ქუთაისი, პო-
ეტ ბალმონტს“.

ბალმონტის ქუთაისში ჩამოსვლა გადაიქცა ზეიმად, პოეზი-
ის დღესასწაულად. ასეთი ტრიუმფით არ დახვედრიან მეფის
ნაცვალს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რომელიც ქუთაისს მე-
ორე დღეს ესტუმრა და, რომლის გამო საგანგებო მოწოდე-
ბაც კი გამოქვეყნდა გაზეთში.

ქალაქის ქუჩები სადგურიდან საკათედრო ეკლესიასა და
ქართულ გიმნაზიამდე სადღესასწაულოდ იყო მორთული. აივ-
ნებზე დროშები, ხალიჩები და ყვავილები გამოეფინათ. ყვე-
ლაფერი, ჩანს, მხოლოდ ერთი სტუმრის ხალისით კეთდებო-
და. მეფის ნაცვალი ქალაქში მხოლოდ ერთ საათს გაჩერდა.
მომდევნო დღეს გაზეთ „მეგობარში“ სათაურით „ორი სტუ-
მარი“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც უპირატესობა სწო-
რედ ხალხის სასურველ სტუმარს — ბალმონტს — ეძლეოდა.

ორივე ერთ დღეს გვეწვია, ორივეს დიდი ზეიმით შეეხვდით,
ჰაგრამ მათ შორის მაინც უდიდესი განსხვავებააო, — აღნიშნავე-
და წერილის ავტორი და გულმოდგინედ ასაბუთებდა ამ განსხვა-

ვებას. კერძოდ, ბალმონტის შესახებ შემდეგი იყო ნათქვამი: „ჩვენი ერთი სტუმარი რუსეთის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედია. მან შორით განიცადა თავისებურება ქართული სულისა, რომელიც კიდევ გასჭედა და კიდევ გამოსახა შოთა რუსთაველმა... იგი გვეწვია ჩვენ, რათა ეჩვენებინა, თუ რამდენად შესძლო წვდომა ჩვენი სულის სიღრმისა. სურს შოთა რუსთაველი მეოცე საუკუნეს გააცნოს ისე, როგორც მას იგი ესმის. ასეთი სტუმარი სანდოა და საყვარელი...“

ქართველ ლიტერატორთა ჯგუფმა, რომლის შესანიშნავი წარმომადგენლებით მდიდარი იყო იმ დროის ქუთაისი, უნაკლო ყურადღება აღმოუჩინა სასურველ სტუმარს. მთელი დღე ბალმონტს ძველი ქართული ქალაქისა და მისი განაპირა ადგილების დასათვალიერებლად დაატარებდნენ, ქუთაისის ახალგაზრდა პოეტებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს აცნობდნენ. მათი თანხლებით ბალმონტმა მრავალი ღირსშესანიშნაობანი იჩინა. მის ხსოვნაში ჩაიბეჭდა ხილული და განავონი: დავით აღმაშენებლის სარეზიდენციო ადგილები ქალაქის მადლობზე, გელათის აკადემია და, იქნებ რუსთაველის ნაკვალევიც მის ზღურბლზე; რაიონის პირებს შერჩენილი გეგუთის ციხის ნანგრევები და მის თაღქვეშ გიორგი მეფის ბრძანება, თამარის თანამოსაყდრეობაზე; თვითონ ქუთაისი — წმინდა ქართული ქალაქი, რომლის სიძველის პირველ ნიშანს ბალმონტი დიდებული ტაძრის ნანგრევებშიც აგნებდა. მეფე ბაგრატ მესამეს მეათე საუკუნეში აეგო ეს ძეგლი, როგორც სიმბოლო ქართული ქვეყნის ერთიანობისა. მის კედლებთან განუცდიათ თავისი ბედნიერება და ვარამი ქუთათურებს. თურქების ხელით მოშლილი მისი თალი და მწვანით შეფარული ღია კრილიები ახლა მხოლოდ დუმილით ემოწმებოდნენ ქართველ მემკვიდრეებს.

რძლიერი შთაბეჭდილების გამო მოწოლილმა გრძნობამ შეება ისევ. ლექსის სტრიქონებში პოვა და მოხიბლული სტუმარი ღალადებდა:

Восхищенный страной Золотого руна,
 Заглядевшись в сердца, где не вянет весна
 И шумя, как гулким теченьем Рион
 По камням шевелит отвечающий звон, —
 Я стою на горах, как вярнувшись домой.
 Говоря красоте: Ты моя, ли? Я твой!

ეს სტრიქონები ბალმონტმა ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებზე ჩამომჯდარმა დაწერა.

ბაგრატიის ტაძრის დათვალიერების დროს ეურნალ-გაზეთების კანტორის — „იმერეთის“ გამგემ ისიდორე კვიციანიძემ ფოტოარქივარიუს, ნიკიფორე საღარაძეს რამდენიმე სურათი გადააღებინა. ამ სურათებზე აღბეჭდილია: ბალმონტი ქუთაისელ და თბილისელ მწერლებთან ერთად ბაგრატიის ტაძრის ეზოში; ბალმონტი გალაკტიონ ტაბიძესთან და ია ეკალაძესთან ერთად; ბალმონტი გალაკტიონთან და ვარლამ რუხაძესთან წიგნის მალაზიაში; ბალმონტი ალ. ყანჩელთან, ნ. მდივანთან და ნინო ჩარეჟიშვილთან ერთად; გადაღებულია მარტო ბალმონტიც ბაგრატიის ტაძრის ეზოში ქვაზე ჩამომჯდარი. ლექსის წერის დროს. თითო ცალი ამ სურათებისა სტუმარ პოეტს გადასცეს, იგი მეტად კმაყოფილი დარჩენილა ამ სამახსოვრო საჩუქრით და აღუნიშნავს, რომ ეს სურათები დაუვიწყარნი იქნებიან არა მარტო მისთვის, არამედ ისტორიისათვისაც.

სურათებთან ერთად ი. კვიციანიძემ ბალმონტს მიუძღვნა: „ვეფხისტყაოსანი“ (იუსტინე აბულაძისა და სარგის კაკაბაძის გამოცემა), წიგნი „აკაკი და მისი პოეზია“, აგრეთვე ყველა ის რუსულ-ქართული პერიოდული გამოცემა; რომელიც ბალმონტის საქართველოში სტუმრობას გამოეხმაურა. ერთგან ასეთი ცნობაც იყო გამოქვეყნებული: „სეირნობის დროს, ჭომაში ჭიათურის ნოტარიუსმა ვლადიმერ აბულაძემ მის კართან მისული სტუმრები სახლში მიიპატიჟა, მგოსანს თაიგული მიართვა, ბაღის ხილითა და საკუთარი ვენახის ღვინით გაუმასპინძლდა. ბალმონტი მეტად ნასიამოვნები დარჩენილა და იქვე საუცხოო ლექსიც დაუწერია.“

პრესა აქვეყნებდა ცნობებს ბალმონტის ფულადი შემოწორულების შესახებაც, რომელიც მას წმინდა ნინოს ლაზარეთი-

სა და ქუთაისში „სინათლის“ საზოგადოების საპირობისათვის გაუღია.

ყველასთვის ნათელი იყო, რომ რუსი პოეტი, მართლაც, ჩვენი გაცნობისა და სიყვარულისათვის იყო ჩამოსული.

თბილისში, ქუთაისსა თუ მცხეთაში ნანახი ისტორიული ძეგლების მიხედვით ბალმონტმა კარგად გაიგო და შეაფასა ქართული ხუროთმოძღვრება, ნაგებობათა მხატვრობის ფერადოვანი გამა, ტიხრული მინანქრისა და ქედური ხელოვნების ნიმუშები, ქართული ორნამენტის განუმეორებლობა ერთსა და იმავე ძეგლში. არქიტექტურაში ასიმეტრიულის ჰარმონიულობამ იგი უფრო მიიზიდა, რადგან მიაჩნდა, სიმეტრიულობა თავისუფლებას თრგუნავსო. თავისუფლების სული კი ასე მაღალი იყო საქართველოში. ტაძრებიც მაღალ და მშვიდ ადგილებში აღეშენებოდა. მათი ნანგრევებიც კი წმინდა ადგილების მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ.

ზევიდან გადმოჰყურებდა ქუთაისს ბაგრატის ტაძარიც. მისი ზეცისკენ აწვდილი კედლები თითქო ქვეყნის კრილობათ: ამბავს მოთქვამდა და მისი აყვავებისათვის ლოცვას აღავლენდა. შემოდგომის თბილი ღრე იყო. მზის სხივი ყველას და ყველაფერს სითბოს მატებდა. მზე ძლიერ უყვარდა ბალმონტს. პატივის ნიშნად მის სახელს ასომთავრულით წერდა მუდამ. ჩემი სული ჰკნება უმზეოდო, — წერდა იგი ჩრდილოეთში ყოფნის დროს. სამხრეთის ჰარბ სხივმოსილებას აღტაცებაში მოჰყავდა პოეტი. მზე ავსებდა მას სიხარულით, ამბავს ეუბნებდა და ანთებდა შემოქმედების შუქით. ლექსების კრებულში „ვიყოთ მზისდარნი“ იგი სხვებსაც მზის სიყვარულისაყენ მოუწოდებდა.

მზის ამგვარი შეგრძნება ადრეც ყოფილა ასახული მწერლობაში. ამ მხრივ ბალმონტი ყველაზე ახლო იყო იმ განცდასთან, რომელსაც ზარატუსტრას შვილი თავის მზის სიმღერაში გადმოსცემს: „სადაც მზეა, იქ ყველაფერი ჩანს, ყველაფერი ცოცხლობს ხილული მზით; მაგრამ არა ადამიანი, რომელიც სინათლის წყაროდ თავის საკუთარ მზეს საპირობებს. საკუთარ მზეს მოაქვს შემოქმედება, სამყაროს განჰვრეტის, შეცნობის უნარი. მიეცით გზა საკუთარი მზის აღზევებას“. ლექსს, რომელიც ბალმონტმა ბაგრატის ტაძრის ეზოში წარმოთქვა, სიმ.

პოლური მნიშვნელობა ჰქონდა და თითქოს პასუხობდა ამ შეკვნებას¹. აი ნაწყვეტი ბალმონტის ამ ლექსიდან:

Я в этот мир пришел, чтоб видеть Солнце
И синий кругозор.
Я в этот мир пришел, чтоб видеть Солнце
И выси гор.

საზეიმო ვითარების მთავარი მიზეზი საქართველოსთან ბალმონტის შემოქმედებითი დაკავშირება იყო. ქართველი ინტელიგენცია შესაფერი პატივით ღებულობდა მისთვის სათაყვანებელი პოემის დამფასებელსა და მთარგმნელს — დიდ რუს პოეტს.

6 ოქტომბრის საღამოს ქუთაისის ქართული თეატრის შენობაში ბალმონტი გამოდიოდა ვრცელი სიტყვით რუსთაველის შესახებ და „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანით. მეს მოსასმენად თეატრში ზღვა ხალხს მოეყარა თავი. ყველა გულის ყურით უსმენდა ქართულ პოემას რუსულ ენაზე. ბალმონტში ყველა „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეულ მთარგმნელს ხედავდა. მაგრამ ჰქონდათ, რა თქმა უნდა, შენიშვნებიც. გაზეთებში გამოქვეყნდა შთაბეჭდილებანი ამ საღამოს შესახებ. რომლის ძირითადი აზრი ასე იყო გამოხატული: „ჩვენი საუნჯის უმჯობესად გადაცემა რუსულად ჩვენ არ გვგონია შესაძლო იყოს.“ შენიშვნები თარგმანის მიმართ გამოთქმული იყო რბილად. რეცენზიებში. ძირითადად. ერთმანეთს ენაცვლებოდა აღტაცება. მადლიერება და უკეთესად თარგმნის სურვილი. ერთხელ მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება ასე იყო გადმოცემული: „ოკეანის ტალღებში... მეგობრის პირით (ივულისხმება ო. უორდროპი) ამცნო შორეულის დიდება... ჩრდილოელმა იგრძნო სიდიადე რუსთაველისა... თაყვანი სცა და მოჯადოებელი ეზიარა წინამორბედი უცხო გენიის ცეცხლს. მუხლმოდრეკითა და მოწიწებით მიუახლოვდა და გამოსთხოვა პირმშო მისი სათაყვანოდ და საღალადოდ... მის მეტყველებაში სხვა ელფერი მიიღო ჩვენმა მზეებრ მოელვარე რუსთაველის ქმნი-

¹ Я в этот мир пришел, чтоб было солнце

И каждый солнцем был,

Я в этот мир пришел, чтоб было солнце

Мир солнца не забыл («Что сказал сын Заратустра», 1912.,

Харьков. რუსული თარგმანი შესრულებულია კ. ცაგარელის მიერ).

ლებამ. მთარგმნელის პიროვნებამ თავისი დალი დაასვა და რუსული ენის ბუნებამ თავისი მოითხოვა... კ. ბალმონტმა ქმნა ის. რაც შეუძლია გააკეთოს ზენა ნიკით ცხებულ ადამიანს და ყოველი საშუალება გამოიყენა, რაც კი შეუძლია მის განკარგულებაში იყოს თვით ენის მხრივ, მაგრამ „რა ქმნას კარგმა მონარდემმა“, თუკი მისივე დაკვირვება ქართული და რუსული ენის ბუნების პარალელისა და აღადგებს, რომ ამ ორ ენათა ბუნება ისე სხვადასხვაობს, ვით გაღუვალი და ამაყი, თვალუწვდენელი მეფური კავკასიონი და თუმცა აგრეთვე ბუმბერაზი, ხოლო გასწვრივ გაწოლილი თვალშეუვალი მინდვრები რუსეთისა...

...შესავალი პოემისა — უფრო ძნელი სათარგმნი — ჩვენ უფრო დაშორებულად მოგვეჩვენა ორიგინალთან. საერთოდ, შიგადაშიგ შემდეგაც არის შეცოდებანი. დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ამას შეასწორებს მგოსანი დაბეჭდვამდე, რადგან იგი მუშაობის ევროპულ სისტემას მისდევს — ჯერ კიდევ დაუმთავრებელ თარგმანს გვაცნობს საჯაროდ.

...ბალმონტი იწვის რუსთაველით, მაგრამ საკუთრივ წვა, თავისთვის განცდა სხვაა, და სასცენო, გადმოსაცემი ცეცხლი კიდევ სხვა. არ მოგვეწონა ზომა, რომლითაც კითხულობდა პოეტი, — მონოტონობას ქმნიდა... რუსთაველის ნაქედი და მოჩხრიალე ზოთმა მგოსანი ცდილა აენახლაურებია რითმების გაორებით... მაგრამ თუ რუსთაველის ლექსი მთიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერია, რომელიც სივრცეში მარგალიტებად ელვარებს... ბალმონტის რითმა დანაწილებულია სტრიქონებს შუა, გრეხილად აბამს მუსიკას... მგონია, სხვა საშუალების გამოძებნაც ძნელი იყო...”

წერილი მთავრდებოდა მადლობით იმ შრომისათვის, რომელიც ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისათვის გასწია. „ჩვენ მუდამ შესაფერისად დავაფასებთ ჩვენს ერთგულ, გულწრფელ მეგობრებს, — აღნიშნავდა წერილის ავტორი და საგანგებოდ ხაზს უსვამდა შემდეგ გარემოებას: — იწყება ახალი ხანა ჩვენისა და რუსთა მოწინავე ანტელიგენციის დამოკიდებულებისა. ჩვენც ფხიზლად მოვეკიდებით ამ საქმეს და ვიმედოვნებთ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს. ბედნიერი იყოს ეს ახალი კავშირი და გაგვიმარჯოს

ორივე მოკავშირეს: მოწინავე რუსეთსა და ლალ საქართვე-
ლოს“¹.

7 ოქტომბერს საზოგადო საკრებულოს საზაფხულო სად-
გომში ქუთაისის ინტელიგენციამ ბალმონტს ნადიმი გაუმჯრთა.
ნადიმს 150 კაცი დაესწრო. სუფრა საგანგებოდ იყო მორთუ-
ლი. დღეგრძელობისა და პატივისცემის ნიშნად ბალმონტის
სკამის პირდაპირ ყანწებისაგან შეკრული თალი იყო გაკეთე-
ბული. სუფრას თარგულები ამშვენებდა.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით
ბალმონტი წინასწარ გრძნობდა, რომ ეს საღამოც დაუეწიჯარ“
იქნებოდა და ზეიმის მოლოდინში წერდა თავის მეუღლეს:
„ახლა მე მომაკითხავენ და საზეიმო შეხვედრაზე გავეშურები.
იქ იქნება მუსიკა, სიტყვები, ყვავილები და ლექსები. იქნებ“
ზეიმი როგორც მანდ, რუსეთში არ იციან“.

მართლაც, ბალმონტის გამოჩენას ქართული მუსიკითა და
ტაშით შეხვდნენ. ნადიმის თავმჯდომარემ, ქალაქის მოჭრავემ
ილია ჩიქოვანმა მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვით მიმართა
მგოსანს და მისი სადღეგრძელო შესევა. სუფრის წევრებმა თა-
მადად, ერთხმად, კიტა აბაშიძე აირჩიეს. კ. აბაშიძემ ასე მიმარ-
თა სტუმარ მგოსანს: „სალამი შენდა, მგოსანო მზისა, სილა-
მაზისა და სიყვარულისა. შენ შეგიყვარდა საქართველო და ან
კი როგორ შეიძლებოდა შენ, მგოსანს მზისას, არ შეგყვარე-
ბოდა მხარე, სადაც მეფეს მზისას თავისი ტახტი დაუდგამს?!.
როგორ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდა მხარე, სადაც სიყვა-
რულს მოუპოვებია თავისი სამარადისო სამყოფელი და საცა
მზის სხივებთან ერთად აკუის გულში შედის ხოლმე ამჟრის
ისარი.“

ხოლო, თუ მარტო ყველა ამისათვის შეგყვარებოდი, თუ
პოეტო, იმით მოგხიბლეთ, რაც ჩვენ ხელთ არ არის, გარეშე
ჩვენი გავლენისაა, რაც ჩვენს „კიდზე“ არის, მაშინ ჩვენ არ
ძოვიდოდით, დიდო პოეტო რუსეთის ქვეყნისა, და არც ხაყვანს
გცემდით შენ. მაგრამ განა შეგეძლო შენ — პოეტს, რომელ-
მაც გვაუწყე, „რომ ქვემარტი პოეტური შემოქმედება არის

¹. მარსელი, კ. ბალმონტის ლექცია. გაზ. „მეგობარი“, 1915, № 6. 8/1,
გვ. 2.

გაღებული ბჭე სულის სამეუფოში“, შეგეძლო კი შენ. გაჩე-
რებულებიყავი ჩვენი სულის ბჭის ზღურბლთან და კარი არ შე-
გელო მის სამეუფოში?!

და აი, შენ... რომელსაც „გესმის ზღაპარი ზღვის სიღრმი-
სა“, რომელსაც „გესმის დროთა მიმოფრენა“, მოიპოვე გასა-
ღები ჩვენის გულისა — აიღე საოცარი, სამარადისო ზღაპარი
ჩვენის ხალხისა, გაიგე იგი და სთარგმნე ვნებით სავსე ტკილ-
ხმოვან ლექსად. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი სულს
ითქვამს და სცოცხლობს ამ თავისი ცხოვრების სიმბოლური
ზღაპრით, რომელიც ხალხის გენიოსმა უკვდავ ჰყო.

...სხივოსანი ნესტან-დარეჯანი — თვალწარმტაცი ქვეყანა
ჩვენი, არა ერთხელ ყოფილა ამა თუ იმ ქაჯთა ციხეში, არა
ერთხელ ყოფილა ტყვედ ქმნილი ბოროტი სულის რომელიმე
წარმომადგენლისაგან და აი, შენ — პოეტო, მოხვედი ჩვენ-
თან, ვით ავთანდილი ველად გაჭრილი ტარიელთან, მიგვიხ-
ვედი ჩვენს ვაებასა და გლოვას და ღვთიურის ხელით შეეხე
ჩვენს განაწამებს სულს და ვინ იცის, იქნებ შენ; გულთმისანო
პგოსანო, მოდიხარ ჩვენთან ამ საბედისწერო ხანაში, ვით სიმ-
ბოლური საბედნიერო მახარობელი ნესტანის გათავისუფლე-
ბისა?!

მაშ, ქება ჩვენი და მადლობა ჩვენი შენ, მგოსანო მზისა,
სილამაზისა და სიყვარულისა!..

გვირგვინს გიძღვნის, გვირგვინს მოქსოვილს ხალხის მარ-
გალიტების ცრემლიდან მხარე. რომელსაც კარგა ხანია მზე აქვს
დაბნელებული ბოროტ სულთა მიერ, მომაჯადოებელი კუთხე,
სადაც საუკუნის სილამაზე ძაძით მოსილია, სადაც ნეტარება-
სიყვარულისა მოწამლულია მონობის ჯაჭვით“¹.

ქ. აბაშიძის მიერ რუსულ ენაზე წარმოთქმულ ამ სადღევ-
რძელოს სტუმარმა შთაგონებული სიტყვითვე უპასუხა. იგი
თავდებოდა მოწოდებით: «За Грузию, страну волшебного
песнопения, я поднимаю свой бокал».

ბალმონტის სახით ქართველები ჩვენი ერისა და კულტუ-
რის გულწრფელ მეგობარს ხედავდნენ. მისდამი მიმართულ
სიტყვებშიც ამიტომ შეიმჩნევა მისთვის ჩვენი ეროვნულ-

¹ „გაზ. ...მეგობარი“, 1915, № 9, 11/X, გვ. 3.

ტივილები გაზიარების სურვილიც. აი: ამის საილუსტრაციოდ ერთი ლექსიც, რომელიც სანდრო შანშიაშვილს იმ დროს კ. ბალმონტისათვის უძღვნია:

მოსულხარ მზიურს, ობოლს ქვეყანას,
მაგრამ სხვის ნახვად ლეგანისლოვანს,
ვიცი, მიხედები ჩვენს გამოცანას:
ქართველი ვერ შლის მზიარულ აღამს,
მიტომ ვერც გაძლევს შენ, ნათელ მგოსანს,
შენსავე შესაფერის მოკითხვის სალამს!
დღეს შენი ერი სახელს ატარებს,
თვის შეილს ან სტანჯავს, ანუ ახარებს.
ხოლო ჩემი კი, ერთხელ განთქმული,
ჩრდილოს ქარისგან არის დანთქმული.
და თვის ხვაშიადს დღეს შენ გაბარებს,
რაც განუცდია ამაყ მთა-ბარებს.
ამბობს: მწყურთან მეც სხვებზე სიცოცხლე,
ჩემს ვარდს და ბულბულს ვუშლურადე ნანას.
კერძო „მე“ მქონდეს სხვასთან თანაბარს!
და თუ კვლავ მნახავ მზიურ ქვეყანას.
მოგაგებებენ ზეიმით აღამს,
თავისუფალი შენც თავისუფალს
ჩემი მგოსანი მოგიძღვნის სალამს.¹

კიტა აბაშიძის სიტყვას მოჰყვა საერთო მილოცვები. გულ-თბილად მიმართეს სტუმარს კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა ფიალკოვსკიმ და ია ეკალაძემ. საკუთარი ლექსები წაიკითხეს თაქთაქიშვილის ასულმა, ვ. რუხაძემ და პ. იაშვილმა. ავტორის თხოვნით გ. დიასამიძემ წაიკითხა ბალმონტისადმი მიძღვნილი ვ. გაფრინდაშვილის სონეტი. სტუმარს ლექსი ძალიან მოსწონებია. მოგვყავს იგი მთლიანად:

Всех стран и всех людей тебе подвластны чары.
Ты миром, как вином и, как загадкой, пьян.
Певец мгновенья, огнепоклонник ярый,
Влюбленный в тишину и в знойный океан.
Искатель жемчугов и златорунных стран,
Порою ты дитя, порою викинт старый,
Ты ослепительный, достойный петь тиары.
Чтобы венчать тебя, пленительный Баян.
Ты щедро дивные рассыпал трели.
Чтоб в звуках сладостных и легких воссоздать
Божественную мощь и пламя Руставели.
Копя поэзии тебе дано взнуздать.
Летишь на скакуне к своей мечте заветной.
Сквозь вихрь, окутанный пылью огнестрельной.

¹ გაზ. „საქართველო“, 1915, ოქტომბერი.

აღსანიშნავია, რომ დიდი რუსი პოეტის ჩამოსვლის დღი-სათვის პაოლო იაშვილს გამოცემული ჰქონდა ბალმონტის ლექსების თარგმანთა კრებული. საზეიმო სუფრასთან წარმოთქმულ სიტყვაში პაოლო იაშვილი აღნიშნავდა: „ბევრმა თქვა სიტყვა შენს შესამკობად და გვირგვინი დიდების უკვე გამშვენებს, შენ სხივოსანო მასწავლებლო, ვფიქრობ მეც უნდა გადავისროლო ჩემი ყვაილი ამ ციურ აღტაცების მღელვარე ზღვაში. მე ხომ პირველად შევეხე შენს გრძნულ ლექსებს და გადვიმღერე მათი სილამაზე რუსთაველის ენაზე. ეს შენდა სადიდებლად გამართული ნადიმი არის ჩემი დღესასწაულიც. გმადლობ, შენ, იმ ლამაზი წუთებისათვის, რომელსაც ახლა განვიცდი. შენი მზისაგან მომაქვს მე სხივები და მსურს მათი მარადი აღურობა იმ სიყვარულის გასათბობად, რომელიც ცოცხლობს ჩემს ქაბუკ სულში. ჩემო დიდო და ძვირფასო მასწავლებლო!“

ქართველი მეგობრებისადმი გულში ჩამდგარი სინაზისა და სიყვარულის გამოთქმა პოეტმა ისევ ლექსად ამჯობინა:

Как нежный лепет колибелли.
 Как страшный шорох птичьих крыльев
 Люблю содружных Руставели
 Гаприндашвили и Яшвили.
 Я с ними в Грузии — грузинном
 Цвету опять всем сердцем к маю.
 И нежной розой по дальням
 Приемля ветер, расцветаю.

ფოტო ამ ლექსის ავტოგრაფისა ცისფერყანწილებმა თავის ყურნალში მოათავსეს.

სალამომ განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა ლხინს ამშვენებდა ქართული სიმღერები, დუდუკისა და საზანდარის ხმა, მანდილოსნების — ჩიქოვანისა და გაბაშვილის მოტღენილი ცეკვა.

ამ გულთბილ შეხვედრაში ბალმონტმა იგრძნო, რომ უქმად არ ჩაიარა მისმა ღვაწლმა და ერთგულებამ ქართველთა წინაშე და რომ მისი შრომის და გრძნობის პასუხად შეიყვარა და დააფასა იგი რუსთაველის სამშობლომ. ჩანს, ნათლის სეგტი ჩაუყენეს პოეტს სულში ქუთათურებმა. რადგან იმ დღე-

ებს, მათთან ყოფნის უტკბილეს წუთებს ბალმონტმა „გულის ზეიმი“: „სხივოსანი გაზაფხული“ შეარქვა.

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ასეთი ტრიუმფალური მიღება ყველა მოლოდინისა და წარმოდგენის საზღვრებს სცილდებოდა. „ტრიუმფია, მესმის, მაგრამ ყოველივე ამის აღსაქმელად შთაბეჭდილიანობა აღარ მყოფნის“, — სწერდა ბალმონტი თავისიანებს. ქართველ მეგობართა და თაყვანისმცემელთა ასეთმა დახვედრამ მას თვალნათლივ ისიც დაანახვა, რომ ეროვნული დღესასწაულით გამოითქმის გრძნობა, რომლითაც დაკავშირებულია ქართველი კაცი რუსთაველის უკვდავ სახელთან და ქმნილებასთან. გრძნობდა, როგორ ამბობდა ქართველი: „შვიდი საუკუნის განმავლობაში ამ სასწაულმომქმედი ქმნილებით ვიდგამდით სულს. იგი იყო უნაზესი გამოთქმა ქართველთა გენიისა. რუსთაველით იქმნებოდა ისტორიული ტრადიცია საქართველოს სულიერი მთლიანობისა. ქართველის სული რუსთაველის გენით განაგრძობდა სიცოცხლეს.“¹ ესმოდა ბალმონტს, რომ ერის საუნჯე ანდო მას ხალხმა და მისდამი სიყვარულიც გამოხატავდა ნდობასა და მადლობას.

სასტუმრო „ფრანციაში“ ბალმონტს საქმიანი ვიზიტით ონა მეუნარგია ეწვია. მეუნარგია იმ ქართველ მოღვაწეთაგანი იყო, რომელთაც რუსთაველის შემოქმედების შესწავლა და მსოფლიოსათვის მისი გაცნობა ეროვნული კულტურის ძირითად საქმედ აქციეს. მეუნარგიას დიდი შრომა ჰქონდა გაწეული „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნაში. ამის გამო იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ იგი მთვარეს შეადარა, რუსთაველის მზით განათებულს. ასე დიდად აფასებდნენ ერის მესვეურნი რუსთაველის მოამაგეთ. ახლა მეუნარგია მიდიოდა ბალმონტის თაყვანსაცემად. რუსთაველის შემოქმედების ახალი დამფასებლის ნიჭს, სურვილსა და ერთგულებას მოეხიბლა იგი. უნაროდა, რომ ბალმონტის სახით ქართულ პოემას მთარგმნელად სიტყვის ჯადოქარი ხვდა წილად. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნიდა რუსეთში „პოეტთა მეფედ“ ცნობილი კაცი და მეუნარგიას. როგორც პატრიოტს. სურდა მის.

¹ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, 24/IV, გვ. 3.

თვის მთელი თავისი გამოცდილება გადაეცა. ასეც მოიქცა. შეუნარგამ რუს პოეტს ძღვნად პოემის თავისი ფრანგული თარგმანი გადასცა, რითაც დიდად გაახარა იგი.

ქუთაისის შემდეგ სასურველი სტუმარი საქართველოს სხვა ქალაქებსაც სწევდოდა.

ჭიათურაში ბალმონტის პატივსაცემად მოწყობილ ვახშამს აღგილობრივ საბადოებში მომუშავე ქართველი ინჟინერი გასძლოლია. განცვიფრებულა პოეტი მისი ფრანგულის ცოდნით ბალმონტი სუფრის ერთ-ერთი წევრის ტროსტით დაინტერესებულა. მრავალი ცნობილი ადამიანის ავტოგრაფით ყოფილა იგი დაფარული... იშვიათობა მეტად ხიბლავდა პოეტს. ამაში დიდძალ ფულს შემოგთავაზებენო, — შეუნიშნავს მას. ძღვნად მომირთმევიაო, — უთქვამს საპასუხოდ ქართველს და იშვიათი ტროსტი სტუმრისათვის უბოძებია. პოეტის ახლობლების გადმოცემით, ეს ტროსტი ბალმონტს პარიზში ლუერისთვის გადაუცია.

ღროის სიმცირის გამო სტუმარმა საქართველოს სხვა კუთხეების ნახვა ვერ მოასწრო, მაგრამ, რაც ნახა, ყველაფერმა, ბუნების წარმტაცი კონტრასტები იყო ეს თუ ადამიანთა ძალაღიკეთილშობილება, იგი ჩვენი ერის სიდიადეში დაარწმუნა.

რუსთაველს ბალმონტი ერის სიმბოლოდ მიიჩნევდა. „არ კმარა მარტო გენიოსობა, — ფიქრობდა პოეტი, — გენიოსი ბედნიერი რომ იყოს, ბედნიერ ერს უნდა ეკუთვნოდესო. რუსთაველი ფრანგი რომ ყოფილიყო, მას ისევე ადრე გაიცნობდნენ, როგორც კორნელის“.

ქართულ კულტურას რუსეთმა გვიან მიაპყრო თვალი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დავით ბატონიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ბევრს ისიც ჰგონია, რომ ქართველებს არც წიგნი ჰქონიათ და არც სტამბა, არც წერა იცოდნენ და არც კითხვან“¹.

ასეთი უყურადღებობა ჩვენი კულტურისადმი იმითაც აიხსნებოდა, რომ, ერთი მხრივ, XIX საუკუნის დასაწყისის რუსი მკითხველის ინტერესები მეტად შემოსაზღვრული იყო,

¹ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მუშოხილა, აბ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1959, 33-47.

მეორე მხრივ, იმ ხალხთა ლიტერატურის პროპაგანდას, რომელნიც XVIII—XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიას შეუერთდნენ, არავინ ეწეოდა, პირიქით, ახშობდნენ კიდევ. ყველა კულტურული ურთიერთობა ერთა შორის ცალკეულ პირთა ინიციატივით მომდინარეობდა და მათი პირადი დამსახურება იყო. საქართველოსთან ბალმონტის დაახლოება ამის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს. ამიტომაც შეხვდნენ მას ქართველები ასეთი აღტაცებით.

ბალმონტის ქუთაისში ყოფნის მზიური დღეებიც მიიწურა. მგოსნის გასაცილებლად სადგურზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მეგობრებმა და თაყვანისმცემლებმა რიონის სადგურამდე მიაცილეს იგი. „ბალმონტი ძლიერ მადლიერი დაშორდა ქუთაისს“, — წერდნენ გაზეთში.

9 ოქტომბერს ბალმონტი ისევ თბილისშია. იმავე საღამოს ქართული კულტურის მოყვარულთა და არტისტულმა საზოგადოებებმა მგოსანს საღამო-მეჯლისი გაუმართეს. გაზეთები იტყობინებოდა, რომ ეს საღამო არტისტული საზოგადოების დარბაზში ჩატარდებოდა და საინტერესო პროგრამით წარიმართებოდა.

საღამოს დასაწყისში გამგეობის თავმჯდომარის გ. თ. ჟორდანიას წინადადებით ბალმონტი მომწვევ საზოგადოებათა საპატიო წევრად აირჩიეს. თავმჯდომარე ა. ს. პეტრაკოვსკიმ წაიკითხა მოხსენება ბალმონტის პოეზიის შესახებ.

მიძღვნითი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები: ბ. ახოსპირელი, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს. შანშიაშვილი, ალ. აბაშელი; იოსებ გრიშაშვილმა წაიკითხა „ზღაპარი ჰამაკში“.

მოგვყავს ალ. აბაშელის ლექსი ბალმონტისადმი:

Рады спутнику солнца высокие горы
И лучами зовут к золотому венцу.
Изумрудных долин голубые просторы,
Парчевые ковры раскрывают певцу.

Под пылающим трепетно солнечным взором
Расцветает корона вершинных снегов,
И сверкают рассыпчато пестрым узором
Бриллианты, рубины и жемчуг лугов.

Ярко веет над скатом маняще — призывно
Семицветное знамя приветных лучей;
Под скалою журчит и журчит беспрерывно.
И бежит, и бежит, и смеется ручей...

Очаруйся огнем и чаруй вдохновеньем,

Лучезарного дня златоустый поэт.
 Оживи тени сказок творящим мгновеньем
 И прими светлых гор огнеструнный привет.
 Эти горы хранят огневые зарницы
 И волшебные ткани из солнечных лент,
 Эти горы таят золотые страницы
 Зноем южного солнца сплетенных легенд.
 Здесь сожились паневы печальной свирели,
 Увлекавшие душу в чертог облаков;
 Здесь расцвел пышный гений Шота Руставели,
 Озаренного заревом трона богов.
 Очаруйся, поэт, голубым сновиденьем,
 Спущих гор убаюканных грохотом бурь.
 Очаруй нас зеркальным своим отраженьем, —
 Все в тебе: и восход и закат и лазурь.

ამავე საღამოზე ნაწყვეტები რუსთაველის პოემიდან წაიკითხა მსახიობმა ალ. იმედაშვილმა, ბალმონტისეული თარგმანი წაიკითხა ალექსანდრე ყანჩელმა. თვით სტუმარსა საზოგადოების წინაშე რამდენიმე საკუთარი ლექსით წარსდგა. ტაშითა და ყვავილებით დააჯილდოვეს იგი მსმენელებმა. განსაკუთრებით მოეწონათ ლექსები, რომლებიც ქუთაისით იყო შთაგონებული.

საღამოს დასასრულს სტუმარს ქართული სიმღერები მოასმენინეს და ქართული ცეკვები აჩვენეს. ბალმონტს სმენა დაუტეხო ძველმა ქართულმა ჰანგებმა, რომელსაც მ. კავსადის გუნდი ასრულებდა. შეხვედრა ახალი კლუბის დარბაზში ქართული სუფრით დაგვირგვინდა. ქართველები პოემის რუსულ ენაზე დაბადებას ზეიმობდნენ.

• • •

მაღლიერების გრძნობა აბრკოლებდათ ქართველებს ღირსების გვერდით ბალმონტის თარგმანის ნაკლიც აღენიშნათ. პირველი წერილები ბალმონტის შესახებ უმეტესად სავსე იყო სიტყვებით: „მგოსანმა იცნო მგოსანი და გადაწყვიტა გადათარგმნოს მისი შემოქმედება... მგოსანი კონსტანტინე ბალმონტი, გრძნობა — ნაზი, ენა — მარგალიტი, გონება — მახვილი, მართალია, ჩრდილოელია, მაგრამ სამხრეთის პავით გამთბარი... უგულითადესი საღამი ძვირფას, ენა-ვარდოსან მგოსანს“¹.

¹ იოსებ არიმათიელი, შოთა რუსთაველი და კონსტანტინე ბალმონტი, ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 41, გვ. 7.

ჟურნალ „განთიადში“ მოთავსებული სტატია იყო „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტიეული თარგმანის კრიტიკის პირველი ცდა. მის ავტორსაც უკირდა მიუდგომელი ყოფილიყო კრიტიკაში, ობიექტური შეფასებაში, რადგან შექმნილი პირობები (იგულისხმება კეთილი დამოკიდებულება მთარგმნელთან) იარაღს აცლიდა მას. „...ჩვენც განვიცადეთ ამ პირობების გავლენა, — წერს სტატიის ავტორი, — და არ მიგვაჩნია დღეს შესაძლებლად და საჭიროდაც ბ. ბალმონტის თარგმანის გარშემო გაჩაღება... კრიტიკის ცეცხლის“¹.

ბალმონტზე, როგორც მთარგმნელზე, უსაზღვროდ დიდ იმედებს ამყარებდნენ. პოეზიაში გაწაფული და ცოდნით აღჭურვილი ბალმონტი ყოველისშემძლედ მიაჩნდათ. ეგონათ, მისანივით ჩახედავდა იგი „ვეფხისტყაოსნის“ სულს, დაინახავდა რუსთაველს, როგორც ფილოსოფოსს, უზენაეს მხატვარს, უებრო მუსიკოსს, მგზნებარე ჰანგთა მფრქვეველს, საუკუნეთა საკვირველებას და, როგორც ქურუმი მინერვას, ისიც საბურველს ახდიდა და მსოფლიოს დაანახებდა გენიოსის საოცარ კლავიატურას, მის ჯადოსნურ სხივებს. ბალმონტისაგან ამ ამოცანის დაძლევა „რუსთაველის ახალი შობა, მის მიერ ახალი სახელმწიფოს დაპყრობის თანასწორი იქნებოდა“, — წერდა დავით კასრაძე. ამ ამოცანის გადაწყვეტა ბალმონტისათვისაც არ იყო ადვილი და, ალბათ, მის გასამართლებლად დ. კასრაძე დასძენდა: „ბალმონტი ჯერ კიდევ შორსაა სავსებით ჩასწვდეს რუსთაველის სულს. ხელს უშლის ენის უცოდინარობა, თორემ ასეთი ყურმახვილი ვირტუოზი როგორ აუქცევდა გვერდს რუსთაველის მუსიკას... ამაზედაც დიდი მადლობა გვეთქმის. რუსი საზოგადოება, უექველია, მის „ვეფხისტყაოსანს“ სიამოვნებით წაიკითხავს“². ტიციან ტაბიძეც ამაზე მიუთითებდა თავის წერილში: „... ბალმონტი თვითონ გრძნობდა სიძნელეს რუსთაველთან შებმისას. რუსთაველი არ ეტეოდა მისგან შესწავლილ ესთეტიკის ზომებში, მაგარამ, რაც ბალმონტმა მოასწრო შეესრულებინა, მიაგავს სასწაულს“³...

¹ ჟურნ. „განთიადი“. 1915, № 16. გვ. 28.

² დ. კასრაძე, ბალმონტის „ვეფხისტყაოსანი“, ვაზ. „საქართველო“, 1915, 6/X, № 109.

³ ტიციან ტაბიძე, ბალმონტი და საქართველო, ვაზ. „საქართველო“, 1917, № 129, გვ. 2.

ბალმონტმაც, თავის მხრივ, საჭიროდ ჩათვალა აზრი გამოეთქვა იმის თაობაზე, რომ მისი თარგმანი სრულად ვერ ასახავდა ორიგინალს. იმართლებდა თავს, ემყარებოდა ავტორიტეტთა აზრს იმის შესახებ, რომ ზუსტი თარგმანის შექმნა შეუძლებელია. „შეიძლება კი რაიმეს თარგმნა? — კითხულობდა ის, — მოხაზულობითა თუ საღებავებით შეიძლება შექმნა ცოცხალი სახე? კიცი და არაც. სერვანტესი ამბობდა, რომ ყოველი თარგმანი ხატოვანი ქსოვილის უკუპირს მიაგავსო“.

ქართული კრიტიკოსები ბალმონტის შრომის დადებით მხარეებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მათ შეუნიშნავი არ დარჩენიათ ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას ბალმონტი არ შემოსაზღვრულა მარტო მთარგმნელის მოვალეობით. ეურნალ „განთიადში“ დაბეჭდილი სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ ბალმონტმა დიდი შრომის გარდა გამოიჩინა გულწრფელი სიყვარული თავისი საქმისადმი. იგი თარგმნიდა არა მარტო მკითხველის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ბალმონტი გრძნობდა რუსთაველს, ესმოდა და უყვარდა იგიო.

თარგმანის უდავო ღირსებად თვლიდნენ იმასაც, რომ მისი საშუალებით იქნა მობილიზებული რუსი მკითხველის ყურადღება, რომ თარგმანმა თანამედროვე საზოგადოებას დაინახვა... „დიდება მეთორმეტე საუკუნისა, რაჟელმაც სიყვარულის უდიდებულესი ძეგლი შექმნა მაშინ, როდესაც ევროპაში ამაზე ჯერ არავინ ამეტყველებულიყო“.

ბალმონტის ღვაწლი იმითაც გახადეს საყურადღებო, რომ მან „გარუსება-გადაგვარების გზაზე შემდგარ ქართველობას ახლა მაინც გააგებინა, რა განძი გვქონია, რა ზნეობის, გონებისა თუ სიყვარულის სახარება და მშობლიურ ლიტერატურას უფრო თავგამოდებით დააწაფა“¹. ეს კი, ჩანს, ცოტას არ ნიშნავდა იმ დროს. ამავე მიზეზით გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია მადლობას უხდოდა რუსთაველის საღამოს მომწყობ გრიგოლ დიასამიძეს: „ბევრმა შოთას სიდიადე და შინაარსი ახლა გაიგო. ბალმონტმა სასწაული მოახდინაო“².

¹ იოსებ არამათიელი, შოთა რუსთაველი და კ. ბალმონტი, ჟურნ. „თეატრი და ისტორია“, 1914, № 41, გვ. 8.

² ვაზ. „საქართველო“, 1915, 11/X.

ბალმონტის თარგმანის არც ერთ კეთილსმყოფელ მსარეს ქართველი საზოგადოება არ ტოვებდა აღუნიშნავს. ბალმონტი. ჩანს, კმაყოფილი იყო თავისი შრომით. ითვალისწინებდა ქართველი მეგობრებისა და მსმენელების აზრს და ახლობლებისადმი გავსავნილ წერილებში აღნიშნავდა: „ქართველები ჩემი თარგმანით კმაყოფილნი არიან მეტად. მოხუცებიც, რომლებმაც რუსთაველი ზეპირად იციან, აღტაცებაში მოდიან თარგმანის უღერადობით, ტექსტთან სიახლოვითა და იმ ადგილების გადმოცემით, რომლებიც ხალხის ცხოვრებაში ანდაზებად შესულან“.

თავისი დიდი პოეტური შესაძლებლობის იმედით ბალმონტი თვლიდა, რომ თარგმანი ორიგინალთან ახლოს იდგა, თუ სადმე ეჭვი ებადებოდა, ქართული ენის არცოდნას მიაწერდა.

[ბალმონტს] შესახებ გამოქვეყნებულ პირველ წერილში აღნიშნული იყო, რომ მას განზრახული აქვს შეისწავლოს ქართული ენა, რათა დედანში წაუკითხოს რუსთაველის პოემა. მრავალი ენის მცოდნესაგან ეს მოსალოდნელიც იყო.

ქუთაისში ბალმონტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ერთ-ერთ ორატორს თხოვნით მიუმართავს ბალმონტისათვის: „შეისწავლეთ ჩვენი დედაენა, შეისწავლეთ ისე ინტიმურად, როგორც შეგითვისებიათ ათეული უცხო ენაო“!

პეტერბურგში ბალმონტის მოხსენების გამო კამათში გამოსულ ნიკო მარსაც იგივე შეუნიშნავს მისთვის, მისაბაძ მაგალითად მარჯორი უორდროპი დაუხსახელებია.

რუსეთში დაბრუნებისთანავე ბალმონტმა ქართული ენის სერიოზულ შესწავლას მიჰყო ხელი. მის პირველ მასწავლებლად ტიციან ტაბიძე გვევლინება. ე. ცვეტკოვსკაიასადმი მიწერილ ბალმონტის წერილებში ვკითხულობთ: „ემეცადინებო ქართულ ენაში, 4 საათზე ჩემთან ტაბიძე მოვა... შემოდგომაზე, მოსკოვში ტაბიძესთან ერთად უკვე ქართულად წავიკითხავ“.

¹ ნ. ჯორჯიკია, შეისწავლეთ ქართული ენა (სიტყვა თქმული პოეტ გ. ბალმონტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ქუთაისში). 1915; 8/X.

ლრუსთაველის ენის შესწავლა განსაკუთრებით იზიდავდა რუს პოეტს; სურდა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა პოემის სულისკვეთებას, თვით განეცადა მისი სიტყვის ამაყი ყღერა. ქართული ენა არწიეთა ყვილი და მთების მოზავებბააო, — წერდა იგი ქართულის ცოდნას დაწაფებული. დროს არ კარგავდა. სშირი იყო მასწავლებლისა და მოსწავლის შეხვედრები. ტიციანი ხმამალა უკითხავდა რუსთაველის პოემის ნაწყვეტებს, ბალმონტი კი სმენას აჩვევდა, იმახსოვრებდა გამოთქმებს. როცა ქართული სიტყვის ან ცალკეული ფრაზის გამოთქმას მოუწონებდნენ, ბალმონტი ბავშვეურ აღტაცებას გამოხატავდა.)

უფრო მოგვიანებით ქართულ ენაში ბალმონტის მეცადინეობას მარგარიტა დონდუამ მოჰკიდა ხელი. მოგონებები ამ გაკვეთილებისა და ბალმონტთან მისი ნაცნობობის შესახებ მარგარიტა დონდუამ ჟურნალ „მნათობში“ (1960 წ., № 10) გამოაქვეყნა.

მარგარიტა დონდუა (ცნობილი ქართველოლოგების — პროფესორ კარპეზ და ვარლამ დონდუას და) მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა პირადად გაეცნო კონსტანტინე ბალმონტს. ამ დროისათვის მას პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდა. ჯერ საქართველოში, შემდეგ მოსკოვის ვაჟთა გიმნაზიასა და ტექნიკუმში იგი რუსულ ენას ასწავლიდა. მოსკოველი ქართველობა იცნობდა და პატივს სცემდა მას. თუ როგორ მოხვდა ბალმონტი მის მოწაფეთა შორის. ამაზე თვითონ მ. დონდუა შემდეგს წერს: „ბალმონტი ხშირად ესწრებოდა მოსკოვში „ქართველთა საზოგადოების“ მიერ გამართულ ტრადიციულ საღამოებს. კითხულობდა ლექციებს, თარგმანებს, საკუთარ ლექსებს.

ერთხელ ასეთ საღამოს მოსკოვში მყოფი თითქმის მთელი ქართველობა დაესწრო. ბალმონტი, როგორც ყოველთვის, იჭდა სტუდენტებს შორის და გაცხოველებით ებაასებოდა მათ.

საღამოს ესწრებოდა იურიდიული ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტი ქეთევან ჩიგოგიძე. ის ჩემზე აღრე იყო ჩამოსული მოსკოვში და კარგად იცნობდა ბევრ ქართველ თუ რუს

მოწინავე ინტელიგენტს, მათ შორის პოეტ კ. ბალმონტსაც
საუბრის დროს ბალმონტმა ქართული ენის შესწავლის
სურვილი გამოთქვა.

ქეთევან ჩიგოგიძემ ჩემზე მიუთითა.

ბალმონტმა მიიღო მისი წინადადება და რამდენიმე ხნის
შემდეგ სიტყვა საქმედ აქცია: დაიწყო სიარული ჩემთან
ქართული ენის სამეცადინოდ.

გაკვეთილები ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო
აღმოჩნდა. გასამრჯელოზე, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობდი,
რადგან ბალმონტისაგან დავალებულად ვთვლიდი თავს: ვი-
ცოდით ქართველმა ახალგაზრდებმა, რომ კ. ბალმონტი მუ-
შაობდა „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანზე.

კ. ბალმონტი იშვიათი ხალისით ისმენდა და ამზადებდა
ქართული ენის ყოველ გაკვეთილს, სიბეჯითე, ყურადღების
სიმახვილე და პირიანობა არ აკლდა მას იმ დროსაც კი, რო-
ცა მრავალი საპატიო მიზეზი მოიპოვებოდა გაკვეთილის გა-
მოტოვებისათვის.

ჩვენი მეცადინეობის მანძილზე არაერთხელ აღუფრთო-
ვანებია პოეტი ქართული სიტყვის და ლექსის კეთილხმოვა-
ნებას. მოეწონებოდა თუ არა რომელიმე სიტყვა, შეწყვეტდა
გაკვეთილს და დაიწყებდა ამ სიტყვის თავისთვის ხმამაღლა
გამეორებას. შემდეგ მოიხდიდა ბოდიშს პოეტური სილამი-
სათვის და ისევ უბრუნდებოდა მიტოვებულ გაკვეთილს...

ბალმონტი ყოველთვის დიდი ყურადღებით ისმენდა ქარ-
თული ენის გაკვეთილებს, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც,
როცა თვითონ დაიწყებდა ჩემთვის საინტერესო ამბების
მოყოლას საქართველოზე. მაგალითად, ერთხელ მან მოგონა
ქართული ხალხური გადმოცემა თამარ მეფეზე და ბოლოს
შთაგონებულად წარმოთქვა:

О, Тамар, царица семи царств.
Тебе подвластны барсы гор...

...მეცადინეობა კარგა ხნის მანძილზე გრძელდებოდა.
ბალმონტი წუხდა, რომ გასამრჯელოს არ ვიღებდი. ბოლოს,
როგორც იქნა, მოვახერხე და გულიდან ამოვაგდებინე: ამაზე
ფიქრი. თუმცა მპირდებოდა ერთ-ერთი უცხო ენის სწავლე-
ბით აენაზლაურებინა ჩემი შრომა. ჩემთვის სიამოვნებად

ისიც კმაროდა, რომ ბედმა მარგუნა ვყოფილიყავ ისეთი დიდი პოეტის მასწავლებელი, როგორიც კ. დ. ბალმონტი იყო, და მერე რა დროს. სამოქალაქო ომის წლებში, ჩემს გაყინულ ოთახში იჯდა პალტოში გამოხვეული, კალმშაუხდელი შესანიშნავი პოეტი, რომ ქართული ენის ფონეტიკა, დიდი რუსთაველის ენა შეესწავლა...“

მარგარიტა დონდუას გადმოცემით ბალმონტი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ქართული ენის გაკვეთილებზე დასწრებას. ერთი საპატიო გაცდენის გამო იგი მოკრძალებით მიმართავდა თავის ახალგაზრდა მასწავლებელს: „ძვირფასო, ხვალ ჩემთვის აუცილებელია ნოვოგირეევოში გამგზავრება. ვწუხვარ. შეთანხმებისამებრ თქვენთან მოსვლას ვერ შევძლებ, რადგან მხოლოდ ღაზით დავბრუნდები. თუ თქვენი ნებაც იქნება, გეახლებით ოთხშაბათს საღამოს 8 საათზე. მაპატიეთ.“

მარგარიტა დონდუასთან მეცადინეობა მარტო ქართული ენის შესწავლით არ ამოიწურებოდა. ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი სასარგებლო შენიშვნებს აძლევდა პროტესტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ არაზუსტი ადგილების გამო. ბალმონტი მადლობით ლებულობდა ყოველ შესწორებას.

• • •

ბალმონტის სიყვარული ქართველი ერისადმი და მისი ადტაციება რუსთაველის ლექსით იმითაც აიხსნება, რომ რუსი პოეტი განსაკუთრებული გრძნობით იყო დაკავშირებული პოეტურ სიტყვასთან და სიტყვასთან საერთოდ. მას სიტყვის ძალა და ფასი ისე ძლიერად ჰქონდა განცდილი და შეგრძნებული, რომ მისდამი პატივისცემის ნიშნად ხშირად არღვევდა რუსული მართლწერის მკაცრ კანონებს და საყვარელ სიტყვებს მხოლოდ დიდი ასოთი წერდა. ასეთი იყო მისთვის: Земля, Музыка, Поэт, Солнце, Любовь, Море და ზოგიერთი სხვა, მათ შორის — Грузин.

მხატვრული სიტყვის დამფასებელთა შორის ბალმონტი განსაკუთრებულობას იმით ინარჩუნებს, რომ მას სიტყვა სა-

ლოცვად ჰქონდა ქცეული: ეტრფოდა მას, როგორც ცოცხალ აჩსებას. მისი ეს თვისება შემჩნეული ჰქონდათ თანამედროვეებს და დიდად აფასებდნენ.

ი. ანენსკი საყვედურით მიმართავდა რუსულ კრიტიკას: „ჩვენი სულის თავისებურებათა შორის ჩემს ყურადღებას მუდამ იპყრობდა ერთი—სიტყვაზე ჩვენი შეხედულებების სივიწროვე... შევეჩვიეთ ვუსქერდეთ სიტყვას, როგორც უფერულ მომსახურებელს, თითქოს ის რაღაც სტენოგრაფია და ესპერანტო იყოს და არა ესთეტიკურად ღირსეული მოვლენა უძველესი და უნატიფესი ხელოვნების სფეროდან“¹.

ეს საყვედური ყველაზე ნაკლებ ეხებოდა ბალმონტს. პირიქით, მისმა დამსახურებამ სხვისი ნაკლი გამოავლინა.

ბალმონტი რუსულ პოეზიას მოეწონა, როგორც სიტყვის კერპად მქცეველი, მისი მიჯნური. მან თავის უფლებებში აღადგინა რუსული სიტყვა და ლექსი. ასეთი მისიის ტვირთვა ბალმონტს ხვდა წილად იმიტომაც, რომ რუსულ ლიტერატურაში მისი შემოსვლის პერიოდში პოეტური სიტყვისადმი სიყვარული საგრძნობლად იყო შემციობებული.

უკვე 90-იან წლებში დაწყებულმა საზოგადოებრივი აზრის აღმავლობამ ახალი მოთხოვნები წამოუყენა სიტყვასაც. ბალმონტმა პირველმა გაარღვია საგაზეთო ჟურნალისტიკის ის ნაცრისფერი სტილი, რომლის ბლანტ ქსელში გაეხვია ისეთი გიგანტიკი, როგორიც დოსტოევსკი იყო. ბალმონტიდან დაიწყო რუსული ლირიკის „ვერცხლის ხანა“. ლექსის ფორმის ვირტუოზობაში იგი მეტის ნიჭიერებით იმეორებდა ბენედიქტოვს, ლექსის მუსიკალობაში — ლერმონტოვს. ამაყობდა კიდევ, მე და ლერმონტოვს, ორივეს. ძარღვებში შოტლანდიური სისხლი გვიდგასო.

ლექსის მუსიკალობაში ბალმონტმა საგრძნობლად უკან მოიტოვა ფეტიც, ფეტი, რომლის შესახებ პ. ჩაიკოვსკის უთქვამს: თავის უკეთეს წუთებში ფეტი გამოდის პოეზიის საზღვრებიდან და დგამს ნაბიჯს ჩვენი დარგისკენო.

ამგვარად, სიტყვა, გარკვეულ ხანს უსახო და აზრის მორ-

¹ ი. ვ. ანენსკი. Книга отражений. 1906. გვ. 154.

ჩილი იარაღი, უეცრად მეტყველების მნიშვნელოვან იარაღად იქცა, საკუთარი სიცოცხლე და სილამაზე შეიძინა. რუსული ლიტერატურის მკვლევარები ენის ასეთ რეფორმაციას, უწინარეს ყოვლისა, ბალმონტს მიაწერენ: მთუთიებენ, რომ მან აღუდგინა რუსულ პოეტურ სიტყვას ნამდვილი ღირებულება და ისეთ არნახულ ელერალობამდე აიყვანა, რაზედაც ვერც კი იოცნებებდნენ წარსულ დროთა დიდი პოეტები: -

Я — изысканность русской медлительной речи.
Предо мною другие поэты — предтечи.
Я впервые открыл в этой речи уклоны,
Перепевные, гневные, нежные звоны. —

ამბობდა ბალმონტი იმ ადამიანის თვითკმაყოფილებით, რომელიც უეცრად მიხვდა მის მიერ შექმნილი სტრიქონების მთელ სიდიადეს.

„ბალმონტი გვიბლავს ლექსზე თავისი განუზომელი ბატონობით,“ — გვიმწმებს მისი თანამედროვე. „მე მიყვარს თქვენი ნიჭი, ყოველი თქვენი წოგნი მალელებს და უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს“, — სწერდა ბალმონტს ანტონ ჩეხოვი. ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახლმუზეუმში ბელადის საყვარელ წიგნთა შორის მაგადაზე ბალმონტის ლექსების კრებულიც დევს.

.. ლექსი ბალმონტისათვის იყო აზრის ლამაზი გამოხატულება. იგი მკითხველს ატყვევებდა ლამაზი ფიქრებით, მომხიბლავი სურათებით, ბგერითი ხმოვანებით. მიზანი მას მიღწეულად მიაჩნია, თუ ამომწურავად შეძლო ლექსში სიტყვის ბგერითი-ხმოვანი მხარის მშვენიერების გამოჩენა.

პოეტი, ბალმონტის თქმით, სიტყვით აშენებს საოცნებო ტაძარს, სადაც ყველაფერი აღსავესება სილამაზითა და გრძნეულებით. ხმოვნები, თავისი ქალური საწყისით, მშობელი დედის ხმასავით ეღერენ. ამავე ხმოვნებში ხედავდა იგი მეტყველების მელოდიას.

ბალმონტის პიროვნული ინტონაციაც მუსიკალური იყო.

ბალმონტი სიტყვის ფონეტიკურ მხარეს უთანხმებდა ამ სიტყვით გამოხატულ შინაარსს. თუ ამბობდა „Море“, მიაჩნდა, რომ ეს ოთხი ბგერა გამოხატავს ზღვის უსაზღვრო სიერცეს, მისი ტალღების ძლიერებას. სიტყვაში „Плюнаю“ მთა-

ვარ ბგერას მისთვის „ლ“ წარმოადგენდა, როგორც სიყვარულისა და სიბნელის გამოხატულება.

პოეზია ტკილხმოვანების გარეშე არაფრად მიაჩნდა ბალმონტს. ხელოვნების ეს ორი დარგი — პოეზია და მუსიკა მას ერთ საცავში ჰქონდა მოქცეული. ხშირად მათ ერთადაც ახსენებდა გამოთქმაში „აზრის მუსიკალობა“ და ამართლებდა ამ თქმას თავისი პოეზიით. შემთხვევითი არაა, რომ რუსთაველის პოემის ცალკეულ თავებს იგი სიმღერას უწოდებდა, თვით თარგმანს კი — გადამღერებას.

მუსიკას პოეზიის სრულყოფილებად თვლიან, ამიტომ ბუნებრივად ჩანს შედარება პოეტისა კომპოზიტორთან და პირიქით; შემთხვევით არ უთქვამთ: „მოცარტი — ეს მუსიკის გოეთეა“, ან „ბალმონტი — რუსული პოეზიის პაგანინია.“

1890—1910 წლების მანძილზე 140-მდე მუსიკალური ნაწარმოები შექმნეს ბალმონტის ტექსტზე კომპოზიტორებმა, რომელთა შორის დავასახელებთ: რ. გლიერს, მ. გნესინს; ბ. ასტაფიევს, ნ. კოჩეტოვს, გ. ბაზილევსკის, გრეჩანინოვს, იპოლიტოვ-ივანოვს, პ. რეჩნიცკის, ვ. სენილოვს, გ. კრეინს; ვ. ზოლოტარევს, ა. არხანგელსკის, ა. ჩერნოვს და ნ. სლავინს. აღსანიშნავია, რომ ბალმონტის სიტყვებზე მუსიკა დაწერილი აქვს ქართველ კომპოზიტორ შალვა თაქთაქიშვილსაც.

ბალმონტი კარგად იცნობდა საკუთრივ მუსიკალურ ხელოვნებასაც და ბევრ მის გამოჩენილ მოღვაწესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. საინტერესოდ იხილავს იგი ერთ თავის სტატიაში სკრიაბინის შემოქმედებას. ურთიერთპატივისცემის დიდი გრძნობა აკავშირებდათ ბალმონტსა და ახალგაზრდა ნიქიერ კომპოზიტორს პროკოფიევს. „იგი გენიალურია, — წერდა პროკოფიევის შესახებ ბალმონტი, — ვარსკვლავებზე შეყვარებული ლაპარაკობს, მაგრამ მიწიერი ძლიერება აქვს და არა სკრიაბინისეული მთვარეულობა და სინაზე მას სურს დაწეროს მუსიკა ჩემს ლექსებზე „მზის ჰიმნი“ და „ცეცხლის ჰიმნი“.

70-მდე კომპოზიტორის მუსიკალურ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად ბალმონტის პოეტური სიტყვა. მუსიკოსთა ასეთი დიდი მისწრაფება ბალმონტის ლექსებისადმი ბუნებრივია. რადგან მისი პოეზიის ფუძე მუსიკაა.

აი, როგორ შეფასებას აძლევდა. ბელი ბალმონტის პოეზიას: «Бальмонт — Теософ, пронзивший свой мозг солнечным лучом... В музыкальных строках его поэзии звучит грациозная меланхолия Шопена и величие вагнеровских аккордов, светозарной струей горящих над бездною хаоса. В его красках нежная утонченность Боттичели и пышное золото Тициана».¹

ასეთი შედარება ბუმბერაზ მუსიკოსთან და მხატვრებთან უბრალო ქათინაური როდია. ამ სიტყვების ავტორი — ანდრეი ბელი — თავისი ნიჭითა და მიდრეკილებით კომპოზიტორიც შეიძლებოდა ყოფილიყო. თავის მხატვრულ ნაწარმოებებს ის სიმფონიასაც უწოდებდა. მისთვის, როგორც პოეტისათვის. პოეზიის თეორეტიკოსისა და შემოქმედებითი სიტყვის კომპოზიტორისათვის, უფრო მეტად იყო ნათელი მუსიკის წილი და ხასიათი ბალმონტის პოეზიაში.

ასეთი შანაგანი მუსიკალობა, ცხადია, ხელს უწყობდა ბალმონტს რუსთაველის პოემის გაგებაში. შოთას ენა და ლექსიც ხომ მუსიკაა. ასე უთქვამთ: „მთელმა ქართველმა ხალხმა შავი ზღვის ნაპირიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე იმღერა შოთა რუსთაველის პოემის სახით“². პოემას აქვს თავისი მელოდია. მთელი თაობები ღიღინით ასრულებდნენ რუსთაველის ტექსტს. ის ჰიმნია, ქართული სულისა და მისწრაფების გამომხატველი.

„ვეფხისტყაოსნის“ მაჟორული და მინორული ტონალობა მისი შინაარსითაა განპირობებული; პოემის ჰანგი მის აზრს გამოხატავს. სიტყვაც ამიტომ არის ძლიერი და შთამბეჭდავი. ბეთხოვენის აზრით, მუსიკამ ცეცხლი უნდა გამოკვესოს ადამიანთა გულიდან, რუსთაველის პოეზიამ იგივე გააკეთა სიტყვით. ამიტომაც უხაროდან ქართველებს ბალმონტის რუსთაველთან დაწყვილება. მის ნიჭში მზის ყველაზე მეტ სხივს ხედავდნენ, მის ლექსში — ყველაზე მეტ ჰარმონიას.

¹ ა. ბელის წერილი, დაცულია მოსკოვში, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცენტრალურ არქივში, ფონდი 57, აღწ. 1, №161.

² Н.я Каргаретелли, Краткий очерк по истории грузинской музыки, 1910, стр. 10.

როდია სადავო, რომ რუსულმა მხატვრულმა სიტყვამ ბალმონტის ხელში აღიდგინა თავისი უფლებები და აივსო მშვენებით, მაგრამ სიტყვას, ადამიანის ამ უძველეს და უდიდეს შემოქმედებას, ბალმონტისაგან დანახული მხარეები როდი გააჩნდა მხოლოდ. ყოველი დიდი პოეტი სიტყვის ახალ შესაძლებლობებს ავლენდა. თუ ბალმონტისათვის, მისივე გამოთქმით, სიტყვა სასწაული იყო, მაიაკოვსკის მიხედვით, სიტყვა იყო კაცობრიობის ძალთა მხედართმთავარი.

რუსთაველთან სიტყვა უდიდესი ძალის შემცველია. აქ სიტყვა სილამაზეა, ტკბობაა, მაგრამ იარალიცაა, შთაგონებაცაა.

რუსთაველთან რითმით შეკრულია სამყაროში არა სამუდამოდ გათიშული ცნებები, არამედ ერთმანეთისაკენ მიძსწრაფავი, ბუნებისათვის ნაცნობი, მაგრამ სიტყვით ჯერ უთქმელი, კანონის მსგავსი პოეტური თქმები. მსგავსად იმისა, რომ დედამიწის მიზიდულობის კანონი ბუნებაში დასაბამიდან მოქმედებდა, მაგრამ ის ნიუტონმა ჩამოაყალიბა სიტყვით; ხანგრძლივ და უთანაბრო ბრძოლაში ბოროტებას მაინც უმკლავდებოდა სიკეთე, მაგრამ პოეტურ თქმაში იგი რუსთაველთან გამოვლინდა, როგორც კანონზომიერება.

სიტყვის დიდოსტატისადმი — რუსთაველისადმი მიძღვნილ შრომაში პლატონ იოსელიანი წერდა: „ვერავეთარი მანქანები ვერ წარმოქმნიან იდეებს, გრძნობებს, რომელთაც შეუძლიათ დასძრან ხალხები და ქვეყნები დიდებისა და ბედნიერებისაკენ... მხოლოდ სიტყვა, როგორც განხორციელება სულის აზრისა, წარმოადგენს კეშმარიტების მანქანას. იგი აღსავსეა შუქით... ზნეობითა და ყოველივე სიკეთით.

სიტყვით, როგორც სულის გამოხატულებით, განიზომება და განისაზღვრება მხოლოდ მოქალაქეობრიობის განვითარების დონეც“¹.

რუსთაველის სიტყვამ, მისმა მალალმა აზრმა ჩვენს ჰირავარამით სავსე ისტორიაში თავი იმით გადაიჩინა, რომ ხალხის გული და გონება იყო მისი ბინა. თავდაპირველად ტყავსა

¹ პლ. იოსელიანი, III. Пуставелии, გაზ. «Кавказ», 1882, №34, გვ. 3.

თუ პერგამენტზე ნაწერი რუსთველური სტრიქონები შემდეგში ხალხის ხსოვნაში ამოიკვეთა სამარადეამოდ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უკვდავებით შემოსა საქართველომ.

ბლოკმა რუსული ენის ახალი ჯადო აღმოაჩინაო, — წერდა ჩუკოვსკი; თავისი თილისმა აქვს ჰესიკის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა თუ ლეონიძის ქართულს. ყველა დიდი პოეტის ენას აქვს თავისი განუმეორებელი და მიუბამავი სილამაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ენას აქვს ნაციონალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სული და სილამაზე, მშობლიური სიტბო. ქართული ცხოვრება აქვთ გამოვლილი და ქართული სული უდგათ სიტყვებს: დედაშვილობა, კალთა, კერა, ნასახლარი, პირმშო, ნაიარევი და სხვ. ასეთი სიტყვებს მთარგმნელები ვერ ერევიან და მხოლოდ გარშემო უვლიან. ეს სიტყვები თავის ძლევამოსილებას მარტო თავის ხალხში იჩენენ და ამიტომ მათ სახელად „ენის გიჰნოზი“ უწოდეს. თარგმნითი ხელოვნება დღესაც მისი სხვა ენაზე გადმოცემის მიასლოებით საშუალებებს იყენებს.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების საკუთარ თარგმანს ალ. მეჩიროვმა არშიაზე მიაწერა სტროფი, რომლის ძირითადი აზრი ყოველი მთარგმნელის ფიქრს გამოხატავს:

И вновь из голубого дыма
Встает поэзия. Она
Вовек непереводама,
Родному языку верна.

მშობლიურ ენას ბალმონტი შესანიშნავად ფლობდა. ხშირად სათარგმნი ნაწარმოებების ენა მშობლიური ენის თანაბრად იცოდა, და ამიტომ სიძნელეებს არ უშინდებოდა.

ინდოელი პოეტის კალიდასას დრამების სათარგმნელად ბალმონტმა სანსკრიტოლოგის ლევი სილვენის დახმარებით ძველი ინდური ენაც კი შეისწავლა. გამონაკლისად არც რუსთაველის ენა უნდოდა დარჩენილიყო. ქართველებთან ახლო ნაცნობობისა და მათი ქვეყნის გულმხურვალედ შეყვარების მიუხედავად, ბალმონტს რუსთაველის პოემის თარგმანში გადაულახავ დაბრკოლებად ელოებოდა ენის ნაციონალური სული. დიდებულ ვაჟას უთქვამს: „ვეფხისტყაოსანი“ რომ გა-

ავო, უნდა იცოდე არა მარტო ქართული, უნდა იყო ქართველი“.

იყო კიდევ ერთი წინააღმდეგობა, რომელიც ბალმონტის თარგმანს დედნისაგან აშორებდა. ეს იყო ბალმონტის, როგორც მთარგმნელის, სტილი, მისი შემოქმედებითი ხელწერა. ამას კი ჩუკოვსკი ახასიათებდა ბალმონტისავე სიტყვებით: „Только мимолетное слагаю в стих...“ ბალმონტი ადიდებდა წამს, მისთვის მთავარი იყო შთაბეჭდილება და არა თვით არსი, ამიტომაც, ბრწყინვალე გარეგნული დახვეწილობის მიუხედავად, მის ლექსებს აკლდა სიღრმე. თუ ბრიუსოვის პოეზიაში ჩუკოვსკი ხედავდა მამაკაცურ საწყისს, ბალმონტს იგი ქალური ლირიკის გამომხატველად თვლიდა. ისეთი ნაზი ხელწერის მქონე მთარგმნელისათვის, როგორც ბალმონტი იყო, უცხო იქნებოდა ის ნაციონალური ენერჯია, რომელიც რუსთაველის პოეტურ სტრიქონებში იყო ჩაქსოვილი. რუსთაველის სტრიქონები ქართველთა ბედ-იღბლის ფონზედაც უნდა იქნეს დანახული. ამ ბედით ნაჭედი ხასიათები ბევრი მთარგმნელისათვის შეუნიშნავი რჩებოდა.

რუსთაველის გმირი ქალები და კაცები გამოკვეთილი ინდივიდუალური თვისებებით დგანან ჩვენს წარმოდგენაში. ყოველ მათგანს თავისი პარტია აქვს შესასრულებელი იმ დიად ჰიმნში, რომელიც ეძღვნება ადამიანს, მეგობარს, სამშობლოს, ქალს.

* * *

პოეტური ოსტატობის გარდა, რუსთაველის პოემის თარგმნისათვის აუცილებელ პირობად ბალმონტმა იმ გრძნობის ჩაწვდომა განიზრახა, რომელმაც ალაფრთოვანა დიდი შემოქმედი. რუსთაველის პიროვნების წარმოდგენისათვის ყველა თავის წარმოსახვაში იძირება. ბალმონტმა რუსთაველში შეყვარებული პოეტი დაინახა. „ვეფხისტყაოსანს“ იგი გამიჭნურებული სულის გაცხადებად თვლიდა.

პოემა მისთვის, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის უკვდავი ჰიმნი იყო. ეს იზიდავდა და აახლოებდა ბალმონტს ამ ნაწარმოებთან. სიყვარული ღვთისაგან ბოძებული ზენა ნი.

ჰიაო, — წერდა ბალმონტი და არც ერთი პოეტური ნაწარმოები არ მიაჩნდა ფასეულად ამ გრძნობის გარეშე.

პიროვნებები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა აინტერესებდა ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს, იყვნენ: რუსთაველი და თამარი. მის ჩანაწერში ვკითხულობთ: „თამარი პოლიტიკური გონიერება და სამხედრო დიდებაა საქართველოსი... ღმერთმა იშვილა თამარი... იგი თვით ღვთაებაა გამეფებული“.

წავიდა თამარი ისე, რომ არ დაგვიტოვა საფლავი; ისტორიის გარდა, მისი მეფური დიდება დარჩა ლექსში, სიმღერაში, ფიქრში, ოცნებაში. შთაგონებად იქცა მისი ნათელმოსილი სახელი. თამარის სიდიადის წინაშე გაღებულ ყველა ხარკს შორის შთამომავლობა, უპირველესად, „ვეფხისტყაოსანს“ ასახელებს. გულისმიერია მასში ყველა სტრიქონი, გრძნობაჭარბი და გონებამალაღი. დიდ გრძნობას შეეძლო მხოლოდ ასე აემღერებინა რუსთაველი. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ამის გამო შენიშნავდა: „გულის სიმები ტანჯვის განუცდელად ჰანგს ვერ გამოსცემენ. ჰოეზია არის ტკივილი. იგი არ ჟღერს, თუ არ შეირხევა გული; რაც უფრო ძლიერია ტკივილი, მით მეღერია ეს ამოკენესა“¹.

ქართული პოეზიის ეს ძლიერი მაჯისცემა იზიდავდა ბალმონტს. „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულით იყო ნაკარნახევი; თუ რაოდენ სავსე და მაღალი იყო ეს გრძნობა, ამაზე მეტყველებენ პოემის სტრიქონები! რუსთაველის პოეტური ნიჭი მისი გრძნობის ძალასა და სიყვარულის უნართან თანაფარდობაში ჩანდა. ბალმონტი მოხიბლული იყო ამ მონაპოვართ, რადგან ღრმად სწამდა, რომ ტრფობის ნიჭი ისევე არ გააჩნია ყველას, როგორც სმენა, როგორც პოეტური ნიჭი. „სიყვარული რჩეულთა ხვედრია“, — ამბობს კუპრინის გმირი ნაზანსკი და ნათქვამის ნათელსაყოფად დასძენს: — ყველა ადამიანს აქვს მუსიკალური სმენა, მაგრამ მილიონში ერთია ბეთპოვენი, და ასეა ყველაფერში, პოეზიაში, მხატვრობაში, სიბრძნეში... სიყვარულსაც აქვს თავისი მწვერვალები, ერთეულთათვის მისაწვდომიო.

¹ პლ. იოსელიანი, III. Руставели, გაზ. «Кавказ», 1882, №34, გვ. 3.

თავის პირველ საღამოზე ბალმონტმა ქართველების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ რუსთაველისაგან ასე გენიალურად ხოტბაშესხმული თამარი მისთვისაც — რუსისათვის წმინდანად იქცა; ამ ახალ ხატთან დასაჩოქებლად იგი პოეტის სიტყვამ მიიყვანა. თუ ჯვაროსნებმა ქრისტეს წმინდა ადგილის დაცვის მიზნით დალაშქრეს ქვეყნები, რუსთაველმა ასეთი ლაშქრობა ქვეყნად სიყვარულის საქადაგებლად მოაწყო. რუსთაველი „სიყვარულის პირველ ჯვაროსნად“ აღიარა ბალმონტმა. მის პოემას „სიყვარულის ჰიმნი“ უწოდა. პოემის ძალა და სიდიადე გაიგივებული ჰქონდა გრძნობის იმ ძალასთან და სიდიადესთან, რომელიც, ბალმონტის აზრით, რუსთაველს უნდა ჰქონოდა თავისი ტრფობის საგნის — თამარ დედოფლის მიმართ. „პოეტი ჯვაროსანი, გამიჯნურებული რაინდი, სიყვარულით განგმირული ბერი, რომელმაც სიტყვიერ ამბორში სატრფოს სახელი ღმერთთან გააიგივა“, — ასე წამოიღვინა ბალმონტმა რუსთაველი.

ცდილობდა რა შიახლოებით მაინც განეცადა ის გრძნობა, რომელმაც რუსთაველს დიდებული პოემა დააწერინა, თარგმნის პროცესში ბალმონტმა თავისი სამუშაო მაგიდა თამარ დედოფლისა და რუსთაველის პორტრეტებით დაიმშვენა. „ყოველდღე, მუშაობის დაწყების წინ მე შევცქერი თამარს. მისი ნაკეთები ნაზია, როგორც იტალიელ ფერმწერთა ერთ-ერთი მშვენიერი სახეთაგანია“, — სწერდა ბალმონტი მიხეილ საბაშნიკოვს.

რუსთაველზე დიდ მებოტბედ ბალმონტი არავის თვლიდა. ქართველი პოეტი უმღერდა ქალს, მის ნიქს, გონიერებასა და ხასიათის სიმტკიცეს.

ქართველი ქალი რომ ამართლებდა რუსთაველის აზრს, რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიაზე, ბალმონტი თანამედროვეთა მიხედვითაც გრძნობდა. „ქართველი ქალი ამაყი და მიუწვდომელია, როგორც თქვენი მთებიო“, — უთქვამს მას ქართველებთან საუბარში. ქართველი ქალის იდეალი მისთვისაც თამარი იყო. მისი ნათელმოსილი სახე შთაგონების შუქს ფენდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს. როცა ბალმონტი საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა, სურათიც თან მიჰქონდა.

რუსთაველისა და თამარის სურათებითაა შემკული ბალ-

მონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი და მეორე გამოცემა. აქვეა მოთავსებული თამარისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსის ბალმონტისეული თარგმანიც:

Тамар, тебе пою, ты — солнце незаходящей красоты,
Твоей стан точеный тонко-строен, и краткий лик являешь ты.
Тамар, Эфир молниеносный, словесный луч целебных трав,
Ларец познаний, ключ текущий, среди Эдемowych дубрав.
В щедротях ты подобна морю, высоким духом — небесам,
Ты милосердые и смиренье, и улосныи глазам,
Из края в край идя с победой, и славою тропув гул струны,
Ты победителей сразила, они тобой побеждены.

Ты с богом разделила страсти его взнесенного креста,
В горах ты утверждала веру, их высота тобой свята.
Все люди власть твою признали и люди ль только с.ились в хор?
Тебе подвластны львы в равнине, тебе послушны барсы гор

Тебя зовут светило — солнцем, тебе возносят семь планет..
Но для певцов ты недоступна, и до тебя дороги нет.



ნოემბრის შუა რიცხვებში ბალმონტი რუსთაველზე ლექციებს კითხულობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. საქართველოში მიღებული სიხარულის, აღტაცებისა და სიყვარულის გაზიარება მას მთელი რუსეთის მოსახლეობისათვის სურდა.

როგორც ლექტორს, ბალმონტს, სახელი დიდი ხანია ჰქონდა მოპოვებული. ჯერ კიდევ 1897 წელს, თავისი წარმატებების გარეყრაზე, ტეილორის ინსტიტუტის სახელით, ინგლისელმა პროფესორმა მორფილმა რუსული პოეზიის შესახებ ლექციათა სერიის ჩასატარებლად იგი ოქსფორდში მიიწვია. ოთხივე ლექცია, რომელიც მიეძღვნა საკითხს — რუსული ლირიკის ისტორია პუშკინიდან დღემდე, სიმბოლისტებამდე, ბალმონტმა ფრანგულ ენაზე ჩაატარა. მსმენელები მეტად კმაყოფილი დარჩნენ. როგორც ბალმონტის წერილებიდან ჩანს, ინგლისის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ბევრი რამ პირველად გაიგო მისი ლექციიდან. თურმე ძალიან ცოტას თუ სცოდნია ამ განათლებულ ქვეყანაში პუშკინის და ლერმონტოვის სახელი. მათი შემოქმედება კი ორიგინალში, ალბათ,

მხოლოდ პროფესორ მორფელს (სლავიანისტია) ჰქონდა წაკითხული. გამონაკლისად ითვლებოდა ლევ ტოლსტოი, მისი ნიჟის წინაშე ინგლისელები ქედს ისრიდნენ.

ხალხთა სულიერი დაახლოების დიდი გზისა და მიზნისათვის ბალმონტს ბოლომდე არ უღალატია. მისი საინტერესო ლექციები მუდამ ურიცხვ მსმენელს იზიდავდა და ლამაზ ფიქრებსა და გრძნობებს უღვიძებდა მათ.

ლექციების თემატიკა მეტად მრავალფეროვანი იყო. ეს ჩანს მათი დასახელებიდან: „პოეზია, როგორც ჯადოსნობა“, „სიყმაწვილისა და სილამაზის თეატრი“, „სიტყვა შემოქმედებაზე“, „რევოლუცია სიტყვასა და ზგერაში“, „მორი-საძოა“, „ქალთა სახეები“, „პოლონელი პოეტები“, „სიყვარული და სიკვდილი მსოფლიო პოეზიაში“, „სიტყვა ცხენის შესახებ“, „სტოროვენკო“, „ასოთა ფილოსოფია და გრძნობების ლირიკა“, „გულთამხილავი გენიოსი“ (შექსპირის შესახებ), „ო უაილდი“, „შუქბგერა ბუნებაში“, „ოკეანეთი“, „ადამი და ორდალია“, „პიროვნება, როგორც სამყაროს საჭე“, „ომი და პოეზია საუკუნეებში“, „ქალი პოეზიაში და ცხოვრებაში“, „მარტოობისა და სიკვდილის საიდუმლოება“ (მეტერლინკის შემოქმედების შესახებ), „მზის ფესვი (იაპონიის შესახებ)“ და სხვ.

ასევე მრავალფეროვანი იყო ბალმონტის ლექციები რუსთაველთან დაკავშირებით. ბევრ საინტერესოს ეუბნებოდა თავის მსმენელებს მშვენიერი ქვეყნისა და პოეზიის შესახებ ამ გამოსვლებში: „რუსთაველი და საქართველო“, „შოთა რუსთაველი“, „სიყვარულის ჯვაროსანი შოთა რუსთაველი“, „წმინდანინოს საუფლო“, „სიტყვა საქართველოსა და მისი ენის შესახებ“, „მსოფლიო გენიოსები სიყვარულის შესახებ“, „დიდი იტალიელები და შოთა რუსთაველი“, „მბეგნიერების ორი სახე“ და სხვ.

ამ გამოსვლების დროს ბალმონტი კითხულობდა რუსთაველის პოემის საკუთარი თარგმანის ცალკეულ თავებსაც და მსმენელებში ამკვიდრებდა აზრს: „ხალხი, თუ ის ძლიერია. ქმნის სიმღერას და თავის წიაღში ბადებს მსოფლიო მნიშვნელობის პოეტს. საუკუნეთა განმავლობაში ასეთი გვირგვინოსანი რუსთაველი იყო. რუსებისათვის ჯერ უცნობმა ამ ჩინე-

ბულმა ქართველმა XII საუკუნეში თავის ქვეყანას მისცა ალამი და მოწოდება — „ვეფხისტყაოსანი“.

ჯერ კიდევ სამშობლოში საცხოვრებლად დაბრუნებამდე რუსეთის საიმპერატორო რუსული თეატრის ბიუროს წევრმა ა. პ. ლაგორევმა ბალმონტს ლექციებით გამოსვლა შესთავაზა რუსეთის ქალაქებში. შემდეგში ბალმონტის საჯარო ლექციების ორგანიზაციას ამ საქმეში დიდად გამოცდილი თედორე იასეს ძე დოლიძე თავობდა.

და აი, თბილისის შემდეგ, 1915 წლის დასასრულამდე, სამი თვის განმავლობაში ბალმონტი რუსთაველის შესახებ ლექციებს კითხულობს რუსეთის შემდეგ ქალაქებში: ვოლოგდა, იაროსლავლი, ნიჟნინოვგოროდი, ყაზანი, სარატოვი, პენზა, სამარა, უფა, ჩელიაბინსკი, ეკატერინოსლავი, პერმი, ტიუმენი. ომსკი, კრასნოიარსკი, ნოვონიკოლაევსკი, ტომსკი, ირკუტსკი, ჩიტა, ხარბინი, ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი და, ცხადია, ცენტრალურ ქალაქებშიც — მოსკოვსა და პეტერბურგში. მგზავრობის და საღამოების მოწყობის ორგანიზაციულ მხარეს ზოგჯერ ბალმონტის ანტრეპრენიორის თ. დოლიძის მეუღლე მარია ვლადისლავოვნა უძღვებოდა. ბალმონტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა მასთან თანაშრომლობას და მადლიერი იყო მისი.

ოცდაათხუთსა ქალაქში წაკითხული ორმოცდაათი ლექციის უმეტესობა რუსთაველს ეხებოდა.

დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ბალმონტის ლექციები რუსეთში. დიდი პოეტის სტუმრობას გაზეთები სიხარულით აღნიშნავდნენ: „მოულოდნელად გვესტუმრა მომაჯადოებელი სამხრეთიდან დაბრუნებული ბალმონტი... თან მოიტანა მზის სურნელება და მარადიული ლაყვარლის ნატეხი. ყოველივე ამას ის ჩვენ—ნახევრად ბურჟუსში მცხოვრებთ—გვინაწილებს“¹.

თავის ხალისიან და კარგ განწყობილებას ბალმონტი საქართველოდან გამოყოლილ გრძნობას მიაწერდა: „ჩრდილოეთში ვარ, მაგრამ სულში მაინც ნათელი მიდგას, ვგაჩნობ, კარგა საქმე ჩავიფიქრე და კეთილი სულები ჩემთან არიან“.

რუსეთის ქალაქებში მის მიმართ გამოჩენილ ყურადღება-

¹ გაზ. «Иркутская жизнь», 1915. 17/X.

საც საქართველოში მიღებული სიტბოს მიხედვით ზომავდა. ყაზანიდან მეგობარ ქალს სწერდა: „იცი, შენი ქალაქი ისევე შემხვდა, როგორც თბილისი, ქუთაისი... მე დიდ, მშობლიურ ოჯახში მოვხვდი“.

ქართული გულისხმიერება ბალმონტს თურმე რუსეთშიც არ მოჰკლებია. „პენზიდან სარატოვამდე, — წერდა ბალმონტი, — უცნობი ქართველი კაცის ზრუნვით სრულ სიმშვიდეში ვმგზავრობდი“. სიმშვიდე მაშინ, მართლაც, ძნელი მოსაპოვებელი იყო, უნდა გავიხსენოთ, რომ ბალმონტს მგზავრობა რუსეთში სამოქალაქო ომისა და რევოლუციის აღმავლობის წლებში უხდებოდა. მუშათა გაფიცვები რუსეთის საგზაო ტრანსპორტის ჩამორჩენილობასთან ერთად ბევრ დაბრკოლებას ახვედრებდა პოეტს გზაზე. მატარებლის მოლოდინში რკინიგზის სადგურზეც ბევრჯერ გაუთევია ღამე. რუსეთის მიყრუებულ ადგილებში მისასვლელად ხშირად რამდენიმე სახის ტრანსპორტით უნდა ესარგებლა.

აი, კიდევ ერთი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სამარაში მიმავალ პოეტს გზა კვლავ თავაზიანმა ქართველმა კაცმა გაუადვილა. „გამგზავრება ძნელი იყო, — წერდა ის, — გადაგვარჩინა ერთმა ახალგაზრდა ქართველმა ოფიცერმა ღუმბაძემ. მან და მისმა ამხანაგებმა დაგვითმეს ადგილი. მე შემეძლება დავიძინო ამაღამ, ჩემი ქართველი კი იცინის და ამბობს, რომ თავრიზში ბრძოლის დროს თურქის კონდახისაგან მხარში მიღებული ჭრილობა მას ძილის საშუალებას მაინც არ აძლევს“.

ბალმონტი თავის ლექციებში გადმოსცემდა ყველაფერს, რაც ენახა, ეგრძნო და წაეკითხა საქართველოს შესახებ. ბევრი იცოდა, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა. ჯერ კიდევ გზიდან ის სთხოვდა მეგობარ ქალს, ანა ივანოვას, მისთვის ძველი საქართველოს ისტორიის მასალები მოემზადებინა.

მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე ბალმონტი თარგმანზე მუშაობას მთელი დატვირთვით შეუდგა. ამ დროის მისი ვიზიტებიც ნაცნობ-მეგობრებთან მხოლოდ საქმიანი იყო და პოემის თარგმანზე მუშაობას უკავშირდებოდა. კონსულტაციისათვის ბალმონტი ხშირად ხვდებოდა ნიკო მარს.

იმხანად ნიკო მარი „ვეფხისტყაოსანს“ სპარსული მოთ-

ზრობის ქართული სინამდვილის მიხედვით გადაკეთებულ რომანულ პოემად მიიჩნევა, რუსთაველს იგი მუსულმანად თვლიდა და ამის ასახსნელად მოწოდებების შემოსევის შემდგომ XIV — XVII საუკუნეების მესხეთში ქრისტიანული კულტურული კერის არსებობის მთელ თეორიას ქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ ბალმონტს არ დასტუობია „ვეფხისტყაოსანზე“ ნიკო მარის იმდროინდელ შეხედულებათა გავლენა. რუსთაველოლოგიის საკითხებში იგი ემხრობოდა ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც რუსთაველის შემოქმედებას საფუძველს მხოლოდ ეროვნული კულტურის წიაღში უძებნიდა.

ბალმონტი ეძებდა და შოულობდა წიგნებს საქართველოს შესახებ, ეცნობოდა მ. ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ საქართველოს ისტორიას, გულმოდგინედ სწავლობდა ქართველთა ცხოვრებას მათი გაქრისტიანებიდან თამარის დრომდე. წერდა ნარკვევებს რუსთაველის გარშემო, თარგმნიდა პოემის შემდგომ თავებს, მართავდა რუსთაველის საღამოებს. ერთი ასეთი გამოსვლის შესახებ აღნიშნავდნენ გაზეთში: „გუშინ, სინოდის სასწავლებლის დარბაზში ბალმონტმა წაიკითხა ლექცია, მიძღვნილი XII საუკუნის ქართველი პოეტის, განთქმული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის — შოთა რუსთაველისადმი“. ბალმონტმა პოეტურად დაახასიათა საქართველო, აღნიშნა ენის სილამაზე და თავისებურებანი. ქართული პოეზიის უცნობი პოეტური საუნჯე გააცნო საზოგადოებას. რუსთაველს „სიყვარულის ჯვაროსანი“ უწოდა და განაცხადა, რომ ამალღებული და შთაგონებული სიყვარულით რუსთაველმა ბევრად ადრე წამოსწია ქალის კულტი, ვიდრე აღორძინების ხანის იტალიელებმაო.

ბალმონტმა წაიკითხა რამდენიმე თავი რუსთაველის პოემის თარგმანიდან. მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ იგი აპლოდისმენტით დააჯილდოვა.

შემდეგ ქართულ ენაზე ბალმონტისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა იოსებ მკვდლიშვილმა.¹

¹ იოსებ მკვდლიშვილი (1888 — 1950) — პოეტი და დრამატურგი. ამ ენობის შემკველი გაზეთის ამონაწერი ინახება მოსკოვში ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივში, ფ. 574, № 13.

აფიშები რუსთაველის საღამოების შესახებ იბეჭდებოდა დიდი ქართველი პოეტის პორტრეტით. ბალმონტის მოსასმენად თავს იყრიდნენ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები. ისინი სიამაყითა და მღელვარებით უსმენდნენ, თუ როგორ აცნობდა რუსი ლექტორი დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ოქროს ხანას, ქართული ენის სილამაზეს, თამარ მეფეს, დიდ შოთას, პოემაში მოცემული სიყვარულის გმირულ ხასიათს. საილუსტრაციოდ კითხულობდა ადგილებს „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი თარგმანიდან.

1916 წლის იანვარში პეტერბურგში გამართულ ასეთ საღამოს ნიკო მარიც ესწრებოდა. აზრი მოსმენილისა და ნაგრანობის შესახებ მან საჯაროდ გამოხატა. მან, როგორც ქართველმა და როგორც რუსთველოლოგმა, გამოთქვა თავისი შენიშვნები, რომ ისინი ბალმონტს შემდგომ მუშაობაში გაეთვალისწინებინა.

ბალმონტის ლექციები რუსთაველზე მარმა ძირითადად მოიწონა, მაგრამ ზოგიერთი საკითხის უფრო მეცნიერულად შესწავლა-გამოკვლევა ურჩია. მარი აღნიშნავდა ბალმონტის დიდ პოეტურ შესაძლებლობებს, მის შრომას საგულისხმო ღვაწლად თვლიდა. ამასთან, მიაჩნდა, რომ რუსთაველის პოემის თარგმნისათვის უმჯობესი იყო პუშკინის ხალხური ლექსის ზომის მომარჯვება. ბალმონტის შრომის ზოგიერთ ნაკლოვანებათა მიზეზს მარი იმაშიც ხედავდა, რომ რუსთაველის პოემა ქართველების მიერაც არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. რუსთაველის სავსებით შეთვისება-შეგნება რეალურად შეაერთებს მთელ ქართველობასო, — უთქვამს ნ. მარს თავისი სიტყვის დასასრულს.

ყველა შენიშვნა ბალმონტისადმი პატივისცემით იყო ნაკარნახევი და გამიზნული იყო მისი შემდგომი შრომის გასაადვილებლად. ამ დღის შესახებ კმაყოფილებით წერდა ბალმონტიც: „გუშინ განსაკუთრებული ყურადღებითა და ყვაილებით დამაჯილდოეს. ვკითხულობდი კარგად. კი არ ვკითხულობდი, ზეპირად ვამბობდი“.

ჩატარებული საღამოს შემოსავლიდან 100 მანეთი ბალ-

¹ ხმა პეტერბურგიდან. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 438.

მონტმა თბილისში ალექსანდრე ყანჩელს გადაუგზავნა, რომ იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ რუსთაველისა და ბალმონტის სახელით შეეწირათ.

ქართულ პოეზიაზე და ისტორიაზე, რუსთაველზე და თამარზე ჩატარებულმა ლექცია-სალამოებმა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა შორის ბალმონტს დიდი პატივისცემა და სიყვარული მოუხვეჭა.

ბესტუჟევის ქალთა უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქართველ ქალთა თაოსნობით 1916 წლის 4 თებერვალს ბალმონტთან შეხვედრა მოეწყო. ამ შეხვედრის მონაწილე რუსუდან სოლომონის ასული მიქელაძე, ამჟამად თბილისის თეატრალური ინსტიტუტის უფროსი პედაგოგი, გულგრილად ახლაც ვერ იგონებს ამ დღეს.

„ეს იყო 10-იანი წლები, — მოგვითხრობს რუსუდან მიქელაძე, — პეტერბურგი, ეს მომნიბლავი ქალაქი, რომელსაც შთაგონებით უმღერდნენ პუშკინი და ბლოკი, დამსახურებულად ამაყობდა განთქმული ქალთა უნივერსიტეტით — ბესტუჟევის კურსებით.. კურსები ნერგავდა ქალთა განათლების საუკეთესო ტრადიციებს, მასწავლებელთა შორის მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორები იყვნენ. აქ სუფევდა ქეშმარიტად მეცნიერული ატმოსფერო.

ჩვენ, ქართველ ქალებს, გვწყუროდა საქართველოს ისტორიის შესწავლაც. ბესტუჟეველი ქალების ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართული სამეცნიერო წრე, რომელშიც გაერთიანდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც. თხოვნით მიემართეთ ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ჩვენთვის საქართველოს ისტორიის კურსი ჩაეტარებინა. ის თავზიანად დაგვთანხმდა და გვიკითხავდა „ქართლის ცხოვრებას“.

ერთხელ ქართულმა ლიტერატურულმა წრემ გადაწყვიტა მოეწვია პოეტი ბალმონტი და მის პატივსაცემად სალამო გამართა. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენ, ქართველები, დიდად დაინტერესებული ვიყავით სიმბოლისტი პოეტით, უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელით.

ბალმონტს ამ სალამომდეც შევხვედრივარ. 1915 წლის ადრეულ შემოდგომაზე ქუთაისი საზეიმოდ აღნიშნავდა მშვენიერი რიონის ხეობაში რუსი პოეტის სტუმრობას. მახსოვს, როგორ აწვიეს იგი ბაგრატიის ტაძარს და უყვებოდნენ საქართველოს გმირულ და ტრაგიკულ წარსულს, უმღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, პოეტები თავიანთ ლექსებს უკითხავდნენ. უკანასკნელ სალამოს ბალმონტს ქართულ კლუბში ბანკეტი გაუმართეს. აქ თავისი დროის ერთ-ერთმა შესანიშნავმა პიროვნებამ, კიტა აბაშიძემ, ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. ამ დღეს გამაცნო კიტა აბაშიძემ ბალმონტი. ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ, მაშინ ახალგაზრდა ქალს, რა თქმა უნდა, მეტად მეამა ბრწყინვალე პოეტისაგან მოწოდებული ლამაზი ვარდები, რომელსაც მან ნატიფი და საუცხოოდ შერჩეული სიტყვები დაურთო

მაგრამ ისევ ნების პირობად გამართულ საღამოს დაეუბრუნდეთ. შეხვედრა პოეტას საკადრის სიმალლეზე რომ ჩატარებულიყო, ყვავილები ვიყიდეთ, — და ეს ზამთრის პეტერბურგში! დაბეჭითებით მოვითხოვდი თეთრი იასამნის თაიგულს, რომელიც თურმე პოეტს ძალიან ჰყვარებია. იმ დროს მეტად მოწონებული ხენდროს ტორტის საყიდლად ჩვენ მარიინსკის თეატრისაკენ მოგვიხდა გამგზავრება, რაც იმ ყინვაში გმირობას უდრიდა.

და აი, მოვიდა ბალმონტი. წაგვიკითხა ლექსები, თარგმანი „ვეფხისტყაოსნიდან“.

მე კიტა აბაშიძის მოკითხვა გადავეცი, რაზედაც საპასუხოოდ თქვა: ყველაზე მშვენიერი სიტყვა, რომელიც ჩემს მიმართ სადმე თქმულა, ეს იყო კიტა აბაშიძის სიტყვაო.

სალამოს დასასრულს მან მომიძღვნა ლექსი“.

აქ ქალბატონმა რუსუდანმა მღელვარებით გადაშალა საზახსოვრო ჩანაწერების სქელი ალბომი და პოეტის ხელით დაწერილ ერთ სტროფზე მიგვითითა:

Русудане
О, Грузинка, Русудана,
Точно солнце из тумана,
Что имя шепчет мне,
Счастлива я — в такой стране.

დაუვიწყარი გამხდარა ეს საღამო პოეტისათვის. ამ დღის შესახებ მის ერთ კერძო წერილში ვკითხულობთ: „მსგავსა რამ საქართველოშიც კი არ შემხვედრია ჯერ, რამეთუ აქ იყვნენ ქართველებიც... ვერ დაინახავდი ვერც ერთ სახეს, რომელიც გასსივოსნებული და ყურადღებიანი არ ყოფილიყო. თავს ვგაჩნობდი ამალღებულად... კითხვა დამჯდარმა კერ შევძელი და სულ ფეხზე ვიდექი, ჩემ წინ კი ყვავილები იყო და თეთრი იასამნის უზარმაზარი ბუჩქი“.

პეტერბურგის საზოგადოებას ბალმონტმა ასე არა ერთ და ორ საღამოზე მოუყარა თავი. მისი ლექციების პროგრამაში უცვლელად იყო რუსთაველის თემა, რომელშიც შემდეგ საკითხებს წამოსწევდა წინ: თამარის მეხოტბე რუსთაველი: აიყვარულზე რაინდული შეხედულება; XI—XII საუკუნეების საქართველო; ქართული ენის სილამაზე; თამარ მეფე; „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი; რუსთაველის პოემა, როგორც სიყვარულის აღსარება: რუსთაველი და დანტე; ვარსკვლავებიდან ვარსკვლავებამდე და სხვა.

ამ გამოვლებში ბალმონტი ალტაცებით ლაპარაკობდა რუსთაველის სამშობლოზე; მისი ხალხის სილამაზითა და სიამაპით მოხიბლული ქადაგებდა: „აქ ჭეჭილის თავთავები გალობის ხმით წკრიალებენ და დაზურმუხტების ნათელ დღეებს სიხარულით განიცდიან“. საქართველო ღვთისმშობლის წილხედომილიაო, — ალტაცებით შენიშნავდა პოეტი და განაგრძობდა: „როცა მოციქულმა კენჭი ყარა, ვის რომელი ქვეყანა შეხვედროდა სამახარობლოდ, საქართველო ჭვარცმულის დედას ხვდა წილად. გაეშურნენ მახარობლები სხვადასხვა კუთხით. ამ მთიან მხარეში, ავსილს კლდოვანი ნაპრალებით, არწივთა ყივილით და მამაცთა ღვაწლით. მახარობლად ყმაწვილი ქალი — წმინდა ნინო გამოემართა...“

წარსულ საუკუნეებში ეს ქვეყანა ყველაზე მეტად ღვთისსწორმა თამარმა განადიდა; სადაც მხოლოდ ქარი და არწივები მეუფებდნენ, მან სალოცავები აღმართა. მგოსნებმა ხოტბა შეასხეს თამარს, რადგან მან ღვაწლით ღვისით ადიდა თავისი სამშობლო — საქართველო.

ქართველებს უყვართ სიცოცხლე, — აღნიშნავდა თავის სატყუავში ბალმონტი, — თავისი ათასწლოვანი ისტორიული

ცხოვრების მანძილზე საქართველოს მტერთა თარეშისაგან ბევრი საშინელება განუცდია, მაგრამ მრისხანების უამსაც კი არ დაუკარგავს თავისი სილამაზე, რაინდობა, თავისი წარმტაცი თვითყოფადობა, განსხვავებული ადათი და წესი, თავისი ნაპუსიანი სიტყვა...

ნაზი და ლამაზია ქართველი ქალი, — განაგრძობდა თავის სიტყვას ბალმონტი, — ლერწამივით ერხევა ტანი ჰაეროვან ცეკვაში, კეთილშობილურია მისი გულისთქმა, იცის სიყვარული უნაპირო და ტრფობის ერთგულება განუსაზღვრელი...

პოეზიასა და პოეტებს, — შენიშნავდა ბალმონტი, — ხშირად ადარებენ ყვავილს, რომელიც საქართველოში სისხლათ მორწყული მიწითაა ნაკეები, რამდენი ძალაა ჩაქსოვილი იმ საზრდოში, რომელიც ჰკვებავდა სულს საუკუნეთა სრბოლაში!..

ქართველი ხალხის გენიის უმაღლეს მიღწევად ბალმონტი სიყვარულის ცეცსლოვან პოემას — „ფფფისტყაოსანა“ ასახელებდა. რუსთაველს პირველ ადგილზე აყენებდა სიყვარულის ჯვაროსანთა შორის. ბევრია მის პოემაში ძღვევაოსილი მზით გასხივოსნებული ყვავილიო, — ამბობდა იგი, — რუსთაველია ბალნარი უქცხობია თავისი ელვარებით. მისი საუნჯიდან იღებს ხალხი სიბრძნესო.

ბევრს დაჰკარგავდა ქართველთა სახატე თავის საოცნებო სილამაზესა და ღვთაებრიობაში, რუსთაველის ოქროს თავებზე რომ მოჰკლებოდა. — შენიშნავდა ბალმონტი.

რუსთაველი ქართული სულის სხივოსნობის არა მარტონიშანია, იგი მთელი ხალხის საუნჯეა, სალოცავი. ეს პოემა წინასწარმეტყველის ძალით შთააგონებს მკითხველს, — აღნიშნავდა ბალმონტი და დასძენდა: — დაე, იყოს იგი ჩვენ საერთო თავისუფლების წინასწარმეტყველი და იმ ქვეყნისათვის კუთვნილი ღირსების მიმნიჭებელი, რომელმაც შობა სიყვარულის, ქალისა და თავისუფლების მგოსანი...

ასეთ აღტაცებულ გამოსვლებს თავისი დადებითი შედეგი მოსდევდა. რუსთაველის სახელი დღითიდღე ეუფლებოდა რუსი მსმენელის გულს და ეს უსათუოდ ბალმონტის დამსახურება იყო.

რუსთაველისა და საქართველოს სიყვარული, რომელსაც ბალმონტი თავის გამოსვლებში ქადაგებდა, თავის სხივს რუსეთის დედაქალაქიდან, მოსკოვიდან, შლიდა. აქ იყვნენ ბალმონტის ქართველი მეგობრებიც, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ ერთა სულიერი დამეგობრების უწყმიდესი საქმისათვის.

მოსკოვში აქტიურად მოქმედებდა „ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის საზოგადოება“; მის მთავარ მიზანს რუსეთისათვის საქართველოსა და მისი კულტურის გაცნობა შეადგენდა.

ამ საზოგადოების გამგეობა ხშირად მართავდა ლექციებს, მოხსენებებს, რომელთა თემატიკა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებს ითვალისწინებდა. წაკითხულ ლექციათა შორის შეიძლება დავასახელოთ: „ბესიკის ლირიკა“, „საქართველოს კულტურა და ხალხური სიმღერები“, „თამარის ეპოქის მოკლე ისტორიული ცნობები“ და სხვ.

გამოჩენილი რუსი მსახიობი ქალი ალისა კოზნენი იგონებს, რომ ბალმონტი მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებული თავისუფალი თეატრის სპექტაკლებსაც ესწრებოდა. უხაროდა მათი წარმატება და დახმარებაც აღუთქვამს — თქვენთვის პიესებს დავწერო.

1912 წლიდან მოსკოვში ქართული სამხატვრო თეატრიც დგამდა წარმოდგენებს. საქართველოდან ჩამოსული მრავალი გამოჩენილი ქართველი მსახიობი მოსკოველ მაყურებელს ამ სცენიდან აცნობდა ქართულ ხელოვნებას.

ამ თეატრში ერთი საზეიმო წარმოდგენის შესახებ მოგვითხრობს მ. დონდუა: „თეატრში გაიმართა წარმოდგენა ლადო მესხიშვილის მონაწილეობით. როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი შიში და თან სიხარული, როცა გავიგე, რომ ლ. მესხიშვილის მიერ ფრანგულიდან თარგმნილ პიესაში ერთ-ერთი წამყვანი როლი მეც უნდა შემესრულებინა და ისიც პირველად ჩემს სიცოცხლეში. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბალმონტიც იქ იყო. სპექტაკლას დამთავრების შემდეგ, კიბეზე ჩამოსვლის დროს, ის მგზვნება-

რედ ლაპარაკობდა ლადო მესხიშვილის შესახებ თავის ნაცნობებთან¹.

„ქართველთა საზოგადოება“ ხშირად მართავდა კონცერტებს, წარმოდგენებს, საღამოებს, ბაზრობას და შემოსავალს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ხელმოკლე ქართველი ახალგაზრდების სასარგებლოდ სწირავდა. ამავე საზოგადოების ბიბლიოთეკაში ქართველთა მხარეთმცოდნეობისა და მისი ლიტერატურით დაინტერესებულ პირთათვის ძვირფასი მასალა ინახებოდა. საზოგადოების გამგეობის შენობაში ტარდებოდა ქართული ენის შემსწავლელთა კურსებიც.

ამ საზოგადოების ხშირი სტუმარი ბალმონტიც იყო. ის არა მარტო ესწრებოდა აქ ჩატარებულ ღონისიებებს, არამედ ხშირად მთავარი მონაწილეც იყო. არცთუ იშვიათად ეს საზოგადოება გამოჩენილ რუს პოეტთა, მწერალთა და კომპოზიტორთა შემოქმედებით საღამოებსაც მართავდა. ბალმონტი გამოდიოდა აქ სიტყვით, საკუთარი ლექსებით. „ქართველთა საზოგადოებასთან“ მჭიდრო კავშირს ისიც განაპირობებდა, რომ ბალმონტი ახლო ურთიერთობაში იყო გამგეობის წევრებთან, მის თავმჯდომარესთან — ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინთან. ტიციან ტაბიძის მეშვეობით ბალმონტისეული თარგმანის ნაწყვეტებს დიდი ქართველი რეჟისორის, რუსული სცენის გამოჩენილი მოღვაწის ხელშიც გაუვლია.

მწერალ სერგო კლდიაშვილს, რომელიც ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, კარგად ახსოვს, როგორ მიდიოდა ტიციან ტაბიძე სუმბათაშვილთან (ს. კლდიაშვილი იმავე სახლში ცხოვრობდა) და თან „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანი მოჰქონდა, რომ ქართველ მეგობრებს ენახათ და შეეფასებინათ იგი.

რუსთაველის საღამოს, რომელიც მოსკოვში, 1915 წლის 26 დეკემბერს მოეწყო, ა. სუმბათაშვილი თაოსნობდა. საღამოს დაწყებამდე პოემის თარგმანის ტექსტით ტიციანი სუმ-

¹ მ. დონდუა, კ. ბალმონტი და ქართველობა, ქუჩნ. „მნათობი“, 1960, № 10, გვ. 164 — 165.

ბათაშვილთან იჯდა. თარგმანი აუდიტორიის წინაშე წასაკითხად უნდა მოემზადებინა.

პირველ მსმენელად სერგო კლდიაშვილი იქნა მიწვეულად. კითხვა ტიცინანს დაუწყია, შემდეგ სუმბათაშვილს განუგრძია, პოემის კითხვას ისინი დროდადრო წყვეტდნენ ალტა-ცების გამოსახატავად.

რუსთაველის საღამომ მოსკოვში წარმატებით ჩაიარა. გამოსვლისათვის პოეტი განსაკუთრებულად ემზადებოდა. ჯერ კიდევ საღამოს დაწყებამდე იგი სწერდა ცვეტკოვსკაიას: „ამ წუთში გადავათვალიერე დღევანდელი გამოსვლის მთელი მასალა. რუსთაველს წავიკითხავ სხვაგვარად, ვიდრე ვკითხულობდი თბილისსა და ქუთაისში“.

ერთმანეთის მომდევნო წერილებში ცვეტკოვსკაიასადმი ბალმონტი აღწერს ამ საღამოზე განცდილს, მეგობრების თვალეში ამოკითხულ მადლიერებასა და წარმატების სიამოვნებას: „რუსთაველის გუშინდელმა საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა. დარბაზი სავსე იყო, მხურვალედ შემეგებნენ, მისმენდნენ დიდი ყურადღებით. ოვაცია მომიწყვეს. ფერმკრთალი და აღელვებული ვიყავი. ჩემი მღელვარება მთელ დარბაზს გადაედო. არ ვკითხულობდი, უფრო მეტს ვლაპარაკობდი და საბოლოოდ შევიყვარე ადამიანის სულთან შეხების ეს მაგიური საშუალება...“

...ლექციის შემდეგ ტაბიძე ლექტორიუმში შემოვიდა, სახე ცრემლებით ჰქონდა სველი. ბევრი მშვენიერი და აღელვებული სახეები ვიხილე. ყველასათვის, იუჟანის ჩათვლით, რომელიც პირველი შემეგება, ეს საღამო მოულოდნელი ბრწყინვალეობითა და გულწრფელობით იყო აღსავსე“.

ლიტველი პოეტი ბალის სრუოგა იგონებს, რომ ამ დღეს ერთი ქართველი პოეტი გამოსულა სიტყვით. მას სხვათა შორის უთქვამს: „ბოდიშს ვიხდი, ძვირფასო კონსტანტინე ბალმონტ, რომ თქვენ ქართველი არა ხართო“. ასეთი ფორმით საყვედური მხოლოდ ქართველს შეეძლო მოეფიქრებინაო, — დასძენს თავის მხრივ სრუოგა.

საღამოს შემდეგ საზოგადოების წევრებმა სუმბათაშვილის ხელმძღვანელობით ბალმონტს ბანკეტი გაუმართეს.

ბალმონტის ყოველი გამოსვლა ყურადღებას იპყრობდა.

თავის გამოსვლებში პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვას. სიტყვით აგნებდა იგი მსმენელთა გულებს და ამდიდრებდა მათ ახალი გრძნობით — საუკუნეთა წიალიდან მოსული ქართველი გენიოსის და მისი მშობელი ხალხისადმი სიყვარულით.

ცრემლმორეული იდგაო ტაბიძე, — სწერს ბალმონტი მეგობარს, — და განა იმიტომ, რომ მისთვის პოეტის ნათქვამში ყველაფერი ახალი იყო?! ალბათ, არა. ახალი იყო განცდა, რომელიც მოჰქონდა პოეტის სიტყვებს. ბალმონტი ისე თამამად ენდობოდა ამ ნაცად იარაღს, რომ სჯეროდა სიტყვით დაიპყრობდა ყველაფერს. „ჩემს გამოსვლებს წარმატება ახლავს. მე არაფრის და არავისი არ მეშინია“, — წერდა იგი იმედიანად. პოეზიას მშვენიერებასთან ერთად ბალმონტმა აუმაღლა ზემოქმედების ძალაც. მისთვის პოეზია იყო ჯადოსნობა და პოეტი — ამ მაგიური ძალის მფლობელი.

რუსული სიმბოლიზმის მკვლევარი ვ. ჰოფმანი მიგვანიშნებს, რომ სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი იყო სიტყვის ასეთი განსაკუთრებული ინტუიცია და ენერჯიის შეგრძნება სიტყვაში. ისინი გულისხმობდნენ შინაგან სიტყვას თავისი შეფარული ეფექტითა და შთაგონებით. სიტყვის ზემოქმედებით ძალასა და მის მაგიურ შესაძლებლობებში ყველაზე მეტი დარწმუნებით ბალმონტი ლაპარაკობდა პოეტთა შორის. აუდიტორიის წინაშე თავის ყოველ გამოსვლას ის გამარჯვებულად თვლიდა იმის გამოც, რომ ამით იპყრობდა ადამიანთა გულებს.

ბალმონტს, მართლაც, დიდი წარმატებები ჰქონდა. ეს იმ გამოხმაურებებიდან ჩანს, რომელიც მუდამ თან სდევდა მის გამოსვლებს. გაზეთებში საგანგებოდ აღნიშნავდნენ მისი სადამოების წარუშლელ შთაბეჭდილებაზე. ალბათ, ბალმონტიც იმ „სარწმუნო ხმით“ ლაპარაკობდა, რომელსაც, როგორც თვით პოეტი აღნიშნავს, ძველი ეგვიპტელი ქურუმები მიმართავდნენ, როცა ღმერთების და სულების თავისი ნებას გავლენის ქვეშ მოქცევა სურდათ. სამეტყველო ხმის ამ სარწმუნო ჟღერას ეგვიპტელები „მა-ხროუს“ ეძახდნენ, რაც ხმით შემომქმედს, სიტყვით განმხორციელებელს ნიშნავს.

ზეგავლენა, რომელსაც ბალმონტი თავისი ლექციებით და გამოსვლებით ახდენდა, საფუძველს აძლევდა ეფიქრა, რომ

მასაც აქვს მიმზიდველობის დიდი უნარი, რადგან მის სიტყვებში „ბგერათა ჰიპნოზური ტალღა“ ირხევა. ერთ-ერთ წერილში ბალმონტი წერდა: „დღეს ხალხმა მრავლად მოიყარა თავი. გაკვირვებით შევყურებ იმას, თუ რა გავლენას ახდენს ჩემო სიტყვები. ჭერ კიდევ ვერ შევგუებოვარ აზრს, რომ ასეთი ურთიერთლტოლვის კანონი მე მოვიაზრე“. ერთ-ერთი რეცენზენტის შენიშვნითაც ბალმონტი იმ პოეტთაგანია, რომლებიც მთელი არაებით ტკბილი ხმებისა და ლოცვებისათვის ცხოვრობენ.

ბალმონტს ყველაზე მეტად პოეზია უყვარდა და დიდად გაიზარა, როცა მისმა ვაჟმა — ნიკოლოზმა პოეტური ნიჭი გამოავლინა: „მე განარებულნი ვარ, — სწერდა ცვეტკოვსკაიას, — კოლია მოვიზიდე ტკბილხმოვანებისაკენ და ჩემ თვალწინ იშვა პოეტი“.

საერთო მისწრაფებებმა კიდევ უფრო დააახლოვა მამა-შვილი. ნიკოლოზი მამას ძმასა და მეგობარს ეძახდა ხშირად. იგი პროფესიით მუსიკოსი იყო. ახალგაზრდა გარდაიცვალა. მისი პოეტური შემოქმედებიდან მხოლოდ ერთი, პირველი ლექსია ცნობილი, ისიც ბალმონტის არქივში მისი მოხვედრის გამო სონეტი მამას, როგორც გენიალური რუსთაველის პოემის მთარგმნელს, ეძღვნება. მოგვყავს იგი მთლიანად:

Как чистое стекло хранит живые розы
 Так надрез стая серебряной водой,
 Ты утаил в стихе с походною трубой
 Малоазнатских флейт сияющие слезы.
 Разгневанной эмсэй развертывались грозы.
 И одинъ град шумел над тетелью седой.
 И был горячий ветер кустовник молодой
 Под вечер облака, — что дремлющие козы.
 И алый барбарис, и золотой мундаль,
 Каштаны темные равнины Руставели,
 Как радостно прилечь у пня нагорной ели.
 Лохмотья буйных туч уносят воздух вдаль.
 Какон колокола ветерные запели,
 И солнце золотит биснейскую эмаль.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე გულმოდგინე მუშაობისა და მოუცლელიზის მიუხედავად, ბალმონტი მცირე შესვენების შემდეგ ლექციების წასაკითხად კვლავ გაემგზავრა რუსეთის შორეულ ქალაქებში. ეს ხელშეკრულება წინასწარ იყო და-

დებული; დაკისრებული მოვალეობა ამჯერად თუმცა მის საყვარელ საქმეს წყვეტდა, მაგრამ მაინც იმედინად აღნიშნავდა, რომ „გაუფროსილდება საუნჯეს და არ დაჰკარგავს სიმღერას“.

ამ ტურნეს 1916 წლის თებერვლის დასასრულიდან აპრილის ბოლომდე დასკირდა. გაიარა ქალაქები: პეტროგრადი, ხარკოვი, ეკატერინოსლავი, ორენბურგი, სამარა, ტიუმენი. პოლტავა, ტომსკი, ნიკოლაევსკი, ბლაგოვეშჩენსკი, ჩიტა-ომსკი, ხარბინი, ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი.

მგზავრობის, საღამოებისა თუ ლექციების ჩატარების ორ განიზაციას თ. დოლიძე უძღვებოდა. რეცენზენტები მეტწილად ზეიმის ტოლ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბალმონტის გამოსვლებს. ზოგჯერ რუსეთის ამ ქალაქებშიც ხვდებოდნენ ბალმონტს ქართველები და ხშირად მეტად საჭირო დროს. ტომსკიდან გამოგზავნილ წერილში ბალმონტი წერს, რომ სადგურზე მას შეეგება 25 ქართველი სტუდენტი მისასალმებელი სიტყვითა და ტაშით, ხოლო საღამოზე, რომელზეც ბალმონტი წაიკითხა მოხსენება რუსთაველზე და საქართველოზე, მსმენელთა შორის მყოფმა ქართველებმა ოვაციები მოუწყვეს, ქართული „ვაშას“ ძახილით მისკენ გაემართნენ და ხელში მალა აიტაცეს. სხვა წერილებიდან ვგებულობთ, რომ ქალაქ ტომსკში ჩატარებულ ამ საღამომდე ბალმონტი გაციებულა, ფილტვების ანთება დამართნია. აქაც ქართველი სტუდენტები ვაჟი, გვარად ჭაფარიძე, პოეტს გულისხმიერ მზრუნველად მოვლენია. გამომგზავრებისას მატარებელშიც შეხვედრია ქართველი. იგი მღვდელი ყოფილა და ომის წლები ფრონტზე გაუტარებია. ახლა ვლადივოსტოკში მიემგზავრებოდა და ბალმონტსაც ეპატიჟებოდა თავის ოჯახში. კპირდებოდა, ვეფხვებზე ნადირობას გაჩვენებო. ქართველ თანამგზავრს ბალმონტიც უამბობდა ესპანეთზე და იქ ნახულ ხარებთან ბრძოლაზე. ბავშვური გაკვირვებით ისმენდა თურმე ქართველი. პოეტი კი აღტაცებაში მოჰყავდა ძალისა და სინაზის ასეთ საამო შეთანხმებას.

ხარკოვშიც დიდი საყვარულით შეგებებიან ბალმონტს იქ მცხოვრები ქართველები. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დატულია ჩვენი თანამემამულის დარეჯან ცაგა-

რელი-გვაზავას მოგონება ხარკოვში ბალმონტთან შეხვედრის შესახებ.

დარეჯან გვაზავა წერს, რომ დასთან ერთად იგი ხარკოვში ქალთა უმაღლეს კურსებზე სწავლობდა. ცხოვრობდა ძმის, კონსტანტინე სოლომონის ეე ცაგარელის ბინაზე, რომელიც პროფესიით იურისტი იყო და ქ. ხარკოვის დამცველთა კოლეგიის წევრად ითვლებოდა. კ. ცაგარელი მწერლობდა კიდევ და იმ დროისათვის უკრაინის სცენაზე წარმოსადგენად უთარგმნია ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო. როგორც მწერალს და ქართველს. კ. ცაგარელს არ გამოჰარვია ხარკოვში ბალმონტის სტუმრობა. სახელოვანი პოეტი სახლში მოუწვევია და დებისათვის გაუცნია. აქვე მათთვის გადაუცია მთარგმნელის თხოვნა — დახმარებოდნენ და ორი დღის განმავლობაში გადაეწერათ ბალმონტის თარგმანის ხუთი თავი. ერთი ეგზემპლარი ხარკოვის ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოსვლის შემდეგ ბალმონტს იქვე უნდა დაეტოვებინა. საპატიო სტუმრის დავალებას სიხარულით მოკიდებიან და საქმეში, დების გარდა, მასპინძლის მეუღლეცა და სიმამრიც ჩაუბიათ. დათქმული ორი დღის შემდეგ შესრულებული დავალება პოეტს გადასცეს. მას მადლობის თქმის დროს აღუნიშნავს: „თავს დავალებულად ვგრინობ, მაგრამ ის მამშვიდებს, რომ შოთა თქვენიაო“. ქალუბისათვის ხელები დაუკოცნია, მასპინძლის სიმამრს კი, ქართული წესით, შუბლზე და მსარზე მთხვევია.

იმ სამახსოვრო დღეს ბალმონტს ცაგარლების ოჯახში თავისი თარგმანი თვითონ წაუკითხავს და გულთბილი მასპინძლებისათვის დიდი სიამოვნება მიუნიჭებია. ბევრი უხუმრიათ. გაუჩხენებიათ ქუთაისში სტუმრობის დღეები, რომელთა შესახებ ბალმონტი აღელვების გარეშე ვერ ლაპარაკობდა. ამ დღეების მოსაგონებლად მასპინ ელს ბალმონტისათვის ქართველ მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად ბაგრატის ტაძრის ეზოში გადაღებული სურათი გადაუცია. ეს სურათი ჩემმა სიძემ ნიკოლოზ ნიკიტორეს ძე საღარაძემ გადაიღო, — უთქვამს მისთვის კ. ცაგარელს.

ამგვარად, მსოფლიო ომის მძიმე დღეებშიც, თავისი მა-

ღალი და ნათელი გრძნობით ევლინებოდა რუსეთს მღელვარე სულის პოეტი. ეს იყო მისი ფრონტი, მისი გამირობა და შემართება; როცა სტატიაში „ომი და შემოქმედება“ პოეტი საქვეყნო საქმეში თავის წვლილს აღნიშნავდა, სავსებით სამართლიანად წერდა: მე საშუალება არ მქონდა ომში უშუალო მონაწილეობა მიმელო, მაგრამ პოეზიისა და მხატვრული სიტყვის ფრონტზე თავს მობილიჩებულად ვგრძნობდიო.

ბალმონტი, მართლაც, მუდამ იდგა ადამიანის სულის სიფაქიზის სადარაჯოზე, აღვივებდა მასში სიყვარულსა და სათნოებას; ამით არ ამოიწურებოდა მისი კაცთმოყვარეობა. იმ დროის გაზეთებში, მისი არქივის ფოლიანტებში და კერძო წერილებში ხშირად ვგრძნობთ პოეტის მოწყალე გულის გამოძახილს. მრავალრიცხოვანი ლექციების პონორარი ბალმონტს არაერთგზის გაუღია დახმარებისათვის. მის არქივში მრავალი საბუთია, სადაც ვკითხულობთ:

„ბალმონტის პოეზიის საღამო — ევაკუირებულ მოზარდ გოგონათა და უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ...“.

„ბალმონტის პოეზიის საღამო. შემოსავლის ნახევარი ქალთა თანასწორუფლებიანობის ლიგის პატრონერებს (მფარველებს) ევაკუირებულ მოზარდ გოგონათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად...“.

„ბალმონტის პოეზიის საღამო. შემოსავალი ევაკუირებული ახალგაზრდების სასარგებლოდ...“

„ბალმონტის პოეზიის საღამო. მთელი შემოსავალი შევა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ დახმარების ბიუროში, ომში დაზარალებულ სტუდენტთა დასახმარებლად...“

ხარკოვიდან თვითონ ბალმონტი იწერებოდა: „ომში დაკრილთა სასარგებლოდ ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში წავიკითხავ ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან...“

ლიტერატორთა საღამოზე, მოსკოვში, ბალმონტის დეპეშა შემოიტანეს. იგი 100 მანეთს სწირავდა ომში ტყვედ ჩაყვარნილთა დასახმარებლად.

არქივში ინახება ბალმონტის ხელწერილი სამხედრო ტყვეთა დასახმარებლად გაცემული ფულის თაობაზე და სხვა.

საგულისხმოა, რომ ამ დროს ხშირად თვით ბალმონტი განიცდიდა ფულის ნაკლებობას და შემოსავალზე მუდმივი ზრუნვა აღიზიანებდა. „ჩემი სული მზად არის ყალყზე შედგეს“, — წერდა ამის გამო ერთ წერილში.

მუდმივი ღელვისა და დაღლის პირობებში ბალმონტი მაინც არ ტოვებდა თავის სამუშაოს და თითქმის მთელი რუსეთი შემოიარა თავისი სათქმელით. მოგზაურობდა ბალმონტი და, როგორც ჩანს, ფიქრი საყვარელ საქმეზე არ შორდებოდა. ნოვონიკოლაევსკიდან წერდა: „ურთგო არ იქნება ამოვიღო ჩემოდნიდან რუსთაველის ჰოემა და იქიდან რამდენიმე სტროფი ვთარგმნო, რომ განვიბანო ისევ დიდებულ აღმოსავლურ სიტყვებსა და გრძნობებში“.

ლექციების დასრულების შემდეგ ბალმონტი იაპონიაში გაემგზავრა. რუსეთი სუსხიან ზამთარში დატოვა და ხარბინში შუა გაზაფხულზე ჩააღწია. „თბილა, — ვკითხულობთ მის წერილში, — ჩემი ქურქი ხარბინში ერთ ნაცნობ ქართველს გადავეცი, რომ ეჩუქებინა იმისთვის, ვისაც ამის გასაქირი ექნება. ამ ქართველს სხვა ქართველებთან ერთად (აქ ისინი ასამდე არიან) ხარბინში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაუარსებია. თქვენი წიგნები აქ მრავლად გვაქვსო, მითხრა მან. მოხარული ვარ, რომ ამ მიყრუებულ ადგილას ჩემს ქართველებს კეთილი საქმით გამოუჩენიათ თავი. მე თუ ოდესმე მდიდარი გავხდი, ბიბლიოთეკის დაარსება ჩემი გადაუდებელი საზრუნავი იქნება; რადგან თვითონ მე უზომო სიხარული და სიამოვნება მიმიღია წიგნიდან“.

იაპონიის ნახვით მიღებულმა შთაბეჭდილებებმაც ვერ დაჩრდილეს „ვეფხისტყაოსნით“ მისი აღტაცება. ბალმონტის ლექციების თემატიკაში, რომელსაც იაპონიაში მგზავრობის შთაბეჭდილებები შეემატა, რუსთაველსა და საქართველოს კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია; მეტიც, ქალაქიდან ქალაქში მგზავრობის დროს იგი კვლავ მეცადინეობს ქართულ ენაში. პოეტი ციმბირიდან სწერდა მეგობარს: „თუ ჯერ კიდევ მოსკოვში ხარ, მიაკითხე ბუკინისტებს, იქნებ მისოვოთ ქართული „ევანგელიე“ და ამასთანავე რომელიმე ქართულ ქრესტომათია“.

ისევ მოსკოვი და პეტერბურგი, მუშაობით დატვირთული დღეები. ხშირ სტუმრობას მიჩვეული ბალმონტი თავის კარჩაკეტილობას გაკვირვებით აღნიშნავდა: „მე მგონი, ასე კარში გაუსვლელად ჭერ არასდროს მიცხოვრია რუსეთის დედაქალაქში. მთელი დღე რუსთაველზე ვმუშაობ“.

პოემის თარგმნისაგან მიღებული განწყობილებით იგი წერდა ორიგინალურ ლექსებსაც, მათი უმეტესობის სისხლსავსე სტრიქონები რუსთაველის გმირული სულით იყო ნაკვები. „დავწერე სონეტი „ტკივილის ბრწყინვალეობა (ტარიელი და ნესტან-დარეჯანი)“. საქართველო იზიჟიმებს“, — წერდა იგი.

მოგზაურობასა და ახალ სანახაობებს მიჩვეული პოეტი სამუშაო მაგიდას იყო მიჯაჭვული, მაგრამ თუ ენატრებოდა რამ, ისევ „მზე და სამსრეთი, მათ გარეშე სული უფერულდებაო“. მოიწვედა საქართველოში, რადგან მის ჯადოსნურ პოეზიას ზოგიბლა იგი. არ ზოგავდა თავის შესაძლებლობებს გენიოსის შუქი მის თარგმანშიც აღბეჭდილიყო. განმარტოვდა მასთან, მის სიტყვასთან, მაგრამ მისი შემწეობით მთელ სამყაროს ეხებოდა და მარტო ესეც ავსებდა სიხარულით.

მუდმივი სიახლის მაძიებელი ბალმონტი იჭდა და მუშაობდა. ასეთივე გატაცებით მუშაობდა თურმე გნედიჩიც „ილიადას“ თარგმნის დროს. „ვემშვიდობები სამყაროსო. — განუცხადებია მას მუშაობის დაწყების წინ, — მას ჩემთვის პომეროსი შეცვლისო“.

რუსთაველის ნააზრევთან შემოქმედებითმა კავშირმა ბალმონტს პოეტთან რეალური სიახლოვის ილუზიაც კი გაუჩინა. მისი გენიით აღფრთოვანებული გვიან ღამემდე ვერ შორდებოდა საწერ მაგიდას. „ჩავიძირე რუსთაველში... — წერდა იგი, — ვცხოვრობ სრულ კარჩაკეტილობაში და არავისი ხილვა არ მსურს... სულ რუსთაველის ჰანგებში ვარ... წუხელ ღამის ორ საათამდე რუსთაველთან ერთად ვიყავი... მთელი გუშინდელი დღე ვინარჩუნებდი სულის აღმაფრენას, ვტკბებოდი რუსთაველით“.

პოემისაგან მიღებული შთაბეჭდილებები ბალმონტის

ორიგინალური ლექსების სტრიქონებშიც იჩენდა თავს. ამ განწყობილებით აქვს მას შექმნილი სონეტები — „ვეფხვი“ და „ორი ფერი“.

Пантера

Она пестра, стройна и горяча.
Насытится — и на три дня дремота.
Пробудится — и предчувствует. Охота
Ее зовет. Она встает, рыча.

Идет, лениво длинный хвост влача.
А мех ее пятнистый. Позолота
Мерцает в нем. И говорит мне кто-то,
Что взор ее — волшебная свеча.

Дух от нее идет весьма приятный,
Ее воспел, средь осгрых скл, грузин,
Всех любящих призванный муэдзин, —

Чей стих — алоэ, густоароматный.
Как барс, се он понял лишь один,
Горя зарей кроваво — беззакатной.

Два цвета

Прекрасен рот, как роза припадая
К другому рту. Прекрасен дар богов.
Румянность крови, в гденье лепестков,
Страсть смотрит в Вечность, в сердце расцветая.

Из капли счастья — Океан без края.
Огонь залил все грани берегов.
Но есть костры, чей огонь белей снегов,
Где дух поет, в отъятости сгорая.

Красив в веках тот звонкий сазандар,
Что сплел ковер из облачной кудели,
Струна любви, пронзенный Руставели.

Красив расцвет лилейно — белых чар,
Снежистый лотос в волной колыбели.
Луна — вдали, как далека — Тамар.

Там русла рек, где влага не цветет.
Там бродят лишь бесплотнейшие течи,
Без жажды, без любви, без вожделений.

И нет цветов там, чтоб собрать с них мед.
Нет больше тайны. И чарой песнопений
Душа там в плен другую не возьмет.

ბალმონტის თვალწინ იდო რუსთაველის პოემის გულგა-
დახსნილი სიბრძნე და სილამაზე, რომელიც დაუსრულებელ
ალტაცებას მოითხოვდა. ბალმონტი ისეთი კრძალვით ეხებო-
და ამ წიგნის ფურცლებს და ყდას, როგორც მკერდსა და ბე-
ჭებს მარადიული ადამიანისას. „შეცხარი მას, როგორც
გონიერს, — წერს ბალმონტი რუსთაველის პოემის შესახებ, —
აი მივეალერსე ხელით“.

რუსთაველი და მისი პოემის გმირები ცოცხლად არსებულ
ადამიანებად ესახებოდნენ ბალმონტს. ტარიელის განცდები
იმდენად ახლო იყო მასთან, რომ ტირილდა და უხაროდა მას-
თან ერთად, მისი გრძნობით გრძნობდა და, როცა ტარიელის
შესახებ დაწერილ სტრიქონებს თარგმნიდა, წერდა: „დღეს
ვგიჟდები ტარიელთან ერთად“.

რაც უფრო მეტად ეუფლებოდა ბალმონტი რუსთაველის
სტრიქონებს, მით მეტ ინტერესს იჩენდა ქართული ენის შეს-
წავლისადმი. „ჰკითხე ტაბიძეს, — ავალებდა იგი ანა ივანო-
ვას, — შეუძლია თუ არა კვირაში ორჯერ იაროს ჩემთან, რო-
ცა მე მოსკოვში დავბრუნდები, იქნებ მიმითითოს როქელიმე
ქართველ ჰურიანზე,¹ გინდაც კაცზე. დაე, ვისწავლო მე ქარ-
თული ენა ქალურ და ვაჟურ მელოდიაში“.

რუსთაველის პოემას ბალმონტი თარგმნიდა დიდი სურ-
ვილითა და განწყობილებით. ძლიერი-გატაცება ხელს უწყობ-
და მობილიზებულყოფილი მთელი მისი პოეტური შესაძლებლობა.
ალტაცება უადვილებდა მუშაობას. ჩვეულებრივი სამუშაო
განწყობილება, მოკლებული პოეტური თრთოლვის განცდას,
ვერ დააძლევინებდა იმ სიძნელეებს, რომელთაც მუშაობის
პერიოდში თითქმის ყოველ სტროფში ხვდებოდა. ჩანს, ხე-
ლისშემწყობი პირობები ყოველთვის არც ჰქონდა. 1916
წლის 8 ნოემბრის წერილში ვკითხულობთ: „პოემის დამთავ-
რებისათვის მკვირდება სულ ათი დღე, მაგრამ ჩემი ბედი
სწორედ ისეთია, რომ მე ამ ათი დღის გამონახვა გამიკვირ-
დება“.

¹ ჰურია (სპარსული ჰური, არაბული ჰავრა — შავთვალა) ყურანის მი-
ხედვით მუდამ ახალგაზრდა ლამაზი ქალები (მზეთუნახაეები), ისინი
ცხოვრობდნენ მუსლიმანურ სამყაროში და განკუთვნილნი იყვნენ
წმინდანთა მეუღლეობისათვის.

განწყობას მუშაობის დროს ბალმონტი დიდ ანგარიშს უწყევდა. ხშირად მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე ზრუნვა არ აცლიდა მას მუშაობას და განწყობილებაც ირღვეოდა. წინა ზამთარს ის რამდენჯერმე დაუბრუნდა სამუშაოს და ასევე რამდენჯერმე მოსწყდა. აღარ გავტეხ ჩემს განწყობილებას, — წერდა იგი 1916 წლის დასასრულისათვის, — რადგან თუ ხელმეორედ გამისხლტა იგი ხელიდან, გამიძნელდება მისი მესამედ მოპოვებაო.

რუსეთში ამ დროს უკვე გამძვინვარებული რევოლუციური მოძრაობის ვითარებაში ყოველგვარი საქმის მოწესრიგება ძნელდებოდა. ბალმონტსაც ურთულდებოდა საქმე და ეშლებოდა ხელი. ნაწერების დაბეჭდვა ჭირდა, სტამბის მუშები გაფიცვებს აწყობდნენ, რუსეთი ახალი ცხოვრების მოთხოვნებისა და მისი განხორციელებისათვის ბრძოლის სამზადისში იყო.

ბალმონტი მაინც ერთგული იყო ქართველების წინაშე დადებული ფიცის. დაბრკოლებებით თავის მართლება მას არ სურდა. „ვითარების მიუხედავად, განუყოფლად რუსთაველთან ვარ“, — წერდა იგი და უფრო ინტენსიურად მუშაობდა დიდი ქართული პოემის თარგმნაზე. ხშირად სავალდებულო ყურადღებასაც ვერ იჩენდა ოჯახის უახლოესი წევრებისადმი. მოკითხვებსაც იშვიათად ან ძალიან მოკლედ წერდა: „ჩემი მარჯვენა ეკუთვნის საქართველოს და ამიტომ მხოლოდ ორიოდ სიტყვით ვკმაყოფილდები“.

ამავე წერილიდან ჩანს, რომ მუშაობდა ისეთი დატვირთვით, რომ შიშით აღნიშნავდა: „რუსთაველი მაიძულებს გადავტვირთო ხელი და მეშინია მისი გადაღლისო“.

სამუშაოს დასრულებას ბალმონტი 1916 წლის ბოლოსათვის ვარაუდობდა, ვერ ასწრებდა და ჩქარობდა; პოემის ყოველი ახალი თავის თარგმნას მოჰქონდა სიხარული და სიმსუბუქე, სიახლოვე თბილისთან, რომლისკენაც ასე მიისწრაფოდა პოეტი.

მიღწევებსა და სიძნელეებზე, მომავლის გეგმებსა და შეხვედრებზე ბალმონტი წერილით ესაუბრებოდა თავის ქართველ მეგობრებს. პასუხად მათგან გულთბილ და საქმიან ბარათებს ღებულობდა. აი, ერთი მათგანი:

„ძვირფასო კონსტანტინე დიმიტრის ძევი!

ალტაცებით წავიკითხე ჩემდამი თქვენი წერილი და დაუყოვნებლივ გიპასუხებთ, რომ თქვენი ლექციების ორგანიზებას ჩვენ თვითონ შევძლებთ და წარმატებაც უეჭველი იქნება. ამავე აზრისაა თამარიც (იგი ჩამოვიდა და ჯერაც შეუძლოდა, მაგრამ თქვენს ჩამოსვლამდე ეცდება განიკურნოს და შეგვხვდეთ კეთილი და მხიარული), გიგოც მზად არის ჩემთან ერთად შეუდგეს თქვენი ლექციების ორგანიზაციის საქმეს. თბილისის ყველა რედაქციას ჩვენ უკვე შევატყობინეთ თქვენი მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ. რაც შეიძლება ჩქარა გარკვევით თბილისში თქვენი ჩამოსვლის ზუსტი დღე, რომ ადრევე ვიზრუნო როგორც თქვენს საცხოვრებელ, ისე ლექციების ჩასატარებელ ადგილზე...

ამრიგად, ჩვენ ველით თქვენგან შემდგომ განკარგულებებს და ცნობებს. ყველა თქვენი მეგობარი ალტაცებულია თქვენთან მომავალი შეხვედრის მოლოდინით.

თამარი, გიგო, ქართველიშვილი, მე და სხვები გიგზავნით მხურვალე სალამს. შესვედრამდე.

ერთგული სანდრო“.

თარგმანზე ხანგრძლივმა მუშაობამ ბალმონტი ისე დაახლოვა „ვეფხისტყაოსანს“, რომ ფიქრობდა ვერ შეურიგდებოდა მის დასრულებას, ეს მისთვის სიამოვნების დათმობას ნიშნავდა.

„საბოლოოდ ჩავწედი მშვენიერი საქართველოს უტყბილეს წყაროს. ახლა ჩემთვის შრომა კი არა, ნამდვილი სიხარულია, გადმოვიცე რუსულ ენაზე ეს მგზნებარე სტრიქონები“,—წერდა იგი. მუშაობის დამთავრებას ააღდა ისეთი სიხარულიც, რომელიც მას ყველაზე ძვირფას ჯილდოდ მიაჩნდა. ფიქრი წინ უსწრებდა: ეხატებოდა მომავალი, როცა იგი თავისი შრომით ქართველების წინაშე წარსდგებოდა: „საქართველო მე ტრიუმფს მომიწყობს, როცა ვეახლები რუსთაველის ჰანგების გვირგვინით... ეს იქნება მოვლენა და როცა ვფიქრობ, რომ ხელში ავიღებ ჩემს შრომას და წარვდგები ქართველების წინაშე, ვფითრდები და ვტირი, როგორც რუსთაველის გმირი“.

პოემის ყოველი თავის თარგმანის დასრულებას ბალმონტი

ქართველ მეგობრებს ატყობინებდა, მათთან ერთად გეგმავდა საქართველოში თავისი სტუმრობის დღეებს. უნდოდა თბილისში ჩამოსვლამდე მოესწრო და წიგნად გამოეცა თარგმანის 10 თავი. დიდ დროსა და ენერგიას ანდომებდა მისი ბექედის ორგანიზაციას, კორექტურას, მუდმივ კონტაქტში იყო წიგნის გამომცემელ მიხეილ საბაშნიკოვთან.

1917 წლის ზამთარი ბალმონტმა მოსკოვში გაატარა. საქართველოში წასვლა ახლა უკვე გაზაფხულისათვის იყო სავარაუდებელი. თარგმანი ჯერ კიდევ საჭიროებდა დახვეწას, შესწორებას. მთელი დღის ნამოღვაწარს ბალმონტი სალამოს ოჯახის წევრებს აცნობდა. ხარობდა, როცა არაქართველი მსმენელი იხიბლებოდა პოემით. ამ კითხვის დამაწრე მხატვარი ლევ ბრუნი მოსმენილის შთაბეჭდილებით ხატავდა სცენებს რუსთაველის პოემიდან. ასე შექმნა მან ნახატი აკვარელით: „ავთანდილის ნადირობა“ და „ტარიელის ტირილი“. 1916 წელს პეტროგრადში მოწყობილ გამოფენაზე „ხელოვნების სამყაროში“ წარმოდგენილი იყო ორივე სურათი. ისინი შეუსყიდია ვინმე ქართველს.

* * *

წმინდა ნინოს დღის აღსანიშნავ ტრადიციულ დღესასწაულზე, 14 იანვარს მოსკოველმა ქართველებმა პოეზიისა და მუსიკის სალამო ჩაატარეს. კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოსკოველმა ინტელიგენციამ მოიყარა თავი. ცხადია, იყო ბალმონტიც. ფეხზე ადგომით შეხვდნენ მის მოსვლას.

სალამოზე პირველად იქნა შესრულებული ნაწყვეტები დიმიტრი არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ხალხურ სიმღერებს ქართველ სტუდენტთა ჯგუფი ასრულებდა ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ რჩეული ადგილების თარგმანი გააცნო დამსწრე საზოგადოებას, ხოლო ალტა ცეხულ შეძახილებს ექსპრომტი მოაყოლა:

Я думал, тверд я, как кубин,
Как дуб, как имя Константиин,
Но пред грузинном и грузинкой
Я таю нежною снежинкой,
Теперь уж времена не те —
Не Константиин я, а Котэ.

სალამოს შემდეგ „ქართულმა საზოგადოებამ“ გრანდიოზული ბანკეტი მოაწყო. ამის შესახებ კვლავ სერგო კლდიაშვილი გვიამბობს. ტიციან ტაბიძე გამოსულა მგრძნობიარე სიტყვით. ბალმონტის მისამართით თქმული ეს სადღეგრძელო პიმნს მიაგავდა საქართველოს მზეზე შეყვარებული მზის კაცისადმიო, — გადმოგვცემს იგი. ბალმონტს მღელვარედ განუცდია მისდამი სიყვარულის და პატივისცემის ეს განცხადება, საპასუხო სიყვარულის ფიცით გადაუხდია სამადლობელი. გულწრფელი იყო ბალმონტი თავის ნათქვამში და ქართველებიც მისდამი სიყვარულში.

* * *

ბალმონტის მეგობარ ქართველთაგან უმეტესობა პოეზიის მსახური იყო; ისინიც კი, ვინც ლექსებს არ წერდა, ბალმონტს მაინც პოეტად მიაჩნდა მარტო იმის გამო, რომ რუსთაველის თანამემამულენი იყვნენ. ქართული ენის მასწავლებელი ქალი ბალმონტს ერთი თავისი ნაცნობისათვის ასე წარუდგენია. „იცნობდეთ, პოეტი მარგარიტა დონდუა“. ასეთმა წარდგინებამ აამა, მაგრამ შეაკრთო კიდევ ახალგაზრდა ქალი. მის გაკვირვებას კი ბალმონტმა პასუხად შეაგება: მე ვიცი, ჩემო ძვირფასო, რასაც ვამბობ. თქვენ პოეტი ხართ, სულით პოეტი, როგორც ყველა ქართველიო.

ქართველ მეგობარ ქალთაგან ბალმონტისათვის ყველაზე ძახლობელი თამარ ამირეჯიბი-ყანჩელი იყო. მისი სათნოება და გონიერება რუსმა პოეტმა თავისი შთაგონების წყაროდ აქცია.

ყველა ბედნიერი და სამახსოვრო დღე საქართველოში ბალმონტს თავის მეგობრებთან და თამართან ერთად ჰქონდა გატარებული. რუსთაველის პოემის თარგმანის პირველი თავები შესაფასებლად და განსასჯელად ბალმონტმა თამარის გულსა და ხელს ანდო. მის ნახვას მოწყურებული იგი დეპეშით იწერებოდა ხოლმე: „გამომეხმაურე, ალერსი მწყურია“

ყველა ბრწყინვალე ადგილი, რომელიც ბალმონტმა შეძლო შეექმნა თარგმანში, ამ ქალის თაყვანისცემით იყო ნაკარნახევი. მათ ურთიერთობას მშვენიერების ნიშანი არ მოჰკლებია.

ნაზი ლირიკის ნიმუშია ბალმონტის წერილები თუ დეპეშები ამ ქალისადმი. მრავალი ლექსი უძღვნა მას პოეტმა:

ყველაზე დიდი მათ შორის ისევ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი იყო. ჩქარობდა, რადგან თბილისიდან მისი მძიმე ავადმყოფობის ცნობები აღწევდა. „თამარ ყანჩელი თურმე ისე ავადაა, რომ სათუთა, მოვასწრებ თუ არა საჩუქრად მივართვა „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი“, — სწერდა ბალმონტი მეუღლეს.

ქართველ მეგობრებთან მიწერ-მოწერაში საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბალმონტი გვიან გაზაფხულზე ადრე ვერ ჩავიდოდა თბილისში. ამ დაგვიანებას ბალმონტი განიცდიდა და კვლავ რუსეთის შორეულ ქალაქებში ლექციების წასაკითხად გამგზავრებული სწერდა ელენე ცვეტკოვსკაიას: „თუმცა თბილისი აქედან ორ ნაბიჯზეა, მაგრამ იქ გამგზავრება მეოთხედ გადავდე. შენ შესანიშნავად იცი, რას ნიშნავს ეს ჩემთვის და როცა მეხუთედ დავაპირებ, ვერაფერი და ვერავინ ველარ დამაკავებს უკვე. ღმერთმა ქნას, გვიანი არ იყოს. თუ თამარს ცოცხალს ვერ მივუსწარი, ეს იქნება გამოუსწორებელი დანაშაული“.

• • •

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ბალმონტმა 1917 წელს დაასრულა და საქართველოსკენ გამგზავრების სამზადისს შეუდგა. ყანჩელებს წინასწარ შეატყობინა თავისი ჩამოსვლის დღე. ივნისის შუა რიცხვებში ბალმონტი თბილისს ეწვია. ეს მისი მესამე სტუმრობა იყო. მას სიხარულიც მოჰქონდა თან და შიშიც — როგორ დახვდებოდა მეგობარი ქალი. შიში გამართლდა. მის ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე თამარი ძლიერ ცუდად შექმნილიყო და ბორჯომში წაეყვანათ. თამარის ძმა გიორგი ამირეჯიბი შეეგება ჩამოსულებს და ყანჩელების სახლში შეუძღვა. აქ მიაკითხეს ძვირფას სტუმარს გრიგოლ დიასამიძემ და ტიცთან ტაბიძემ.

ბალმონტის საღამოების ჩატარების ორგანიზაცია მეგობრებმა ითავეს. დავალებები განაწილდა.

ჩამოსვლის დღიდანვე საპატიო სტუმარს არ სცილდებოდნენ ტიცთან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და ალექსანდრე აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე, იაკობ ნიკოლაძე და შალვა აფხაიძე, სიმონ ჩიქოვანი და სანდრო.

შანშიაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სერგო კლდიაშვილი, ვა
ლერიან გაფრინდაშვილი და ალიო არსენიშვილი, გრიგოლ დი-
ასამიძე და გიორგი ამირეჯიბი.

გიორგი ლეონიძეს ბალმონტთან შესვენდრების შესახებ მო-
გონების დაწერა სურდაო, — გვწერს პირად წერილში ნინო
ბრუნე, სამწუხაროა, არ დასცალდა.

16 ივნისიდან თბილისში ბალმონტი რუსთაველის სალა-
მოებს მართავდა.

ზაფხულის თბილისის მოუხიბლავს პოეტი სიმწვანით, ყვა-
ვილებით, ხალხის სილამაზით. ხალხის, რომლითაც საესე იყო
ახალი კლუბის დარბაზი ბალმონტის იქ გამოსვლის უამს.

საღამო საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. დარბაზი ვერ იტევ
და ყველა მსურველს. ბალმონტს ოვაციებითა და ტაშით შეე-
გებნენ. პოეტი ოდნავ დაღვრემილი იყო მაინც. „ვკითხულობ-
დი და ვლაპარაკობდი ამაღელვებლად. — ვკითხულობთ ამ სა-
ღამოს შესახებ მის წერილში ანა ივანოვასადმი, — ჩემს სულ-
ში კი სიცარიელე სუფევდა. საღამოზე არ იყვნენ ჩემი ახლობ-
ლები, არც შენ, არც კატია, არც თამარი“.

სევდა თან დაჰყვა დიდ სიხარულს. რამდენი მშვენიერი
ოცნება გასჩენია ბალმონტს ამ დღის მოლოდინში და ახლა,
როცა ფიცგაუტეხელი და ვალმოხდილი იდგა მისთვის საყვა-
რელი ხალხის წინაშე, „რუსთაველის ჰანგების გვირგვინით“
ხელში, გულს სიხარულის ღონე მოჰკლებოდა. თამარ ყანჩელი
სასიკვდილო სარეცელზე იყო მიკრული.

ავადმყოფის სანახავად ბალმონტი ბორჯომს გაემგზავრა.
ბალმონტის ნახვას თამარიც ესწრაფოდა, ექიმებს ვეუდრებო-
და სტუმრის მოსვლამდე როგორმე მაცოცხლეთო. „ჭერ ცო-
ცხალია, მაგრამ სიკვდილი მის ახლოსაა, — წერდა ბალმონტი
მასთან შეხვედრის შემდეგ. — იგი სულ წევს და ხელში ძლივს
აილო „ვეფხისტყაოსნის“ ჩემი თარგმანის ხელნაწერი“.

თამართან ახლოს რომ ყოფილიყო, ბალმონტი ბორჯომში
დარჩა. იქ მართავდა საღამოებს. დღისით განცილდ ტკივილს
ვერ აქარწყლებდა საღამოებზე ტაშის გრიალი და ოვაციები.
ბალმონტი მაინც ბევრს ასწრებდა: გამოდიოდა ლექციებით
ბორჯომში, წაღვერში, თბილისში. ბექდავდა წერილებს საქარ-
თველოს გაზეთებში. ამ დროს ეკუთვნის მისი ლექსი - -

К Грузии

Горы учат смелой силе,
Быть бесстрашным на черте,
Где легко, стремясь к мечте,
Отступиться в темноте.

Горы Солнце заслонили,
Все же Солнце в высоте,
Показавшись на хребте,
Вдвое ярче в красоте.

Горы — храм в снежисгой пыли,
Эти скалы, те и те,
Восходя, перста к версте,
Мчат стрелюю дух к мечте.

Горы — сон и сказка в были,
В полноправии, в полноте,
Правда в Божьей нагоде,
Мертвый воин на щите.

Слышишь шорох веших крылей?
Видишь росы на листе?
Эго д,ли в слепоте
Ищут слова о Христе.

II

В объеме Мира, в душе Поэта
Есть радость Ночи, и счастье света
И завязь лилий, и вязь созвездий
Цветут содружно и без возмездий.

В охвате Солнца, в очах Поэта
Христос проходит близ Магомета,
И оба слышат, как вторят струны
Что верны звезды, и правы Луны

III

Сердцу вольно в тесной узе.
Ес.и уза есть любовь,
Мысль моя, не прекословь,
Скуй любовью вновь и вновь.

С милой я навек в союзе.
О, любовь, ты сладость сна.
Ты невеста и жена,
Взлет к звезде, провал без дна.

Сердце бьется в нежной узе.
Я в глаза твои смотрю,
Сам заря, твою зарю
Разжигаю и горю.

Нет двух Солниц, и нет двух Грузий
Чтоб была меж стран стена,
Где всегда в сердцах весна,
В мире Грузия — одна.

ივნისის დამლევს ბალმონტის წერილი „სალამი კავკასიას“ გამოქვეყნდა ალ. ყანჩელისა და გ. დიასამიძის მიერ დაარსებულ გაზეთში „საქართველო“.

„მე მთიელი ვარ!“ — კალდერონის ამ ფრაზით იწყებდა ბალმონტი თავის მიმართვას და განაგრძნობდა: — როცა მზე ახალი დღისკენ მოემართება, პირველი მისი სხივი მთის მწვერვალებზე დაცურავს. განთიადის ყველაზე ნაზი ბრწყინვა მთებს ეკუთვნის.

მთებზე ყოვნდება დღის უკანასკნელი შუქი, და როცა ველთა სამყარო ღამის შავი ჩრდილებითაა შემოსილი, მთებში ალპიური განთიადის ელვარე ფერი ღვივის.

მთის მწვერვალებს ადამიანის სული ზეცაში აპყავს, უნერგავს მას წინსვლის მისწრაფებას. არწივებთან, ვარსკვლავებთან და ელვასთან ანათესავენს. თვით სიტყვა — მწვერვალი — ჩვენს მეტყველებაში უკიდურეს მიღწევაზე მიანიშნებს. რომ მივუთითოთ რაიმე არა მაღალზე, არამედ აღმატებულზე, ვამბობთ: მწვერვალი. ჩვენ აღვნიშნავთ: შექსპირი ინგლისური გენიის უმაღლესი მწვერვალია. ჩვენ ვიცით, ბეთხოვენის „მეცხრე სიმფონია“ და სკრიაბინის „ექსტაზის პოემა“ მაღალი არსის, მუსიკალური გენიის მწვერვალებია.

მთის ხეობები, მთის მწვერვალები ყოველთვის იყენენ თავისუფლების ნავთსაყუდელი, დაუთრგუნავ სულთა საბუდარი. როცა მავრებმა მთელი ესპანეთი დაიპყრეს, მხოლოდ ასტურიის მთებში არ ცხრებოდა დაუმონებელთა მამაცი რაზმი. ამ მთებიდან, საიდანაც ნისლის ფანტელები მრისხანე ღრუბლებად შეკრულნი ეშვებიან, ელვით, გრგვინვითა და ზათქით გადმოვიდნენ უშიშარი მოლაშქრენი, გაათავისუფლეს მშობლიური ესპანეთი და მტერი აფრიკაში უკუაგდეს.

ასევეა კავკასიის მთებშიც. აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ლამაზი ხალხი, რომელსაც თავისუფლება უყვარს.

ვერ ჩამოვთვლა ყველას, მაგრამ ვიცი, რომ ყველა კავკასიელი მამაცი, თავისუფლებისმოყვარე, ლამაზი და დიდსულოვანია.

ვამბობ — აფხაზები და მომესმის მათი მკლერი მეტყველება...

ვამბობ — იმერლები, მეგრელები და წარმომიდგება აშოლ-ტილი ტანის ლამაზსახიანი ადამიანები.

ვამბობ — გურულები და გულს ახალისებს მოგონება, რომ კეთილშობილებათა თავისუფლებისათვის ბრძოლა.

ვამბობ — კახელები, ქართლები და მზე ყვავილობს ჩემს გულში, სიმღერა კრთის ჩემს ბაგეზე...

იცხოვრეთ ბედნიერად, თავისუფლებაში ორმაგად თავისუფალნი და თავისუფალ რუსეთთან ნებაყოფლობით კავშირში მთელი თქვენი ცხოვრებით აღიდეთ თქვენი იშვიათი სილამაზე!“

და ასე, ლექსსა თუ გამოსვლაში ბალმონტი ქებას უძღვნიდა ჩვენს ხალხს და ქვეყანას. ეს სიტყვები მისდამი სიყვარულს ზრდიდა ქართველებში.

ზეიმი მაინც ცრემლიანი იყო — 9 ივლისს თამარი დაკრძალეს. დიდ სამგლოვიარო პროცესიას ბალმონტიც ახლდა და თამარისათვის მისგან მირთმეული გვირგვინის თეთრ ბაფთას ეწერა: „საუკეთესო ქართველ ქალს, თამარ ყანჩელს, ბალმონტისაგან, რომელმაც რუსთაველის მთელი პოემა მის საპატივცემულოდ ააუღერა რუსულ ენაზე“.

თავისი მძიმე განწყობილება პოეტმა ლექსად გადმოსცა და ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა სათაურით:

Имени Тamar Канчели

Для меня опустела Картвелия,
Мой светильник погас, догорев.
Для кого же принес Руставели я,
Облаченного в русский напев?

Ты сняла мне розою черною,
Мой красивый, мой ласковый друг,
Но расцветность воздушно — пагорную
Опалил многопламенный юг.

Ты была мне струной сладкозвонною,
Ожерельем играющих строк,
Я тебя, красота, усыпленную
Облекаю в последний венок.

ბალმონტი პოეზიას „ჯადოსნობად“ თვლიდა. იგი თავისი შემოქმედებით ადამიანის სულში სილამაზისა და სიყვარულის გრძნობის აღზევებას ემსახურებოდა.

კითხულობდა ლექციებს და მათ თემატიკას აუდიტორიის დონის მიხედვით როდი ადგენდა. პაგალითად, ციმბირში ჩატარებული სადამოების შესახებ თავის მეუღლეს სწერდა: დამსწრეთა სამ მეოთხედს არც კი ესმის ჩემი ნათქვამი და მაინც გულისყურით უსმენენ, როგორც ზლაპარს, როგორც მუსიკას და ეს კარგია. რადგან ადამიანები უნდა მიეჩვიონ სილამაზესო.

ბალმონტის მიღწევაც ის იყო, რომ ადამიანთა ყოველდღიურობაში თავისი მღელვარებით საზეიმო განწყობილების შეტანა შეეძლო. ბალმონტს იდეალად ადამიანის სულის სიფაქიზე, მისი სიკეთე, გრძნობათა სილამაზე და სიყვარული ჰქონდა და დასახული.

ფაქიზად, როგორც ყვავილი, გამოჰყავდა მას ყოველი გრძნობა, ბედნიერი იყო მისი ხილვით. „მე მახალისებს, რომ ასე დიდია ჩემი წარმატება და გველენის სიღრმე ცალკეულ ადამიანთა გულებში. მიხარია ვხედავდე და ვგრძნობდე ამ სიყვარულს. ღირს, ღირს ცხოვრობდე, იტანჯებოდე და მუშაობდე სიყვარულისათვის“. აი, რაში ხედავდა ბალმონტი თავისი დიდი შრომის საზღაურს.

ყველაფერს, ნანახს და ნაგრძნობს, ბალმონტის პოეზიაში გამოძახილი ჰქონდა და არა იმიტომ, რომ ის დანაწევრდა და იყო, როგორც მასზე ხშირად ამბობდნენ, „წუთიერების მომღერალი“, პოეტ ვიაჩესლავ ივანოვის თქმით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოხატული ალტაცების დროსაც ბალმონტი თავის თავში და სამყაროში განამტკიცებდა მზიურ ენერგიას, რომლის უკან ღვთაებრივი სიყვარული იდგა. „ბალმონტის სახით,—განაგრძობს იგი,—ჩვენ საქმე გვაქვს ზნეობრივ და საზოგადოებრივი საწყისების არა დამანგრეველ ძალასთან. არამედ ენერგიასთან. ყოფას და მოქმედებას ღრმად რომ ამ კვიდრებს“¹.

¹ Газ. «Речь», 1912, 24/III.

ბალმონტი უარყოფდა სიძულვილს, უხეშობას, ულაზათობას და თავისი მზიური პოეზიით ცდილობდა ადამიანები კაცობრიობის მაღალ იდეებთან დაეახლოებინა.

ადამიანში ლამაზი და მაღალი გრძნობის განმტკიცებას უძღვნა ბალმონტმა თავისი პოეტური ხმა. ამიტომ უწოდა მას ს. ა. ვენგეროვმა „Поэт вещи“ -ი. ბალმონტმა გაზარდა პოეზიის სამყარო, ადამიანის სულიერი სამყარო აქცია მის საგნად.

ჭარბი იყო ბალმონტთან გრძნობა. ეს იყო მისი სათქმელი. მისი მიზანი. „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ თარგმანშიც გრძნობა არის ყველაზე მეტად წინ წამოწეული. ამიტომ დაჰკრავს მას ბალმონტისეული სინაზისა და რომანტიკის ჭარბი ელფერი.

ა. ბელიმ რუსულ პოეზიაში ბალმონტის შესვლა ასე დახატა.

«...И заглянулся к нам
Голубеющий бархат эфира...»

ამავე მსუბუქი ფრთებით შეიყვანა ბალმონტმა რუსულ პოეზიაში რუსთაველის ჭავჭავიანი სიტყვა.



საქართველოდან სამხედრო გზით ბალმონტი მინერალური წყლების მხარეში გაემგზავრა. ხელშეკრულების მიხედვით. რომელსაც კვლავ დოლიძის დახმარებით ახორციელებდა, მალექცია-სალამოები აქაც უნდა ჩაეტარებინა.

ქართველი მეგობრები უკვე შორს იყვნენ. სასურველ ნაცნობთაგან მის გვერდით ახალგაზრდა კომპოზიტორი პროკოფიევი და პოეტი თუმანიანი იყო. მათ ძველი შეხვედრები მოიგონეს. ბალმონტი. სევდით და სიყვარულით ლაპარაკობდა საქართველოზე, მის მზეს და სითბოს ეძებდა ყველგან, პროკოფიევის მუსიკაშიც. თუმანიანთან საუბარშიც. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის მოსასმენად ორივე სშირად ესწრებოდა ბალმონტის საღამოებს. აქ ისევ მგზნებარედ გაისმოდა პოეტის სიტყვები ქართულ პოეზიაზე, რუსთაველზე, საქართველოზე. რუსთაველის სახელი თანამედროვე და ახლობელი ხდებოდა ყველასათვის.

ბალმონტის ლექციები ჩრდილო კავკასიაშიც დიდი წარმა-

ტებით მიმდინარეობდა. იყო შემთხვევები, როცა მუშათა გაფიცვების გამო იგი გადაუდიათ, მაგრამ დანიშნვის შემდეგ მის მოსასმენად კვლავ ზღვა ხალხი იყრიდა თავს. ბალმონტი რუსთაველის სახელს დღითიდღე უახლოვებდა რუსი მკითხველის გულს.

ბალმონტის ღვაწლს ქართველები დიდად აფასებდნენ. 1917 წლის 10 ოქტომბერს ქართველ მწერალთა პირველი კონფერენციის პრეზიდიუმმა მხურვალე საღმით მიმართა ბალმონტს. მიმართვას საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი აწერდა ხელს. მიმართვა შემდეგი შინაარსისა იყო: „ქართველ მწერალთა პირველი კონფერენციის პრეზიდიუმი მხურვალე საღამოს უგზავნის მზის მგოსანს, თანამედროვე რუსული პოეზიის მეფეს, ე. დ. ბალმონტს, ერთადერთს რუსი მწერლებიდან, რომელმაც გულთამხილავის ფაქიზი სულით შეძლო განეკვრიტა ქართული კულტურის მდიდარი საგანძური, შეხებოდა რუსთაველის ქნარის ღვთაებრივ სიმებს და ოქროჭედური ლექსებით დაეტკბო რუსეთი უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“.

1917 წლის რევოლუციის პერიოდში ბალმონტი მოსკოვში იყო. შრომითა და განცდებით გადაღლილი 50 წლის პოეტი უკვე აღარ იყო ისეთი აქტიური მებრძოლი, როგორც 1905 წლის რევოლუციის დროს, როცა აშენებდა ბარიკადებს, გამოდიოდა მოწოდებებით.

რევოლუციის პირობებში წამოჭრილმა პირველი რივის პრობლემებმა ყველა სხვა საქმე მომავალი მშვიდობიანი დღეებისათვის გადადო. იმსხვრეოდა ძველი წყობილება და მას ბევრი შემთხვევითი ზარალიც სდევდა თან. გამომცემლობა, სადაც ბალმონტი თავის წიგნებს ბეჭდავდა, დედაქალაქში ატეხილი ცეცხლის და ყუმბარების მსხვერპლი შეიქნა. ამ პერიოდში რევოლუციური ქალაქი დიდი სიძნელეების წინაშე დადგა. მძვინვარებდა შიმშილი, ავადმყოფობა, რუსული ზამთარი. „სიცივისაგან მას თითები გათოშილი ჰქონდა, ძლივს წერდა“, — იგონებს პოეტის მეუღლე. იძინებდნენ ქურქებში გახვეული, ტანგაუხდელი. ორი წლის განმავლობაში ბალმონტის შრომათაგან არაფერი დაბეჭდილა და სიძნელეებმა გატეხეს იგი.

რუსთაველის პოემაზე ფიქრი და მუშაობა მას მძიმე დღე-ღამეებშიც არ მიუტოვებია. 1920 წლისათვის მან შეკვეთილ დაწერა კინოსცენარი „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე; ფილმის ვადა-ღება შავი ზღვისა და მინერალური წყლების მხარეში უნდა მომხდარიყო. ამით ბალმონტს საქართველოსთან სიახლოვის კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლეოდა. მაგრამ იმედი არ გაუმართლდა.

მიჯრით მოსულმა წინააღმდეგობებმა ბალმონტი აიძულა უცხოეთში დროებით გამგზავრებაზე ეფიქრა. მან განცხადებით მიმართა განათლების კომისარს, ა. ვ. ლუნაჩარსკის და სთხოვა ნება დაერთო საზღვარგარეთ მივლინებისათვის. ა. ლუნაჩარსკის ხელმოწერით მას უფლება მიეცა საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. 1920 წლის 20 ივნისს ბალმონტი მივლინებულ იქნა საფრანგეთში.

ბალმონტი ერთხანს ბერლინში გაჩერდა. იქ ერთი ქართველი მეგობრის დახმარებით „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე დაწერილი მისი სცენარი კინოფირმამ გადასაღებად მიიღო. აქვე აირჩიეს იგი ბერლინში არსებული „რუსთაველის საზოგადოების“ საპატიო წევრად. საზოგადოებამ, რომლის მიზანი იყო ქართული კულტურის შესწავლა, გამოსაცემად მიიღო რუსთაველზე ბალმონტის ნარკვევები და ისინი პოემის ევროპულ და აღმოსავლურ ენაზე გამოცემულ თარგმანებს წაუშმძღვარა. ბალმონტის წიგნები გამოსცეს ფრანგულ ენაზეც. ამ წარმატებათა მიუხედავად, უკვე 1921 წელს ბალმონტი ოცნებობდა რუსეთში დაბრუნებაზე; მზად იყო აეტანა უკიდურესი გაჭირვებაც კი. ბალმონტის განწყობილება ამის გამო იმდენად დაეცა, რომ ლექსებს ველარ წერდა. სამშობლოს გარეთ მიღებულ წარმატებას აღარ მოჰქონდა მისთვის სიხარული. ჩემი ცხოვრება მოჩვენებას ემსგავსება, სამშობლოს მოწყვეტილი ვერაფერს ვერ მივეკედლეო, — წერდა პოეტი უდიდესი გულსიტკივილით. თუმცა ბევრი თანამემამულე მოღვაწეობდა მის გვერდით: ბერლინის სცენაზე წარმატებით გამოდიოდა სუმბათაშვილ-იუჟინი, აქ იყო ვ. ნემიროვიჩი-დანჩენკო, ანდრეი ბელი და ილია ერენბურგი, კუპრინი და ბუნინი, მაგრამ ახალს

ბევრი მათგანი აღარ წერდა. ბალმონტიც მხოლოდ ძველად დაწერილის გამოცემით კმაყოფილდებოდა.¹

ბალმონტი სამშობლოსთან სიშორემ ისე დააძაბუნა, რომ ნანობდა საბჭოთა ქვეყნის პირველ სიძნელეებს სხვებთან ერთად რატომ მეც ვერ გავუძელიო. „უცხოეთში მე სუნთქვაც მიკირსო“, — ხშირად ამბობდა იგი.

საზღვარგარეთ თავის საქმეებს ბალმონტი დიდხანს ვერ აწესრიგებდა. რუსული ემიგრანტული პრესა მას მოსაწყენად ეჩვენებოდა და მისკან შორს იქერდა თავს. დროდადრო იბეჭდებოდა ფრანგულ, ამერიკულ და იტალიურ ჟურნალებში: კითხულობდა ლექციებს სორბონის უნივერსიტეტში.

თითქოს მშობლიურის ძიებაში ბალმონტი სწავლობდა სლავურ ენებს — პოლონურს, ჩეხურს, სერბიულს, ბულგარულს; მოგზაურობდა ამ ქვეყნებში.

ბალმონტს, როგორც პოეტს, ყველგან იცნობდნენ და ხვდებოდნენ სიყვარულით. მეტად ეამა სოფიის ნახეა, ბალკანეთის მთებმა კავკასიაც მოაგონეს.

უცხოეთში დაწერილ ბალმონტის ლექსებს ატყვია საქართველოზე ფიქრის კვალი: ერთგან ის კვლავ ახსენებს უდროოდ დაღუპულ მეგობარ ქალს: „Татар, о жертвенная наша“...

ბალმონტის პოეზია ახლა უკვე სევდას გამოხატავდა. ლექსებმა დაჰკარგეს მზიური შუქი. ჩემი ერთადერთი გატაცება ახლა საოცნებო რუსეთიაო, — წერდა იგი და მისი შემოქმედების ბოლო სტრიქონებიც ოცნებად ქცეული სამშობლო ქვეყნის სიყვარულით იყო დაწერილი.

1929 წელს ბალმონტი სწერდა ლიტველ პოეტს ლუდას გირას: „...ამ დღეებში დიდი გმირობა ჩავიდინე, დიდი ნახტომი გავაკეთე—სამ დღეში ვთარგმნე თანამედროვე რუსულზე „ამბავი იგორის ლაშქრობაზე“... ეს თარგმანი ბალმონტს არ გამოუქვეყნებია და მხოლოდ 1960 წელს ლიხაჩოვმა „იგორის ლაშქრობისადმი“ მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში“ შეიტანა.

¹ ცნობები ამოკრფილია ს. პოლტორაკის წერილიდან ტატიანა შჩეპკინა-კუპერნიკისადმი (1922 წ. 25 მაისი); ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების, ბალმონტის არქივში.

საზღვარგარეთ ბალმონტი ძალიან ბევრს მუშაობდა. დარღს ანტენსიური მუშაობით ახშობდა.

ბალმონტის პოეტური მემკვიდრეობიდან ოცამდე წიგნი მაინც დარჩა გამოუქვეყნებელი.

პოეტს მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დარჩა. ააწილი ამ მიწერ-მოწერისა (ქართველებთან) ინახება თბილისში, კ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში /საკმაოდ ბევრი მასალაა დაცული მოსკოვის ხელოვნებისა და ლიტერატურის ცენტრალურ არქივში, ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში; ლენინგრადში — აუშკინის სასლისა და სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში; ლიტვასთან დაკავშირებული მასალები ამავე ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკისა და მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის არქივებშია დაცული.

დიდძალი მასალა დარჩა მაინც საზღვარგარეთ. იგი გაფანტულია საფრანგეთსა და აშერიკაში. მათი უმისამართობის ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ 1924 წელს ბალმონტს პარიზის ერთი არქივისათვის შესანახად გადაუცია ბევრი ნივთი, ძირითადად წიგნები და პირადი საბუთები. არქივის გამგებლობას პატრონის გაუფრთხილებლად საჯარო ვაჭრობის წესით გაუყიდა ისინი. ბალმონტმა ამის თაობაზე გამოაქვეყნა განცხადება პარიზის გაზეთში „Последние новости“ 1930 წლის 12 დეკემბერს. ამ განცხადებაში იგი მიმართავს მკითხველს, მიაგნებინოს დაკარგული ნივთების კვალი. წერს, რომ ეს ნივთები მისი ცხოვრების ცოცხალ ნაწილს წარმოადგენს.

თავისი ავადმყოფობისა და ეკონომიური სიღიწროვის უამს ბალმონტს ვადასახადში ხელნაწერებს ართმევდნენ. ამგვარად, დიდძალმა მასალამ მოიყარა თავი ს. მ. ლიტვარის ხელში, რომელიც ამჟამად სამხრეთ საფრანგეთში ცხოვრობს. ბალმონტის სიკვდილის შემდეგ უკიდურეს გაჭირებაში მყოფ მის ქალიშვილსაც (მირას) ბინის ქირის გადაუხდელობის გამო გამოართვეს მამის ხელნაწერთა მთელი კალათა. არიან ისეთებიც, რომლებიც მოწიწებით ინახავენ პირად არქივში ბალმონტის მათდამი მიწერილ წერილებს. ერთმა ასეთთაგანმა

(ობოლიანინოვმა) 1964 წელს ნიუ-იორკიდან გადმოუგზავნა ბალმონტის წიგნი და ზოგიერთი ხელნაწერი მოსკოვში მეცნ. აკად. ლიტერატურის განყოფილებას.

არქივში დაცული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ბალმონტიცა და მისი ოჯახის წევრებიც ზრუნავდნენ პოეტის სამშობლოში დაბრუნებაზე. ვოცნებობ უდიდეს ბედნიერებაზე — მესმოდეს ირგვლივ რუსული ენაო, — წერდა პოეტი სახლში დაბრუნების სურვილით. რუსული სიტყვის ჯადოქარისათვის მარტო ეს დანაკლისიც კმაროდა, მშობლიურ მხარეში დაბრუნებაზე რომ ეფიქრა. ვინ იცის, რამდენ ტანჯვაში და ნატვრაში გამოიკვეთა ეს სათქმელი. ჩვენ ცოტა ვიცით ბალმონტის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ. მისი განცდების წარმოდგენა ანალოგიით თუ შეგვიძლია. და აქ გვახსენდება შემთხვევა ტურგენევის ცხოვრებიდან: ინგლისში, უცხო ენისა და ჩვევის გარემოცვაში მას ისე მონატრებია მშობლიური ენა, რომ ამ თავაზიანსა და ნატიფ რუს ინტელიგენტს პირველი კლასის ინგლისურ რესტორანში მაგიდაზე ხელის დარტყმით რუსული სიტყვების წამოძახება დაუწყია. „მე უნდა დავმშვიდებულიყავი რუსული სიტყვებითო“, — თავი უმართლებია დიდ მწერალს. ეს სიტყვები სრულიად უმნიშვნელო და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ყოფილა, მაგრამ რუსულ ენაზე მათ წარმოთქმაში ტურგენევი სამშობლოსთან სიახლოვის განცდას ეძებდა თურმე.

ადრე ქვეყნად სხივებად გაშლილმა ბალმონტის გრძნობამ ახლა სამშობლოსადმი ღრმა და ნაზ სიყვარულში მოიყარა თავი. პოეტის ნატანჯი გული ნუგეშს სამშობლოზე ლექსის წერაში ნახულობდა. ბალმონტმა პარიზში გამოცემული მთელი კრებული უძღვნა სამშობლოს. ყოველ ლექსში ჩანს პოეტის სალოცავად გამხდარი ქვეყანა.

Наша белая быль в драгоценные камни одета,
Наши святки — душа, наша тишь неземной глубины.

კრებულში შესული ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის სათაურია „ჩემს დედას“:

Мать моя, к тебе я с малым даром
Я твой сын, всегда тебе покорный,
Ты прими мой стих, мой эпос узорный,
Я горю, но не сожжен пожаром.

სამშობლო არ იფიწყებს თავის დეაწლმოსილ შვილებს. 1969 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ლენინ-გრადში ერთ ტომად გამოსცა ბალმონტის რჩეულ ლექსთა კრებული. წიგნს ახლავს ვლ. ორლოვის ვრცელი წინასიტყვაობა პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბალმონტისადმი მიძღვნილ ს. მოძალევსკის ლექსში (1970 წ.) ვკითხულობთ:

Волшебник песенного слова,
Неподражаем и велик,
В судьбе печальной и суровой
Грославил он звучаньем новым
Великолепный наш язык...

• • •

ჩანს, მძიმე განცდებმა ვერ გაანელა ბალმონტის სულში ქართველი გენიოსისადმი ერთხელ დანთებული სიყვარული. უცხოეთშიც თან ახლდა ოცნება — ქართველი ხალხისადმი თაყვანისცემა და საპასუხო სიყვარული დიდი პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის შექმნითა და გამოცემით გამოეხატა. ახლა ის შორს იყო საქართველოდან, მაგრამ გული მაინც დანაპირების შესრულებას სთხოვდა. ახსოვდა თავისი აღთქმა. ბალმონტი პირნათელი იყო ფიცში.

უცხოეთში მრავალი წლის შრომით აღებული ჰონორარი მან „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემისათვის გაიღო. გამოქვეყნებისათვის იმ სტამბას მიმართა, რომელსაც ქართველი დავით ხელაძე უძღვებოდა. ამ საქმეში მის ერთგულებას ენდო. „ვიცი, — ვკითხულობთ ალ. სავჩენკოს წერილში, რომელიც პოეტის ქალიშვილმა ნინო ბრუნიმ პარიზიდან მიიღო, — დათიკოს ძალიან შეუყვარდა რუსი პოეტი. ერთხელ, როცა წავიკითხე ბალმონტის ლექსი, მან მეტად შესამჩნევი ქართული აქცენტით წარმოთქვა — დიახ, ის ნამდვილად მბრძანებელი იყო“.

„ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის სრული ტექსტი პირველად პარიზში გამოიცა 1933 წელს. წინასიტყვაობა ალ. სვანიძემ დაურთო. ამ შრომისათვის ბალმონტს ჰონორარი არ მიუღია. უსასყიდლოდ გამოუგზავნა იგი საბ-

ქოთა ქვეყანას. ერთი წიგნი წარწერით იოსებ სტალინს, როგორც ქართველს, უსახსოვრა.

პარიზულ გამოცემაზე ბალმონტის თარგმანის ერთი არასრული გამოცემა 1917 წელს, მოსკოვში მ. საბაშნიკოვის გამომცემლობამ გამოაქვეყნა. ხოლო 1935 (ალ. სვანიძის ინიციატივით), 1936 და 1937 წლებში ბალმონტისეული თარგმანის სრული ტექსტი გამოიცა თბილისსა და მოსკოვში.

1917 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული არასრული თარგმანის გამოცემით პოემის რუსული ვერსიის ახალი ეტაპი დაიწყო. ბალმონტის შრომით რუსთაველმა რუსულ ლიტერატურაში ღირსეული ადგილი დაიკავა.

რა თქმა უნდა, ბალმონტამდეც იყო შრომები, რომელთა რუსი ავტორები პოემისა და საქართველოსადმი კეთილგანწყობით წერდნენ:

«Кавказ край чудес и в прямом и в переносном значении слова... Грузины — замечательный, храбрый, певучий и особенно поэтический народ, живым доказательством служит знаменитый представитель их типа поэт Руставели, создавший 700 лет назад роскошную поэму, художественно сотканную им из музыки и стихов.»¹

«...Без преувеличения повторяем, что ни один язык в мире, не исключая даже итальянского и французского языков, не представляет собой такого богатого материала для выражения мысли в музыкальной форме слова, как язык грузинский, в его старом, древнегрузинском наречии.»²

ეს ლირიკული ადგილები წერილში შეზავებული იყო ჩვენი ქვეყნისა და კულტურის ისტორიის არასწორად ამსახველი აზრებით. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მრავალი დაეწაფა ახალი, „საოცრებებით სავსე მხარის“ გაცნობასა და შესწავლას. ქვეყნის კულტურულ წარსულს ზერეულედ დაუფლებული მკვლევარები უხეშ შეცდომებს უშ-

¹ ევ. სტალინსკი. „Шота Руставели груз. народ. поэт“. 1888 г., 83. 79.

² იქვე

კებდნენ და ასე აწვდიდნენ მკითხველს. ჩვენი კულტურის საკითხებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. არაიშვიათად, აღმოსავლეთზე წინასწარ შემუშავებული დაბალი აზრი და კარაზმის ველიკორუსული სულისკვეთებაც აპრობებდა.

დიდი ქართველოლოგების: მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, პლატონ იოსელიანის, მოსე ჩანაშვილის, ალექსანდრე ზახანაშვილის, ნიკო მარის და სხვათა ფუნქციონალურმა შრომებმა ნათელი მოკფინეს ჩვენი ისტორიული და ლიტერატურული წარსულის მრავალ მოვლენას... ნამდევ, თითქმის ნახევარი საუკუნე, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „...ერთი და იგივე ქექა-ქუხილი ერთსა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩოდა და დღე მუდ. უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გახედვით, მეტის სილალით ტყავს აპრობდა და წარღვნას ექადდა“.¹

ილია ვერ მოესწრო. მაგრამ აკაკიმ იცნო ბალმონტში ჩვენი კულტურის დიდი მეგობარი, იგრძნო, რომ ბალმონტი სწორად ხედავდა, რას ნიშნავდა რუსთაველი საქართველოსათვის. მისი თარგმანის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაშივე ვკითხულობთ: «Имя Руставели есть клич и талисман древней Грузии и Грузии наших дней. Шота Руставели есть святыня для каждого Грузина, кто бы он не был, царевич или пастух. В этом имени знак величия древней Грузии, когда она была могучим царством, простиравшимся от Трапезунда до Каспия, сокровищница грузинской поэтической речи, отделения душевной красоты... Будет... Руставели, пока живет Грузия и выразительный грузинский язык».

ან კიდევ.

«Народ если он великий, создает песню и выносит в лоне своем мирового поэта. Таким венценосцем в веках, еще доселе не узнанный русскими, был избранник Грузии Шота Руставели, давший в XII веке своей родине знамя и зов — «Вепхისტკაოსანი»»

¹ ი. ჭავჭავაძე, სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღალი, 1899, გვ. 20.

თარგმანის შემდეგი გამოცემის წინასიტყვაობა ცალკე მხატვრულ ნარკვევად შეიძლება ჩაითვალოს. მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთა შორის ცოტას თუ ახლავს ასეთი ალტაცებული აზრი მთარგმნელისა.

შრომა, რომელშიც ამდენი გრძნობა ჩააქსოვა ბალმონტმა, უძღვნა საქართველოს. მან ბოლომდე დაამტკიცა რუსთაველისადმი თავისი სიყვარულის უანგარობა.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის კრიტიკა სრულ უფლებებში თარგმანის ტექსტის მთლიანად გამოქვეყნების შემდეგ შევიდა. მანამდე მხოლოდ მოსმენილით მიღებული შთაბეჭდილების გამო ეურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...თარგმანში ცივდება მისი (მხატვრული სახეების) ცხოველი ფერები... გვგონია, რომ ბალმონტის თარგმანში ოდნავ მოქარბებული უნდა იყოს ლირიზმი... თარგმანი ლამაზია, მაგრამ ზოგან მეტად თავისუფალი... პოეტური ენა ბალმონტისა მეტად მდიდარია, მისი მეტაფორები და ეპითეტები გაცილებით უფრო მრავალმხრივია, შეიძლება, ვიდრე რუსთაველის მხატვრული ენა, მაგრამ საკითხავია, რომელი მოახდენს მეტ ფექტს“¹ და სხვა.

ყოველ კრიტიკოსს ცალკეულად არ შეევეხებით, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი იმეორებს კიდევ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას; ჩვენ დავაჯგუფებთ იმ პრეტენზიებს, რომელსაც გამოთქვამენ ბალმონტის თარგმანის მიმართ.

თითქმის ყველა კრიტიკოსი გამოთქვამს საყვიედურს იმის გამო, რომ ორიგინალის ტექსტი ბალმონტს თავისი სურვილისამებრ აქვს გააზრებული.

ორიგინალის მთელი ფილოსოფიური კონცეფცია ბალმონტმა მიაფუჩეჩაო, — წერენ ს. ჩიქოვანი და მ. რილსკი.

ბალმონტმა შეცვალა პოემის სტილიო. — აღნიშნავს

¹ უავტორო, ვეფხისტყაოსანი რუსულად, ეურნ. „განთიადი“, 1915 წ., № 16, გვ. 28.

ა. ორლოვი, ხოლო ი. ანდრონოვი თარგმანის ნაკლოვანებებს ბალმონტის სიმბოლისტობით ხსნის. მან დაამახინჯა რუსთაველის აზრიო, — შენიშნავს იგი.

თარგმანის სიზუსტეზე არც ბალმონტი დებდა თავს. თავის შრომას იგი „ვეფხისტყაოსნის“ გადამღერებას უწოდებდა.

დაამახინჯა აზრი და მისი გამომხატველი ფორმაცო, შენიშნავენ მთარგმნელს, რადგან, „დიდი ოსტატობის მიუხედავად“, იგი უფრო ლექსის გარეგნობაზე ზრუნავდა და სიტყვაფერადოვნებით მოხიბლული დალატობდა პოეტურ უბრალოებას, განცდის ალალმართლობას, ბუნებრიობასო.

როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ბალმონტის ლექსს, კ. ჩუკოვსკის გამოთქმა რომ ვინმართ, აქვს შესანიშნავი მანერები. ლამაზი პოეტური სახე ბალმონტს შეცვლილი აქვს ლამაზი გამოთქმით, ორიგინალური აზრი— ორიგინალური ფრაზით; მან მოხიბლა მკითხველი თავისი ლექსის გარეგნობით, მრავალსიტყვაობაში დაიკარგა ესთეტიკური ეკონომიურობა. ამ თვისებათა გამო, ჩანს, შემთხვევით არ ადარებდნენ ბალმონტს „მშფოთვარე ვეზუეს, რომელიც მხოლოდ ბამბად იფრქვევა“.

„...ჩნდება ნაპრაღი ფორმასა და შინაარსს შორის, ფორმა შინაარსს ჩაგრავს, — წერს მ. საყვარელიძე და იქვე დასძენს: — ვერავითარი მთარგმნელი შოთას ვერ გააკვირვებს სიტყვის თამაშით, მოხდენილი რითმით, ტექნიკის ჯადოქრობით... მის ხელში (იგულისხმება ბალმონტი — ლ. ა.) სიტყვები, თქმანი, შედარებები თასმასავით მოქნილია, მაგრამ რუსთაველის შემოქმედებაში ეს პოეტური ხერხები ორგანულად, სისხლხორცეულად შეზრდილია შინაარსში, იდეალში, ათასნაირად აფერადებული შეხეფები ბგერებისა თუ სიტყვებისა უწესრიგო წინწყლებად კი არ იკარგება პოემაში, არამედ სიმეტრიულ შადრევნებად გადმოდის. ფორმა და შინაარსი აქ ერთსხეულია და ერთარსება. სიტყვიერი მასალა და პოეტური ხერხი შეხამებულია შინაარსთან, სიუჟეტთან, ამა თუ იმ გმირის თავისებურებასთან. ბალმონტის თარგმანში კი ვხედავთ გარეგანი ეფექტებით გატაცებას, რაც მკვეთრ სურათებს, სახეებს, ეპიზოდებს ფოლადის ნაკვდობას ართმევს“.

კ. ზელინსკის ბალმონტის თარგმანის მონოტონური ელფრადობა დამქანცავად მიაჩნია.

ბალმონტს ელავებოდნენ რითმის საკითხშიც. კ. ქიქინაძე და შემდეგ ანდრონოვი დაახლოებით ერთი და იგივე აზრს გამოთქვამდნენ: „შინაგანი რითმის ძიებაში მთარგმნელი მცირე ნაგლეჯებად ჩეხავს რუსთაველის ფართოდინებიან სტრიქონებს, რომელთაც არ ახასიათებთ დაყოვნება ატრიქონთა შიგნით“.

უკლებლივ ყველა კრიტიკოსი მიუთითებდა რითმაზე. ბალმონტის თარგმანში მის უპირატესობაზე და თუ ბუალო აღნიშნავდა, რითმა მსახურია და პოეტმა არასდროს მას თავი არ უნდა ამონოსო, ბალმონტმა დაარღვია ეს წესი, რითმას მან მსხვერპლად მოუტანა ქართული პოემის სხვა ღირსებები.

აკაკი გაწერელია აღნიშნავს, რომ რუსთაველმა შეგნებულად უარყო ჩახრუხადის ხოტბების შინაგანი რითმა, რომლის მხრივ კი მთელი პოემა ამით დატვირთა, რითაც ინტონაციის მხრივ არსებითად საწინააღმდეგო შედეგამდე მივიდა. შინაგანი ბგერითი ტაქტოლოგია დადგა რუსთაველური სიტყვების მშვენიერი სისადავის და თხრობის ეპიკური კილოს სანაცვლოდ.

გულისტკივილით აღნიშნა, რომ რუსთაველის ბრძნული გამონათქვამები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სიტყვაპიტყვითაა გადატანილი, მაინც წყალწყალაა და გათქვეფილია თარგმანში. ამ საკითხში, შესაძლოა, ყველა მთარგმნელი მოაკოტლებდეს, მაგრამ გ. ცაგარელს მიაჩნია, რომ ბალმონტი ათ შორის ყველაზე სუსტია.

„...ბალმონტის თარგმანში და უფრო კი კითხვაში დიდი ადგილი უჭირავს პათოსს, მაშინ როდესაც რუსთაველის პოემაში თუ არის პათოსი, ისიც რაც შეიძლება წყნარი და ბუნებრივია და არა ხელოვნური, რასაც ადგილი აქვს თარგმანში“, — შენიშნავდა ნ. მარი.

კამათი წარმოებდა სათაურის თარგმანის გარშემოც 1916 წელს კრებულ „ოტეჩესტოში“ გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის ნაწყვეტები აღარება და სათაურს «Витязь в барсовой шкуре», 1917 წელს გამოცემულ იგივე პოემას ბალმონტი ასათაურებდა «Носышый

ბარსოვუ шкуру». შემდეგი გამოცემები იმეორებდა წინა სათაურს, ხოლო 1937 წ. გამოცემას ეწერა: «Витязь в тигровой шкуре». პირად წერილებში „ვეფხისტყაოსანს“ ბალმონტი მოკლედ — «Барсова шкура»-ს უწოდებდა.

თარგმანის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში სათაურის არასწორი თარგმანის შესახებ თვით ბალმონტი წერდა შემდეგს: „მე დიდი ხანია ვსწავლობ რუსთაველის პოემას — „ვეფხისტყაოსანს“, რომლის სათაურის თარგმანი მეცნიერულ შრომებშიც კი ჭეჩეა არაზუსტად გვხვდება“.

მდიდარ ქართულ პოეზიაში რუსთაველი განსხვავდება თავისი ტონითაც. არაერთი მისი შემფასებელი მიუთითებდა „ვეფხისტყაოსანის“ ლექსის საზეიმო განწყობილებაზე, მკაცრი პირდაპირობის, რაინდული უშიშროებისა და უბრალოების სულზე.

ბალმონტის თარგმანში პოემამ დაკარგა ეს მონუმენტური სახე და მთელი ტაძრიდან მის ჩუქურთმად იქცა.

რუსთაველის პოემას ფოლადის ნაჰელობას ის აძლევს, რომ უნაპირო ცრემლთა დენის მიუხედავად, ჭირსა შიგან კამაგრება უფრო ახასიათებს მას. „ვეფხისტყაოსანს“ ჭირგამოვლილი კაცის ამაყი სული და გონება აქვს. „ბოროტსა სძლია კეთილმან“, — გვარწმუნებს პოემის მფავეარი დებულებაც.

რუსთაველი სიტყვის უნაპირო ზღვაა, რომლის მრავალფეროვნების ასახვა მაინც ვერ შეძლო ბალმონტმა, რადგან მისი ლექსის მღელვარე ტალღები სულ ნაპირს ეხეთქებიან და გლიან ერთფეროვანი ძალის ხილვით. რუსთაველის ლექსი მოქცევადა და უკუქცევადა, რომ მერე მეტი სიმაღლით აზვირთდეს და უეცარი მოსვლით თან ჩაგიტანოს. მისი ენა ჭილოსანია, ენა. რომელსაც სული უდგას და გული უცემს. კითხულობ და ნამგალივით მოხრილი ქართული ასოები თითქოს ადამიანის სისხლის ძარღვებია, რომელთა შიგნით მჩქეფარე სისხლი დუღს და ნაზ კედლებს დააკდომას უქადის. ენა მაღლიანია, მას მიწისა და მზის სურნელი ასდის. ამ ენაზე ახერხებენ რუსთაველის გმირები დაამყარონ სატრფიალო, მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობანი.

ყველა ჩამოთვლილი ნაკლი საბაბს აძლევდა კრიტიკას

ბალმონტის თარგმანი არადამაკმაყოფილებლად ჩაეთვალა. ჩანდა, რომ ეს თარგმანი ვერ წყვეტდა მის წინაშე დასმულ საკითხებს და უკეთესი თარგმანის შექმნის სურვილს კვლავ ტოვებდა.

ბალმონტისათვის რუსთაველთან შემოქმედებითი შებმა საპატიოც იყო. სახელგანთქმული პოეტი და მთარგმნელი რუსთაველისაგან თითქმის რვა საუკუნის სიშორეზე იდგა. ეს დრო კაცობრიობის გონებრივი ზრდით იყო შევსებული. წინ წასულ დროს თან უპირატესობანიც უნდა მოეტანა. მაგრამ, სწორედ ამაში ყოფილა გენიოსთა ძალა, რომ ეს კანონი უძლურია მათ მიმართ. ამიტომ პასტერნაკი მაინც ვერ სჯობია პუშკინს, მიუხედავად ლექსის ძლიერი ტექნიკისა, ან სეზანი ვერა დგას უფრო მაღლა, ვიდრე რაფაელი. „ლექსის მეფედ“ ცნობილი ბალმონტიც თავს ხრიდა რუსთაველის წინაშე.

ტიციან ტაბიძე თვლიდა, რომ რუსთაველთან შებმაში ბალმონტს არ დამტვრევია ფერდები, როგორც იაკობს ღმერთთან ჭიდილში, ალბათ, იმიტომ, რომ ღვთაებრივი თიხიდან იყო გამოკვეთილიო. ასეთი თქმა ბალმონტისადმი დიდ პატივისცემასაც გამოხატავდა, მაგრამ იქაც კი, სადაც ბალმონტი იაკობთან იყო შედარებული, რუსთაველი ღმერთად ახსენეს.

თვით ბალმონტსაც კარგად ესმოდა რუსთაველთან შებმის სიძნელეები. იცოდნენ ეს თარგმანის შემფასებლებმაც. კოცი-უბინსკი წერდა: „თითქმის განუმეორებელია „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალობა“. „ერთ პოეტს მაინც არ შეუძლია სრულად წარმოადგინოს ეს საუნჯე თარგმანშიო“, — წერდა სხვა.

მიხეილ საყვარელიძეც თარგმანის ნაკლს ხსნიდა არა მთარგმნელის სისუსტით, არამედ სათარგმნის სიდიადით: მზესთან ახლოს მისვლა და თვალის გასწორება ადვილი საქმე არ არისო.

რთულ საქმედ მიიჩნევს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას აკაკი გაწერელიაც. იგი თვლის, რომ თარგმანში იკარგება პოემის ძალა და ენერჯია, ხოლო ზნეობრივი და ფილოსოფიური სენტენციები, რომლებშიაც ასე სხარტად და ძალოვნად იხატება შოთა რუსთაველის სიბრძნე, შეუძლებელია გადაღებულ იქნას უცხო ენაზე. ბალმონტის თარგმანიც კი, — შენიშნავს მეცნიერი, — სადაც რუსთაველის ქნარის ყოველი სიმი გამო-

მხილს იწვევს, სუსტი გამოძახილია იმიტომ, რომ თვით ხმა ერთობ ძლიერია.

რუსთაველისათვის პოეზია სიბრძნის დარგია: ამას ყურადღება მიაქცია ბალმონტმაც, მაგრამ თავისი თარგმანი თუ ვერ აქცია სიბრძნედ, ეს იმიტომ, რომ პოეზია მისთვის უპირველეს ყოვლისა, ტკბილხმოვანება იყო.

ზოგიერთი კრიტიკოსი კატეგორიულადაც აცხადებდა, რომ რუსთაველის ბევრი გამოთქმა ვერ გაუძლებს სხვა ენაზე ლექსად გადატანასო. მსგავსი აზრების გამო ერთხანს არსებობის უფლება პროზაულმა თარგმანებმა მოიპოვეს. ევროპული ლიტერატურა ამის ბევრ მაგალითს იძლევა. სანიმუშოდ „ვეფხისტყაოსნის“ რომერტ სტივენსონისეული ინგლისური თარგმანი შეიძლება დავასახელოთ.

საბჭოთა თარგმნითი ხელოვნება ენას მიუდგომლად მაინც არ თვლის. ათასი სიძნელის მიუხედავად, ჭირს მტკიცება, რომ პოეტური თარგმანი შეუძლებელია. ჭირს, რადგან ამით უქმდება ერთა სულიერი ურთიერთგამდიდრების ყველაზე ფაქიზი წყარო. დარბდება ლიტერატურა.

* * *

რუსთაველის პოეზიის გაცნობამ მხატვრულ სახეთა ახალი უამირი გაშალა ბალმონტის თვალწინ. ახალი პოეტური სიტყვა, საგნისა თუ მოვლენის თავისებური, საინტერესო ხედვა გააცნო ბალმონტს ქართულმა პოემამ. პოეტი დადგა სიტყვის ახალი, ჭერ უცნობი ძალის წინაშე, სადაც მაღალ აზრსა და გემოვნებას სიტყვიზე და ფოლადის ნაქედობა შეხამებოდა. ბალმონტისათვის ეს იყო ახალი გულის ფეთქვა, ახალი, მდიდარი სულის ამღერება.

რუსთაველის პოეზიით ნაკარნახევი ახალი მხატვრული სახეები ნაკადივით შეუერთდნენ მის პოეზიას, შეემატნენ და გაზარდეს იგი. ამ დროის მის წერილებში ვკითხულობთ: „ეს სამუშაო (იგულისხმება პოემის თარგმნა) მიტაცებს. მისგან მე ამოვკრეფ ახალ ხმებსა და ფერებს... ვგრძნობ, ჩემი ლექსებიც ახალი შუქითა და ძვირფასი ქვებით გაბრწყინდებიან“.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს ბალმონტმა რუსული

ენა კიდევ უფრო დაიმორჩილა, მისი ახალი შესაძლებლობა-
ნიც გამოავლინა. ამბობენ, რუსულ ლიტერატურაში პუშკინმა
შეიტანაო სიტყვა употреблять, დოსტოევსკიმ — завуалиро-
вать, გოგოლმა — небокоптыльник. ბალმონტსაც აქვს ასეთი
სიტყვაწარმოქმნები. ეს ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ შედ-
გენილ ეპითეტებზე იქმნის. ასეთებია: многочудный, слинне-
равный, пышногривый, птицезоркий და მისთანანი.

ცალკე კვლევის ღირსია საკითხი — რა მხატვრული სახე-
ები იწყებენ და განაგრძობენ არსებობას რუსულ პოეზიაში
რუსთაველის თარგმანების გავლენით. თარგმანზე მუშაობისა
და შემდგომი დროის ბალმონტის ლექსები მოიცავენ სიტყ-
ვის იმ ფერებსა და ძალას, რომელთაც იგი რუსთაველთან გაეც-
ნო პირველად. თავის მხრივ, ბალმონტმაც მოახდინა გავლენა
მის თანამედროვე ქართველ პოეტებზე.

ბალმონტის საქართველოში ჩამოსვლამ და მისმა ურთი-
ერთობამ ქართველ პოეტებთან საფუძველი განუმტკიცა ჩვენ-
ში ახლად ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ გაერთიანებას.
ბალმონტთან ყოველი საზეიმო შეხვედრაც, სადაც მასპინძელ-
თა მხარე ძირითადად ქართველი სიმბოლისტი-პოეტებით
იყო წარმოდგენილი, ამ ჯგუფის შექავეშირებისა და მისი შემოქ-
მედების სტილის პროპაგანდასაც წარმოადგენდა.

ბალმონტის საქართველოში ყოფნა ქართველ სიმბოლის-
ტთა ზეიმი იყო. ხარბად ეტანებოდნენ მის პოეზიას, თარგმნი-
დნენ და აქვეყნებდნენ მის ლექსებს. ბალმონტის პოეზიის
უშუალო გავლენა განიცადა ალ. აბაშელმა.

ხსოვნა ბალმონტის პოეზიის ელვარე ფერებისა დიდხანს
გაჰყვა გალაკტიონ ტაბიძესაც. მოგვიანებით, პოეტის ხსოვ-
ნისადმი მიძღვნილ ლექსში მან ჩვეული სისათუთით აღადგინა
ბალმონტის პოეტური სახე:

ბ ა ლ მ ო ნ ტ ს

შენ ლავეარდისკენ მონახე გზები,
შენ ჩაისუნთქე ხალისით ზეცა,
გრივალებს, ქარებს მომიზეზებებს,
ქაოსმა თმები გადაგიყეცა.

გზის სიდიადით დაგითვრა გული,
გზას გიოქროვებს მთვარის მაგია,
სხვას ატყვივებოი და ტყვევდებოდი.
ოცნება შენი ამხანაგია.

შენ ეცემოდი ზეციდან წვიმად,
იწვოდი ვარდის შრეების მსგავსად,
გადაქცეული მრავალჯერ სიმაღ
და ცისარტყელის მშვენიერ ზევსად.

სვამდა ამ წვიმას მრავალი ფესვი,
რომ გაზაფხულზე მოსული ველად,
უფრო დიადი და უკეთესი
ამოსულიყო გულში მთავსველად.¹

ბალმონტის პოეზიის გავლენა იოსებ გრიშაშვილმაც გა-
ნიცადა. 1915 წლის 24/VI კისლოვოდსკიდან კიტა აბაშიძე-
სადმი მიწერილ ბარათში ი. გრიშაშვილი წერს, რომ სწავ-
ლობს ფრანგულ ენას, მაგრამ მოთმინება არ ყოფნის, რადგან
„წუთით შემქმნელია“, „მონაა წუთის“ წერილში ჩართულია
ლექსი:

მსურს, წარსულთა ნაფიქრალსა
აწმყოს რწმენით გავებრძოლო,
მსურს, წუთიერ ნაფიქრალსა
საუკუნო ჰქონდეს ბოლო.

და მინაწერი: „მიყვარს სიყვარული“.

ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ბალმონტის ნათქვამთა
პირდაპირი გადმოქართულებაა და ლექსიც ბალმონტისეულ
განწყობილებას ატარებს.

გამორიცხული არაა, რომ სხვა ქართველ პოეტთა იმდრო-
ინდელ ლექსებშიც დაიძებნოს ასეთი გავლენის კვალი.

* * *

ბალმონტმა დიდი შრომა გასწია და ამაგი დასდო ქართულ
კულტურას. მაღლიერი ქართველი ხალხი ყოველთვის ამ
გრძნობით ხელმძღვანელობს, როცა მის თარგმანს ეხება.

დღეს რუსთაველის პოემას მშობლიურ ენაზე კითხულობს
მსოფლიოს ყველა კულტურული ერი. გამოქვეყნებულია პო-
ემის ოთხი სრული რუსული პოეტური თარგმანი.

რუსთაველის პოემის თარგმანში თავისი ძალა გამოსცადეს
ქართველმა და არაქართველმა პროფესიონალმა მთარგმნე-
ლებმა. მკაცრი კრიტიკა და ქართველი მკითხველი „ვეფხისტ-

¹ ლექსი დაიწერა 1942 წელს. პირველად გამოაქვეყნა ი. ლორთქი-
ფანიძემ წიგნში — გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 1968,
გვ. 80 — 81.

ტყაოსანს“ ჯერაც დაუძლეველს ხედავს. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთაგან არავის დაუმსახურებია ის, რაც პუშკინმა გნედიჩის შრომის შეფასებისას თქვა: „არის რუსული“ ილია-და“. ეს პომეროსის ბედნიერი ხვედრი იყო.

ცნობილია, რომ დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ მარტო გერმანულ ენაზე 45-ჯერ ითარგმნა. გოეთეს „ფაუსტი“ ხოლოტკოვსკიმ ექვსჯერ თარგმნა, ვიდრე უკეთეს ვარიანტზე შეჩერდებოდა. გენიალურ ნაწარმოებებს მხოლოდ გენიოსები წერენ ადვილად. მათი ადეკვატური თარგმანის შექმნას კი სწორად რამდენიმე თაობები ვერ ახერხებენ.

ბალმონტისეული რუსული „ვეფხისტყაოსანი“ მაინც ინარჩუნებს მკითხველის ინტერესს. მრავალი ნაკლის მიუხედავად, ის ყოველთვის დარჩება დიდ პოეტურ ნაწარმოებად, ყოველთვის იქნება პირველი და უამბობს ქართველებს მისი ავტორის ჩვენდამი დიდ სიყვარულზე. ბალმონტის სახელი ქართველი კაცის გულის სახსოვარში შევიდა.

რუსთაველის იუბილე ქართველებმა 1937 და 1966 წლებში ილღესასწაულეს. ორივე იუბილეზე, როგორც ეს აღნიშნული იყო გაზეთებში, ბალმონტი ზეიმის უხილავ მონაწილედ მიაჩნდათ.

თვით ბალმონტი 1937 წელს პარიზის გარეუბანში ნუაზილე-გრანის მოხუცთა სამყოფელში იყო. ეს თავშესაფარი მონაზვნად აღკვეცილ რუს პოეტ ქალს კუზმინა-კარავაევას დაუხარსებია. მანამდე, სავჩენკოს სიტყვით, დიდ ეკონომიურ სიფიწროვეში ბალმონტი ზღვისპირა პატარა ქალაქ კენბრიტონში ცხოვრობდა.

დიმიტრი მვისნერი, რომელიც აღწერს რუსი მწერლების ემიგრაციაში ცხოვრებას, ბალმონტის შესახებ ამბობს: „ბალმონტს, ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე საუკეთესო პოეტს, პარიზში, გაზეთ „უკანასკნელი სიახლენის“ რედაქციაში გაგეცანი. სენის ნაპირებთან იგი დროდადრო შემზარავი, გატანჯული და ნახევრადშეშლილი მოხუცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ის სვამდა და სვამდა ბევრს და მისი ბოლო ტრაგიკულად დამთავრდა“.

1. ვ. მვისნერი, *Образ и действительность*, 1966, გვ. 212.

ბალმონტი წავიდა ცხოვრებიდან ათი წლით ადრე თავის ფიზიკურ გარდაცვალებამდე. ის ეწამა სულიერი ავადმყოფობით.

წარსულის იმ წლებში, როცა მისი დიდება მთელ რუსეთს მოედო, ბალმონტი იყო ამაყი და ამპარტავანი. ახლა კი ადამიანი, რომელიც მოწყვეტილი იყო სამშობლოს, უსაზღვრო მარტოობას განიცდიდა. ერთხანს ცხოვრობდა მისგან გამოგონილ სამყაროში, მაგრამ ესეც გათავდა და სიჭარბიდან სიცარიელეში მას დამსხვრეული ფსიქიკა გადაჰყვამოლოდ. აქ სულ მარტო დარჩა უკიდურესი გაკირვებისა და ავადმყოფობის წინაშე.

საყურადღებოა, რომ ამ დროს ავადმყოფ პოეტს პროვინციული ქალაქის ქარხნის მუშა ქართველებმა გაუწიეს თანაგრძნობა. ქვევით მოგვყავს მათი წერილი რედაქციისადმი:

„მოწყალეო ხელმწიფევე, ბატონო რედაქტორო!

„პეუო“ და „სოშოს“ ქარხნებში მომუშავე ქართველებმა 415 ფრანკი შეავროვეს და გვთხოვეს ქართველთა ასოციაციის გამგეობას „სოშოში“ თქვენი შემწეობილი იგი ავადმყოფი ბალმონტისათვის გადაეგზავნათ.

მეტად მადლობელი ვიქნებოდით. თუ თქვენი საშუალებით შეეძლებდით პოეტ ბალმონტისათვის გადაგვეცა აგრეთვე ჩვენი ღრმა მწუხარების გრძნობა მისი ავადმყოფობის გამო და მისი მალე გამოჯანმრთელების გულწრფელი სურვილი...

გვინდა, რომ გაღებულ წვლილში ბალმონტმა დაინახოს არა ჩვეულებრივი გამოძახილი პირობითი, მოთბო-ცივი და ოფიციალურ-საოქმო თანაგრძნობისა, არამედ გამოძახილი გულთა, რომელთაც უყვართ და თაყვანს სცემენ მის დიდსა და ელვარე ნიქს.

მიიღეთ, ბატონო რედაქტორო. ჩვენი თქვენდამი ღრმა პატივისცემის გამოხატვა.

„სოშოს“ ქართველთა ასოციაციის გამგეობა.

1938 წლის 24 დეკემბერი“.

რა განიცადა ავადმყოფმა პოეტმა ამ წერილის საპასუხოდ, არ ვიცით. ჯანმრთელად ყოფნის დროს ყოველ ასეთ გულითად გამოძახილს ის პოეტური სტრიქონებით და აღტაცებით გამოხატავდა...

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ბალმონტის მიერ ახალგაზრდობაში ხუმრობით შედგენილი ანდერძი. იგი დათარიღებულია 1896 წლის 31 მარტით: „Завещание: Похоронить меня в Москве, в Новодевичьем монастыре.“

К. Б а л ь м о н т

Р. II хогь бесчувственному телу
Равно повсюду истлевать,
Но ближе к милому пределу
Мне все ж хотелось почевать...»

ანდერძი დამოწმებულია ლუბოვ, მარია, ზინაიდა სტანიუკევიჩებისა და ოლგა იათაჰ მიერ.

ბალმონტი გარდაიცვალა 1942 წლის 24 დეკემბერს პარიზში წვიმიანი დღე ყოფილა და თითქმის წყლით ავსებულ საბარეში ჩაუშვიათ პოეტის კუბო. დაკრძალვას ესწრებოდა რამდენიმე ახლობელი, მათ შორის ლატვიელი პოეტი ბალტრუშაიტისი მეუღლით და რუსი პოეტი ბორის ზაიცევი მეუღლით. ამ უკანასკნელის ინიციატივით და ფრანგ მწერლებში შეგროვილი ფულით ბალმონტის საფლავს დაედგა ძეგლი ლაკონიური წარწერით: კონსტანტინე ბალმონტი. რუსი პოეტი.

* * *

კვლავ ცნოველია საქართველოში ბალმონტის ხსოვნა. მისი ქალიშვილი განაგრძობს მამის მიერ დამყარებულ ურთიერთობას ქართველებთან. „ვეფხისტყაოსნისადმი“ სიყვარული მას მამამ უანდერძა. საფრანგეთიდან 1925 წელს მიღებულ წერილში ნინომ ერთხელ ამოიკითხა: „მიხარია, რომ ჩემი წიგნებიდან შენ „ვეფხისტყაოსანი“ აირჩიე. ეს ის წიგნია, რომელიც განუყოფლად იყო ჩემთან რამდენიმე წლის განმავლობაში. დაიტოვე ის, დააწერე ზედ შენი სახელი. მჯერა, რომ იგი ბევრ ნათელ წუთს მოგანიჭებს“.

ნინო კონსტანტინეს ასული არ წყვეტს კავშირს მამის ნაცნობებთან.

1964 წლის სტუმრობა თბილისში მან ტ. ტაბიძის ოჯახში გაატარა. აქ დაუახლოვდა მამის შემოქმედებით და პიროვნებით დაინტერესებულთ. მოგონებებით აცოცხლებენ ისინი

ბალმონტის მიერ საქართველოში გატარებულ დღეებსა შესწავდრების უფრო მეტ ბრწყინვალეებას არ მოვსწრებინვარო,—უამბობს მას ეკატერინე ამირეჯიბი, რომელიც დღესაც მღელვარებითა და სათუთად აღადგენს ყოველ წვრილმანს პოეტის აქ ყოფნასთან დაკავშირებით. მოგონებებთან ერთად პოეტის ქალიშვილს მან გადასცა ბალმონტის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი ლექსი თუ მინაწერი.

ბევრი საინტერესო ნინო ტაბიძემაც გაანდო. პოეტის ქალიშვილს იგი 1934 წელს მოსკოვში გაეცნო. ქმწერალთა პირველი ყრილობის დროს, ლევ ბრუნიმ. რომელმაც ტიციანის სურათი დახატა, ისინი სტუმრად მიიწვია სახლში. „აი, ვინ მოვიყვანე“. — კარშივე მიუხაჩებია ლევ ბრუნის მეუღლისათვის და ოჯახის ძველი მეგობარი ტიციანი და ნინო ტაბიძე წარუდგინა.

ბედნიერად გრძნობს თავს ნინო ბრუნი საქართველოში. სიყვარულითა და სითბოთი პასუხობს ყველას. ნინო დიდად მოხარულია. რომ ჩვენში ასეთი სიყვარულით იგონებენ და ახსოვთ მისი მამა. ამის შესახებ მან გულახდილად განაცხადა ვ. ვირსალაძესთან საუბარში და წერილში, რომელიც ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზია“-ს საიუბილეო ნომერში გამოაქვეყნა: „დიდი ხნის ოცნება, ჩამოვსულიყავი თბილისში, მე მხოლოდ 1964 წელს განვახორციელე. იმედი მქონდა. აქ ვნახავდი იმ ადამიანებს, რომლებიც პირადად იცნობდნენ მამას. ახსოვდათ იგი ან უყვარდათ მისაჲან თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი.“

ამ შესანიშნავ ქალაქში ჩამოსვლის პირველსავე დღეებში დავრწმუნდი, რომ არა მარტო ძველ მეგობრებს, არა მარტო ცალკეულ პირებს ახსოვთ ბალმონტი, მას აქ ყველა იცნობს.

მე არ მტოვებს იმის განცდა, რომ მშობლიურ ადგილებს ეესტუმრე და თავს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობ.“

ბალმონტის ნაცნობთა შორის ყველაზე ხნიერი 84 წლის თედორე დოლიძეც პირველ ჩამოსვლაზე ინახულა ნინო კონსტანტინეს ასულმა. უნიკალური პიროვნებააო, — წერს მის შესახებ პოეტის ქალიშვილი. დოლიძეს ცოცხლად ახსოვს პოეტის სახე. მასთან ერთად პეტერბურგიდან ხარბინამდე უმჯავრია. აქ ორმოცამდე ქალაქში გამოდიოდა ბალმონტი ლექ-

ციებით და ხალხს, რომელსაც, შესაძლოა, არც გაეგონა ჩვენ-
ქვეყნის სახელი, უკითხავდა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტ-
ყაოსნის“ ადგილებს, აყვარებდა საქართველოს.

„საშუალო ტანის, მოძრავი, ესტრადაზე თავისუფლად
გრძნობდა თავს, — იგონებს ბალმონტს დოლიძე, — ოღონე
მოწითალო თმის გრძელი ბოლოები მხრებზე ჰქონდა დაფე-
ნილი, ლექსებს კითხულობდა ზეპირად, იშვიათად თუ ჩაიხე-
დავდა ნაწერში. ხმა ჰქონდა მეღერი და სასიამოვნო. მის ლექ-
სებს სულგანაბულნი უსმენდნენ.“

ნინო ბრუნი მოწვევით ჩამოვიდა და დაესწრო რუსთავე-
ლის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავ სახალხო დღე-
სასწაულს თბილისში.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში მრავალ საგაზეთო წე-
რილში აღნიშნავდნენ ბალმონტის ღვაწლს.

ქალაქ რუსთავეში, საიუბილეო ბანკეტზე, რომელსაც პოე-
ტის ქალიშვილიც ესწრებოდა, კრიტიკოს ბესარიონ ულენც-
საგანგებოდ შეუნიშნავს: იმ დროს, როცა ბალმონტმა ხელ-
მოჰკიდა ქართული პოემის თარგმნას, არც შემოქმედებით
ხელშეკრულებები და არც საღმთა ურთიერთმეგობრობის
მოვალეობა არ აკისრებდა მას ასეთი მძიმე შრომა გაეწია.
ეს დატვირთვა პირადი ინიციატივით მიიღო და ქართველი
ხალხი მისი პიროვნების წინაშე მუდამ ვალში იგრძნობს თავ-
სო.

ყოველივე ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს პოეტის ქალ-
შვილს და ნანახისა და ნაგრძნობის შესახებ ისიც მამისეული
აღტაცებით ლაპარაკობს. ახლა მას ხვდება მამის წილი სიყვა-
რული და პატივისცემა საქართველოში.

სხვა სტუმრებთან ერთად მანაც ინახულა საქართველოს
სამხრეთი, სადაც ყოველი ადგილი ისტორიის ფურცელია.
წარუშლელად დარჩა მის ხსოვნაში ხერთვისი, თმოგვი, კლდის
ქალაქი — ვარძია...

ნინო კონსტანტინეს ასულს ორმაგი გრძნობით უხაროდა
ყველაფერი: შეხვედრები, ზეიმი, მოგონებები. სასლში დაბ-
რუნებული სიამოვნებით წერდა ჩვენში გატარებულ საიუბი-
ლეო დღეებზე: ყველაფერი თვალწინ წარმომიდგინა საქარ-
თველოში ორკვირიანი ცხოვრების ზღაპრულმა სურათმაო.

1967 წელს შესრულდა ბალმონტის დაბადებიდან 100 დღე გარდაცვალებიდან 25 წელი. საიუბილეო თარიღი აღინიშნა მოსკოვში, ლიტვაში და მშობლიურ ქალაქ შუიაში.

ქართველი ხალხი, რომელიც მუდამ თაყვანს სცემდა ბალმონტის ნიქს, მისი ხსოვნის აღმნიშვნელ დღეებს შესაფერისად გამოეხმაურა.

იენისის თვეში თბილისის რადიომ ბალმონტის შესახებ გადაცემას აკადემიური საათი დაუთმო. რესპუბლიკის ქართულ და რუსულ გაზეთებში მრავალი წერილი გამოქვეყნდა. ქართული ტელეფილმების მთავარმა რედაქტორმა შოთა სალუქვაძემ ფილმის „ბალმონტი საქართველოში“ გადაღებ: პერსპექტიულ გეგმაში შეიტანა. გროვდებოდა საქართველოში ბალმონტის ყოფნის ამსახველი ფოტოები, წერილობითი მასალა.

1967 წლის შემოდგომაზე პოეტის ქალიშვილი საქართველოში ჩამოვიდა. მწერალთა კავშირის გამგეობასთან ბალმონტის საიუბილეო საღამოზე შეთანხმების შემდეგ ქუთაისში ერთად გავემგზავრეთ. ნახევარი საუკუნის წინ სწორედ ამ დღეებში (5—7 ოქტომბერს) ბალმონტიც პირველად ესტუმრა ქუთაისს. ახლა მის ქუჩებში მიაბიჯებდა პოეტის ქალიშვილი; იგი სმენად იყო ქცეული და დელავდა, როცა მისი მამის ქუთაისში ყოფნის დღეებზე ვუამბობდით. ვნახეთ სასტუმრო, სადაც ბალმონტი ცხოვრობდა; თეატრი, სადაც იგი ქუთაისის საზოგადოების წინაშე წარსდგა.

ბაგრატის ტაძრის ეზოში ნინო იმ ქვებთან დაყოვნდა, რომელზედაც ჩამომჯდარი ბალმონტი ლექსს წერდა საქართველოზე.

დაბრუნებისას ტაქსის მძღოლს ჩვენთვის გასამრჯელო არ გამოურთმევია. ამ ფაქტმა განსაკუთრებით იმოქმედა პოეტის ქალიშვილზე. აღელვებულმა ნინომ გვითხრა: ახლა კი ვხვდები, რამდენ სიხარულს განაცდევინებდნენ აქ ბალმონტს, თუ მართო მისი სახელის წინაშე უცხონიც ამდენ ყურადღებას იჩენენო.

გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში მწერალთა გამგეობის მდივნის დავით კვიციანიძისა და გაზეთის მთავარი რედაქ-

ტორის გიორგი მეფისაშვილის თანდასწრებით გადაწყდა თბილისის შემდეგ ქუთაისში ჩაეტარებინათ ბალმონტის საიუბილეო საღამო.

მომდევნო დღეს ადგილობრივ გაზეთში ვრცელი წერილათ აღინიშნა ბალმონტის ქალიშვილის სტუმრობა ქუთაისში. წერილს მისი ფოტოც ჰქონდა წამძღვარებული.

დიდი რუსი პოეტისა და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის, კონსტანტინე ბალმონტის, საიუბილეო საღამო 1968 წლის 27 იანვრისათვის დაინიშნა. თარიღი საგანგებოდ იყო შერჩეული. ბალმონტის სიცოცხლეში ამ დღეს — წმინდა ნინოს დღესასწაულს — მოსკოველმა ქართველებმა ქართული კულტურის ზეიმი დაამთხვიეს. დაუვიწყარ დღედ მიაჩნდა იგი ბალმონტს. ამ საღამოზე განსაკუთრებით იჩემებდა იგი ქართველობას.

დიდი და სერიოზული სამზადისი ბალმონტის ხსოვნის საღამოს კარგად ჩატარებას გეპირდებოდა. განსრახული იყო იუბილეზე ბალმონტის მეგობარ-ნაცნობთა ან მათ შთამომავლობას მოეყარა თავი. ლამაზად გაფორმებული მოსაწვევი ბარათის გარეკანზე ბალმონტის სურათს მიწერილი ჰქონდა საქართველოში ექსპრომტად თქმული მისი ლექსი:

Мне в жизни много знакомо,
Но здесь я понял первый раз
При звуке слов, при блеске глаз,
Что вдруг, я на чужбине — дома.

საიუბილეო საღამოზე დასასწრებად მოსკოვიდან ბალმონტის შთამომავალთა სამი თაობა ჩამოვიდა: ქალიშვილი — აინო, შვილისშვილი — მარიანა და შვილისშვილის შვილი — ოლგა. მათ თან ახლდა პოეტის ძმისშვილი, მხატვრული კითხვის ოსტატი ვერა დიმიტრის ასული ბალმონტი.

25 იანვარს სტუმრები გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მიიწვიეს. აქ ერთი დარბაზი ბალმონტისადმი მიძღვნილ გამოფენას ჰქონდა დათმობილი.

თვალსაჩინო ადგილზე, პოეტის დიდი სურათის გვერდით, კალიგრაფიული ხელით ეწერა ბალმონტის დეპეშა-ფიცი ქართველებისადმი:

ბალმონტი აქაც ქართველ მეგობართა სურათების გარემოცვაში იყო. კედლებს ამშვენებდნენ აკაკის, გალაკტიონ და ტიცაიან ტაბიძეების, პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ქიქინაძის, გ. ქიქოძის, ს. შანშიაშვილის, ალ. აბაშელის და სხვათა სურათები. ყოველი სურათის გვერდით ბალმონტთან ამ მწერლის ურთიერთობის მაუწყებელი წერილი, წიგნი ან ლექსი იყო ექსპონირებული.

მინიანი ვიტრინები სავსე იყო ქართული და რუსული ჟურნალებისა და გაზეთების იმ ნომრებით, რომლებიც ბალმონტის საქართველოში ყოფნის დღეებს მიეძღვნა. ცალკე იყო გამოფენილი უკანასკნელ ხანს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბალმონტის შესახებ გამოქვეყნებული წერილები.

ექსპონირებული იყო რუსი პოეტის ლექსების ყველა ქართული თარგმანები, მეგობართა მოგონებები, ბალმონტის სურათები გადაღებული ქუთაისში, ხედები საქართველოს იმ ადგილებისა, რომლითაც მოხიბლულა პოეტი, ბალმონტის ლექსები საქართველოზე, ქართველი მეგობრებისადმი მიძღვნილი ექსპრომტები.

რუსეთის კონტურულ რუკაზე აღნიშნული იყო 40-მდე ქალაქი, სადაც ბალმონტს რუსთაველის შესახებ ლექცია ჰქონდა ჩატარებული.

გამოფენილი იყო ბალმონტის სიტყვებზე დაწერილი მუსიკის ნოტები, პოეტისათვის ქართველებისაგან მიერთმეული დაფნის გვირგვინის ბაფთა წარწერით: კონსტანტინე ბალმონტს — ქართველები.

გამოფენის ცენტრალურ ადგილას ექსპონირებული იყო ბალმონტის ნაღვაწი: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის პირველი ჩანაწერები (1915 წ.), თარგმანის საბაშნიკოვისეული (1917 წ.). პარიზული (1933 წ.) და საიუბილეო (1937 წ.) გამოცემები. მათ გვერდს უმშვენებდა ინგლისელი ქალის — მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ის ცალი, რომელიც ხელთ ჰქონდა ბალმონტს თარგმანზე მუშაობის დროს და რომელიც რუსთაველთან მისი გაცნობის პირველწყაროდ იქცა.

მოდრავი სტენდების ორივე მხარე შევსებული იყო ბალმონტთან დაახლოებული ქართველი მოღვაწეების სურათებით. მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე ყანჩელი, კიტა აბაშიძე, იონა მეუნარგია, კოტე მაყაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ვარლამ რუხაძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ნიკო მარი, იოსებ მჭედლიშვილი, იოსებ იმედაშვილი, გრიგოლ დიასამიძე, კონსტანტინე ცაგარელი, ჯაჭუ ჯორჯიკია, ნინო ყიფიანი, ელისაბედ ორბელიანი და სხვები.

ცალკე იყო თამარ ამირეჯიბი-ყანჩელის კუთხე. აქ ექსპონირებული იყო სურათები, მიძღვნილი ლექსები და წერილები.

გამოფენის 200-მდე ფოტოსურათი თემატურად იყო დალაგებული და მნახველებს პოეტის საქართველოსთან ურთიერთობის ამა თუ იმ ეპიზოდზე მოუთხრობდა.

გამოფენის მთელ ფართობზე მიმობნიეული იყო ბალმონტის გამონათქვამები საქართველოზე, ქართველ ხალხზე, რუსთაველზე. იყო პოეტის მეუღლის შოგონებებიც; ბალმონტის საპატივცემულოდ გამართული პირველი ვახშმის მენიუც კი.

გამოფენას ამშვენებდა თამარ დედოფლისა და რუსთაველის პორტრეტები. ერთ დროს ისინი ბალმონტის სამუშაო მაგიდას ამშვენებდნენ.

საგამოფენო მასალა ძირითადად ჩვენ მიერ ფოტოარქივაცირებისგან და პოეტის მეგობართა ოჯახებში შეკრებილი თუ ბალმონტის ქალიშვილისაგან მიღებული მასალებით მომზადდა. მის შევსებასა და ვაფორშებაში დახმარება გაგვიწიეს ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლებმა.

გამოფენის დათვალიერებამ პოეტის ნათესაებს და დამსწრეთ დიდი სიამოვნება მიანიჭა. მათ თვალწინ გადაიშალა სახელოვანი წინაპრის საქართველოში ყოფნის დღეები.

ბალმონტის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ჩატარების შესახებ თბილისის გაზეთებმა წინასწარი ცნობები გამოაქვეყნეს.

27 იანვარს საქართველოს მწერალთა კავშირის დარბაზი სავსე იყო ხალხით: არავინ იყო შემთხვევით მოსული. შეკრებილთათვის ბალმონტი პირადად ნაცნობი ან მათი ოჯახის უფროს წევრთა ახლობელი იყო.

პრეზიდენტში ადგილები დაიკავეს მწერალთა კავშირის

მდივნებმა გრ. აბაშიძემ, ს. ქილაიამ, ბ. ჟღენტმა; სიტყვაში გამომსვლულმა ამხანაგებმა: პოეტმა ს. შანშიაშვილმა, მწერალმა მ. მრეველიშვილმა და სხვებმა.

საზოგადოება ტაშით შეეგება პოეტის ქალიშვილს ნინო ბალმონტ-ბრუნის.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა.

„— დღეს საქართველოს მწერალთა სასახლეში, — თქვა მან, შევიკრიბენით ქართული მწერლობის, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის, ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რათა ზემოთ აღვნიშნოთ დიდი რუსი-პოეტის კონსტანტინე ბალმონტის დაბადების 100 წლისთავი და გამოვთქვათ მისდამი ქართველი ხალხის წრფელი მადლიერების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა.

